

საბჭოთა სელოვნება

1977 5

5/1977

საბჭოთა ნეოლოგია

შინაარსი

ლიბიტრი ალექსიძე — შემოქმედებითი ახალგაზრდობის ალზრდის კოვალუმიზმი	2
ელენე თულაშვილი — მირაბ ბერძენიშვილი	12
შოია იაშვილი — პართული კინოშუნისის ღვადატუჰების საკითხებზე	21
მოსკოვის ნ. გომოლის სახელობის სახელმწიფო დრამა- ტული თეატრი თბილისში	30
ლევან ფრუძე — პართული ფაიფურის სათამაშობთან	31
ოდიხეი დიმიტრაიდი — შესანერჟნაში დირიჟორი	36
გივი ორჭონიკიძე — ოსტატი	37
გურამ გვერდუიძე — პართული კინო და მფარლობა	38
გიორგი თაქთაქიშვილი — ახალგაზრდა პართულ მუსიკოსთა საჯობაღობის ის- ტორიიდან	50
ლონდა მდივანი — დირჟინის საკითხისათვის	54
ბეჟან ბარდაველიძე — დავით კლდიაშვილის უახანასწენი კორტატი	60
ლეილა თაბუაშვილი — ნსკვ დიროსპანის შემოქმედების გამო	61
მანანა ავაზაშვილი — პედაგოგი, შემოქმედნი	68
ჭურბა ნადირაძე — აღაბინანი და კირპიღი	71
ლალო გუღიაშვილი — მომონებობის წიგნი	81
ტენისი ულიაშისი — ორფეოსი ჯომჯომბითნი მშობაბ (პიესის შესავალი და თარ- გმანი ვახტანგ კელიძისა	84
ბრონიკა	111

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
კოველთვიური ჟურნალი

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ძორეოგრაფია**

მთავარი რედაქტორი
თეგაჰ ზილახაი
სარედაქციო კოლეგია:
აბაკი ბაჭრაჰი,
მახტანგ ბინიძი,
ჯუგუზარ თითთორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოღარ გავუნიანი,
მასილ კიანაჰი,
ნოღარ მგალმღლიშვილი,
ჯურაბ ნიჰარაჰი,
გივი ორჯონიკიძი,
ნათელა შარუაჰი,
რეჟან ჩხიძი,
ანტონ წულუაჰი,
ნიკო ზაჰაზაჰი,
ნოღარ ჯანაბრიძი.



ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა! მთელი ნიჭი და ოსტატობა მოახმარეთ ხალხისადმი სამახურის, კომუნიზმის საქმეს, შექმენით ჩვენი დიდი სამშობლოს შესაფერი ნაწარმოებები!

საბჭო ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაანი 1977 წლის 1 მაისისათვის

ოპტომპარი-60

შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემები

ლიბიტრი ალექსიძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებითის ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ კიდევ ერთი დიდი გამოხატულებაა იმ დიდი ზრუნვისა, რასაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი იჩენს ხელოვნებისადმი და, კერძოდ, შემოქმედებითი ახალგაზრდების მიმართ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიულ ორგანიზაციებს, კომკავშირს, კულტურის ორგანოებსა და შემოქმედებით კავშირებს ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის დადებითი გამოცდილება აქვთ. სწავლებისა და აღზრდის ამჟამად შექმნილი სისტემა ძირითადად უზრუნველყოფს ღირსეული ცვლის მოსვლას მხატვრული კულტურის სფეროში. ამავე დროს, კომუნისტურ მშენებლობაში ლიტერატურისა და ხელოვნების როლის ამბავს, ამოცანები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა იდეოლოგიური მუშაობის დარგში, მოითხოვენ, რომ პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაცი-

ებმა მეტი ყურადღება დაუთმონ შემოქმედებითი ახალგაზრდების პროფესიულ და იდეურ აღზრდას.

ახალგაზრდა ლიტერატორებთან, კინემატოგრაფისტებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, მსახიობებთან მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთ სამხატვრო უმაღლეს სასწავლებელში არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რომ გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აქტიურად ჩამოუყალიბონ სტუდენტებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, საფუძვლიანად დააფუძონ ისინი პროფესიულ ოსტატობას, აათვისებინონ საბჭოთა და მსოფლიო კულტურის გამოცდილება, სპეციალური საგნებისა და საზოგადოებრივი დისციპლინების სასწავლებლად საგარისად არ იწვევენ მაღალკვალიფიციურ პედაგოგებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, რომლებსაც უნარი შესწევთ ოსტატობის დაუფლებას ორგანულად შეუზამონ მაღალი იდეური და ზნეობრივი თვისებების ჩანერგვა,

**9 მაისი
ღიდ
სამამულო ომში
საბჭოთა
ხალხის
ბამარჯვების
ღღაა!**



მ ბერძენიშვილი

„სოღევი“ დიზრუბიანა-

ამ ნაწარმოებისთვის მოქანდაკეს მიე-
ნიჭა სსრ კავშირის 1976 წლის სახელ-
მწიფო პრემია.

გააღვიძონ ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აქტიურობა, ხელშეწყონ შემოქმედებით ინდივიდუალობათა ჩამოყალიბებას. პარტიული, კომპაქტურილი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველთვის არ ითვალისწინებენ ჯერონდ სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამხატვრო სასწავლებლებში სასწავლო და აღმზრდელბითი მუშაობის სპეციფიკას. ზოგიერთი სასწავლებლის მატერიალური ბაზის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ შემოქმედებითმა კავშირებმა, თეატრალურმა საზოგადოებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგაზრდობასთან მუშაობას, მისი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საჭირო პირობების შექმნას, იზრუნონ იმისათვის, რომ შემოქმედებითი კავშირების რიგებს ნიჭიერი ახალგაზრდობა შეემატოს.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდობის პრობლემები და საჭიროებები, დავებმართო მას თავისი ნიჭის გამოყენებაში, წარვმართო ტალანტების განვითარება პერსპექტიული შემოქმედებითი გზით, დღენიადგ განვატყველოთ და გავამრავლოფერონით ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელექციის კავშირი ცხოვრებასთან, განვითაროთ მისი საზოგადოებრივი აქტიურობა, დავავალით ახალგაზრდებს საინტერესო საქმეები, აღვზარდოთ ისინი კომუნისტური იდეალბისათვის მტკიცე მებრძობლებად.

ურუნდა „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციამ გამოიჩინა, ჩემის აზრით, შესანიშნავი ინიციატივა. ამ დღემინფერონთან დაკავშირებით მივიწვივა ჩვენ ყველაზე ახალგაზრდა თეატრში, სადაც მოხდა შეხვედრა თეატრალური ხელოვნების წამყვანი მუშაკებისა მეტების თეატრ-სტუდიის კოლექტივთან და მრავალი მაგიდის გარშემო გაიზარა დიდი, სერიოზული საუბარი ამ თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ. მსგავსი შემთხვევა მე არ მახსოვს. ასეთი გულახდილი საუბარი, აზრთა აცვლა-გამოცვლა, გამათბულზე სასარგებლო გახდა და, მე ვიტყვოდი, აუცილებელიც თეატრისთვისაც და რედაქციისთვისაც. დიდი და სერიოზული ამოცანის გადასაჭრელად რესპუბლიკის შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ ერთობლივი ღონისძიებანი. ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს თეატრის თანამშრომელთა დამოკიდებულება შრომისადმი, უნდა ამაღლდეს პასუხისმგებლობის გრძობა, რეპეტიციებისა და სპექტაკლების კულტურა, გაიზარდოს მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. მაკარი რეჟისორი, ოსტატობის ყოველდღიური სრულყოფისა და დახვეწის გარეშე წარმოდგენილია წარმატება. ეს კი შეუძლებელია თეატრის მუშაკთა დივერსინტელექტუალური და პროფესიული დონის ამაღლების გარეშე. იმისათვის, რომ ხელოვნება, კერძოდ, თეატრის მუშაკთა, რეჟისორთა და მსახიობთა შექმნა „სულიერი ფასეულობანი“, ისინი თვით უნდა იყვნენ სულიერად მდიდარი, წარმოადგენდნენ ნიმუშს ადამიანისა, მოქალაქისა. მთავარია მსახიობი და რეჟისორი იყვნენ პიროვნებები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; მათ უნდა შეეძლოთ შთავიწინებელი შრომა, ჰქონდეთ ტალანტი და მაღალი კულტურა, თითქმის უნივერსალური განათლება მხოლოდ განწყობილებასა და ინტელიციაზე დაყრდნობა აღარ შეიძლება, დიდი გარჯისა და განუწყვეტელი მუშაობის გარე-

შე წარმატებას ვერ მივაღწევთ. მანითი უნდა ამოიწვას ძველი პრივილეგიული თეატრის ზოგიერთი „ბოჭქმერი“ გადმონაშთი, — პრემიერობა, კარიერისზი, ევოცენტრისში, შური, კორიკანობა, მლიქვნელობა, ინტრიგანობა, პროტექციონიზმი და სხვ.

აუცილებელია ინტელექტისა და ემოციის პარმონია. ნიჭი უნდა წარმართოს გრძობა-გრუნდის კონტროლით. რაც შეეხება ტრადიციას და ნოვატორობას, ჩემის აზრით, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. დრომოქმული ტრადიციების ინერციის შეუქლია ხელი შეუშალოს, დაამუხრუჭოს თანამედროვე თეატრის განვითარება, უკან დასწვიოს იგი, შეაფერხოს თანამედროვე თეატრალური პრინციპების დამკვიდრება და განვითარება ქართული საბჭოთა თეატრში. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველდღე ახალი, ისევე, როგორც ყოველდღე ძველი, არ არის დრომოქმული და დასავმობი. აქ საჭიროა დიდი დაფიქრება და ტაქტი. ადამიანი და ადამიანური, აი, რა არის მთავარი სცენაზე. ნოვატორობას წარმოშობს მხოლოდ და მხოლოდ ახალი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი აზრი.

ხვლინდელი თანამედროვე ქართული საბჭოთა თეატრის ბედი დღეს უნდა გამოიჭეოს. ის ჩვენს ხელშია, ჩვენ და მხოლოდ ჩვენ ვაგებთ მასზე პასუხს. ახალგაზრდობა, აი, ხვლინდელი თეატრის ბატონ-პატრონი. მათ უნდა გადაეცეთ ჩვენი გამოცდილება. თეატრალურმა საზოგადოებამ ძალიან ბევრი რამ უნდა გააკეთოს, ყველა პირობა უნდა შეექმნას ჩვენი თეატრალური ახალგაზრდებს, რათა მათ სწორად და ღრმად აითვისონ ქართული საბჭოთა თეატრის აწმყო, მისი მომავალი. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის საქმიანობასთან არის დაკავშირებული ჩვენი თეატრალური ახალგაზრდობის მომავალი, მის არსებობასთანა დაკავშირებული ისინი, ვინც მოდიან აქ სასწავლებლად, ისინი, ვინც ამოავლებენ ამ ინსტიტუტს და შემდეგ იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას ხელოვნებაში. გარდა თეატრალური ინსტიტუტისა, თბილისშია ორი დიდი მნიშვნელობის უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც ემსახურებიან ხელოვნებისათვის კადრების აღზრდის დიდ საქმეს: ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია. გარდა უმაღლესი სასწავლებლებისა, თბილისში არსებობს სამი სასწავლებელი: სერგო შაჩიარაძის სახელობის საკლემო-საფერფლო-ქორეოგრაფიული, საბავლეო ქორეოგრაფიული და სასტუდოლო — შექმნილი ფილარმონიის ბაზაზე. არსებობს ორი ეტაპი ახალგაზრდა მსახიობისა და რეჟისორის შემოქმედებით ცხოვრებაში: 1) საწვავლის პერიოდი ინსტიტუტში, 2) დამოუკიდებელი მუშაობა თეატრში, სადაც ხდება მათი დაოსტავება. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მსახიობისა და რეჟისორის სწავლისა და ზრდის პროცესი უნდა გრძელდებოდეს თეატრში.

ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებაში უკვალოდ არ ჩაუვლია სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენის, ვახტანგოვსა და ვსევოლოდ მიეერჰოლდის, კოტე მარჯანიშვილის, სადნორ ახმეტელის, თიაროვისა და ლეს უმბრანის ნაწარებსა და მათ პრაქტიკას. საბჭოთა რეჟისორების შემდეგ თათბას პოპოვის, ლობანოვის, სუდაცკის, დიკის სახით სტანისლავსკის სისტემის ძირითადი პრინციპები, მისი მოძღვრების ექვს-

დებულება საფუძვლად უდევს თეატრალური ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს:

1. ეთიკის შესახებ.
2. ცხოვრებისეული სინამდვილის პრინციპი.
3. ხელოვნების იდეური აქტიურობის პრინციპი, რომელიც თავის ასახვას პიუბლიკის მოძღვრებაში „ზემოცანისა“ ზე-ზე ამოცანის და გამჭოლი მოქმედების მეშვეობით.
4. მოქმედების განმტკიცების პრინციპი, როგორც სცენურ განცდის აღმძვრელი და ძირითადი მასალა მსახიობის ხელოვნებაში.
5. ორგანულობის პრინციპი მსახიობის ხელოვნებაში.

და, ბოლოს,
6. მსახიობის სცენურ სახეში გარდასახვის პრინციპი.
მსოფლიოს თითქმის ყველა მოწინავე და პროგრესულმა თეატრმა აღიარა ეს დებულებები. ამ პრინციპებზე უზრდობა და სწავლობა ჩვენი ქვეყნის თეატრალური ახალგაზრდობა მისი ეთიკური მოძღვრება მარტო მორალური კოდექსით როდია. იგი მსახიობის ყოფაქცევას და მისი ძირითადი იდეურ-შემოქმედებითი შიფარალების საშუალებაცაა. ინსტიტუტში სწავლების პროცესში და თეატრის ყოველდღიურ სარეჟისორ პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო ინტეგრირდება სტანისლაფსკის „ქმედითი ანალიზის მეთოდი“, ამ სისტემაში დიდი მნიშვნელობა ეკუთვნის სიტყვას, სიტყვიერ მოქმედებას, ამავე დროს, შინაგან მონოლოგებს, „სიჩუნი ზონებს“, განუწყვეტელი აზროვნების პროცესს მსახიობის სცენურ სახეში ცხოვრებისა და პერსონაჟის პირობებს და განგრეობებაში არსებობის დროს. ვლასარაკობ... ვჩუმიდები... ვუპასურობ... ვჩუმიდები განუმეება არ ნიშნავს გამოთმვას, ელარობას და სიცარიელეს, რეალიკის ლოდინს. სცენური პაუზა ყველაზე დაძაბული მომენტია მსახიობის შემოქმედებაში, შემდეგ კი სამეტყველო ტექნიკა, ლიტერატურული ენა და ენის სიმშინდი. მეტყვევლი სხეულისა და პლატატორობის საკითხი და სხვა მრავალი პრობლემა მსახიობის აღზრდის საკითხში პირველხარისხოვან როლს თამაშობს.

სამწუხაროდ, კერ კიდევ დაბალია ჩვენი თეატრების პროფესიული დონე. ცალკეული კარგი სპექტაკლები არ წყვეტენ თანამედროვე ქართული თეატრების მთავარ და ძირითად საკითხს. დღევანდელი თეატრი, ისე როგორც არასდროს, კოლექტიური, სინთეზური ხელოვნებაა, რომლის წარმატებას განსაზღვრავს ყველა კომპონენტის ერთიანობა. დღეს სპექტაკლი ყოვლად წარმოუდგენელია ანსამბლურობისა და სიმონიზმის გარეშე. ამ სიმონიის „დირიჟორია“ რეჟისორი, იგია პასუხისმგებელი ყველაფერზე თეატრში. მის ჩანაფიქრს, ამ ჩანაფიქრის გადაწყვეტაზე დამოკიდებული სპექტაკლის წარმატება, მისი ბედ-ვიღბალი. უდიდესი მწიფეობა ენიჭება რეჟისორის მუშაობას მსახიობთან, რეჟისორს უ ჰედაგოგისა.

სამტოთა თეატრის გამოცდილებამ დაგვიჩვენა, რომ სწორედ ის თეატრალური კოლექტივი აღწევს წარმატებას, რომელსაც საინტერესო და ნიჭიერი რეჟისორები ხელმძღვანელობენ. რეჟისორის ხელოვნებაში ნამდვილი ნიჭიერობა და ორიგინალობა მხოლოდ მაშინ ვლინდება წარმატებით, როცა სპექტაკლი ზუსტად და სრულყოფილადა გამოხატული

პიესის იდეური და ესთეტიკური არსი, როცა რეჟისორული ჩანაფიქრი მსახიობის ცოცხალ ხელოვნებაში ხორციელდება. იგივე უნდა ითქვას თეატრალურ მხატვარზე. დღეს მხატვარი რეჟისორთან ერთად სპექტაკლის თანადამდგმულად გვევლინება. როგორც მოსახენი, ჩვენი რესპუბლიკის თეატრების წამყვან ძალას რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი წარმოადგენს. ეს არის ჩვენი ძირითადი სამჭედლო, რომელიც კადრებს უზრდის ჩვენი რესპუბლიკის თეატრებს. ინსტიტუტის აღზრდილობაზე ბევრი მუშაობს კულტურის დარგში, ხელმძღვანელ პოსტებზე კულტურის სამინისტროში, ამავე ინსტიტუტის რექტორატში, კათედრების ხელმძღვანელობაში, თეატრების მთავარ რეჟისორებად და სხვ. როგორც მოგიწოდებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, შემოქმედებითი ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“, ბევრი, ძალიან ბევრი რამ გვაქვს კიდევ გასაკეთებელი და მოსაგვარებელი, როგორც მეთოდოლოგიურ, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზაციის მხრივ. მით უფრო, როდესაც ინსტიტუტს შეგოვრება ისეთი ფაკულტეტები, როგორიც არის კინოაპრეჟისორო და სატელევიზიო. ეს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ყველას, ვისც ვეწვივით პედაგოგიურ მოღვაწეობას ამ ინსტიტუტში, ვხელმძღვანელობთ ჩვენი თეატრალური ახალგაზრდობის აღზრდას. ასევე დიდი და რთული ამოცანების წინაშე დავიან ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია და მასთან არსებული საოპერო სტუდია. მათ ხელშია ჩვენი ვოკალური და მუსიკალური კულტურის ბედი, აქ ოზრდობაში მთავალი დირიჟორები, ვოკალისტები, ინსტრუმენტალისტები, მუსიკოსიმოდები და სხვ. მასშტაბოვ აკადემია, რომელმაც ავიზარდა შესანიშნავი თაობა მოქანდაკეებისა, მხატვრებისა. ჩვენის აზრით, რაც შეიძლება ჩქარა უნდა დამყარდეს ძალიან მჭიდრო და უშუალო ურთიერთობა ამ სამ შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებელს შორის, უსათუდ ერთობლივ უნდა გადავწყვიტოთ, პირველ ყოვლისა, საწარმოო პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომ პირველი კურსებიდანვე დამყარდეს ურთიერთობა მომავალ რეჟისორებსა, მხატვრებსა და კომპოზიტორთა შორის.

თეატრის უნარი — თვალათაღვი აჩვენოს პიესის მოვლენები მიელი მათი ცხოვრებისეული კონკრეტულობითა და სირთულით — განსაზღვრავს მის მნიშვნელოვან ადგილს ხელოვნების სხვა სახეობათა შორის.

თეატრის უდიდესი რეფორმატორები კ. სტანისლაფსკი და ვლ. გენიროვი-დანიჩევი, პირველ ყოვლისა, ადამიანსა და ადამიანურ თეატრის ხელოვნების საფუძვლად მიიჩნევენ, ხოლო მსახიობს — სცენური მოქმედებით ადამიანის ცხოვრების მთავარ გამოხატველ საშუალებად.

თეატრის ისეთი სასწავლომოქმედ თვისება, როგორიცაა უშუალო ცოცხალი შემოქმედება მსახიობის მაცურებელზე, ცოცხალი კონტაქტი სცენასა და მაცურებელთა დარბაზს შორის და, აგრეთვე, პირობითობის ძლევაშოსილი ძალა, მის ხელოვნებას საპარადისო ნიშნს ანიჭებს. კინოსა და ტელევიზიის ტექნიკური აღჭურვილობის პირობებშიც თეატრალური „ცალკეა“ იეუცვლელი რჩება.

თეატრალური ხელოვნების განვითარების პროცესში ხდებო-

და ჩამოყალიბება და ფორმირება სარეკისორო ხელოვნებისა, როგორც დამოუკიდებელი პროფესიისა. იზრდებოდა რა რევი-სორის მნიშვნელობა და როლი სპექტაკლის შექმნის პროცეს-ში, ცნობილი თეატრალური „სამკუთხედი“, დრამატურგი-მსახიობი-მსუვრებელი, გარდაცემა თეატრის „თიხვუნხედადი“. დრამატურგსა და მსახიობს შორის ჩაღვა შუამავალი — რევი-სორი დადგმული. როგორც ამბობს ნემსრიგოვი—დენქენი, სამ-სახოვანი ხელოვანი. 1) რევისორი ინტეგრირებული, 2) რე-ვისორი — სარკე პედაგოგი, 3) რევისორი — ორგანიზატო-რი ან როგორც ამბობდა ვეკელი ვახტანგოვი — მისი აზრით, რევისორს, თეატრის ხელმძღვანელს უნდა გაანდეს სამი თვი-სება: 1) აღქმა და შეგრძნება პიესისა, 2) დროისა და თანა-მედროვეობისა, 3) კოლექტივის შერჩევა.

პიესა ორი სიციცხლით ცოცხლებს—ლიტერატურულით და სცენურით. პიესის ავტორი დრამატურგია, სპექტაკლის ავტო-რი — რევისორი და მიოელი თეატრალური კოლექტივი.

მიივც ვინ არის რევისორი? ზოგადად რევისორი კი არა, არამედ ახლა, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა თე-ატრში მომუშავე რევისორი?

უფრო ზუსტად, როგორ წარმოვიდგინო ჩვენ საბჭოთა რე-ვისორი, რა მიგვიჩნია ამ პროფესიაში ყველაზე მნიშვნელოვ-ნად, აუცილებლად და ფაქტულად, რაა ის, რასაც ზოგჯერ ვერ ვპოულობთ ჩვენ ახალგაზრდა კოლექტივში? და ბოლოს, როგორ აღვზარდოთ რევისორთა ახალი თაობა? როგორ და-ვეხმაროთ ნიჭიერ ადამიანებს რევისორაში „იპოვონ საკუთარი თავი“, როგორ დაეუფლონ პროფესიას და ერთდროულად აღ-მოაჩინონ ის ახალი და განუმეორებელი, რაც ყოველმა მთ-განმა უნდა მოიტანოს ხელოვნებაში?

ესა და მრავალი სხვა საკითხი გვაწუხებს სპექტაკლზე მუ-შაობის პროცესში, შემოქმედებით თათბირზე, თბილისის თე-ატრალური ინსტიტუტის კვლევებში, სადაც ვასწავლით, გზელ-მძღვანელობთ მასახიობის ოსტატობისა და რევისორის კათედ-რებს მრავალი ათეული წლების განმავლობაში.

არა მგონია, ვინმემ საკამათოდ გახადოს ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა რევისორი ჩვენს დროში მრავალმხრივ განათლებული პიროვნება უნდა იყოს, ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნე-ბის თეორიის მცოდნე, მარქსისტულ-ლენინური თეორიით აღ-ჭურვილი პიროვნება. ეს ყველაფერი აუცილებლად სჭირდება რევისორს, როგორც იდეოლოგიური ფრონტის მუშაკს, რომე-ლიც მოწოდებულია შექმნას მაყურებლის აღმზრდელი ნაწარ-მიები. მაგრამ ეს ხომ თეატრმცოდნისთვისაც აუცილებელია! რითი განსხვავდება რევისორი აღმზრდელისაგან? რისი ნი-ჭი უნდა ჰქონდეს მას მომადლებული? რაში მდგომარეობს სპექტივაში მისი პროფესიისა, მისი ხელობისა ან სიტყვის სა-უკეთესო მნიშვნელობით? ამ კითხვას ამომწურავი პასუხი გას-ცა ჩვენი თათბის რევისორთა აღმზრდელმა, საბჭოთა თეატ-რის ერთ-ერთმა მშენებელმა, გამოჩენილმა რევისორმა ალექ-სი დიმიტრის ძე პოპოვმა.

„უნარი მონახო სპექტაკლის სასე, ჯერ მოუსინჯავი ფორმა, ზუსტი რიტმები, მილიანიბა, ეს იწვიათ უნარი მხოლოდ რჩეულითა მოწოდება, ამაში მდგომარეობს რევისორული ნი-ჭის ძალა, რევისორული ხელოვნების არსი“.

სარევისორო ნიჭი ეს ის მადანია, რომელიც ნამცვე-ნამცვე

უნდა მოიპოვო. ამიტომაც სარევისორო ფაკულტეტის დაკო-მლექტების ამტანად მიღებული წესი უნდა გადაინიშოს. რა საჭიროა ურსზე 12-15 ადამიანის მიღება, როცა ნამდვილად ნიჭიერი მხოლოდ ხუთია? შესაძლოა კი მისაღები გამოცდებ-ბის მეშვეობით იმ ურსზურასა და აღიპქითში, რაც თან სდევს მიმღები კომისიის მუშაობას, განისაზღვროს ვინ დადგეს აბიუორიენტთა შორის კარგი რევისორი? საიდუმლო არ არის, რომ ჩვენი თეატრალური ინსტიტუტები რეველარულად უშ-ვებენ სარევისორო კადრებს, ხოლო იქიანად თეატრში წარმა-ტებით მხოლოდ ერთეულები მუშაობენ. ახალგაზრდა თეატრა-ლური განათლების მქონე ადამიანები, რომელთაც სარევისო-რო ფაკულტეტის დიპლომი აქვთ, ბევრია, ძალიან ბევრია, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდა რევისორები ცოტაა, იმით თო-თებზე ჩამოთვლილი. მაგრამ ინსტიტუტში მიღებაზე, სწავლე-ბის ხასიათზე ცოტა ქვემოთ ვილაპარაკებ. ახლა ისევე რევი-სორის პროფესიაზე.

ამრიგად, რევისორობა სპექტივიკური ნიჭია. რევისორი სპექტაკლის ავტორია, განუმეორებელი თეატრალური ნაწარ-მიების შემთხვეული. მაგრამ, ამავე დროს, იგი არაა ცივი, მხოლოდ გონებით შემთხვეული, არაა უბრალოდ მოხერხებულ გამომგონებელი. სპექტაკლი უნდა ტანჯვით გამოაწირო, სა-კუთარი სულში და გულში მოამწიფო ჩანაფიქრი! მაშინ ეს ჩა-ნაფიქრი, ეს რევისორული გეგმა აღფრთოვანებს მსახიობებს, აიძულებს მაყურებლებს მოქმედების თანაზიარნი გახდნენ.

რევისორს სჭირდება ფანტაზია, მხურვალე გული და, თა-ვისთაყად ცხადია, პლასტიკური სახეებით აზროვნების უნარი. რევისორის ერთ-ერთი შთავარი ამოცანაა შექმნას სპექ-ტაკლის მუყობის კომპოზიცია, რომელიც ერთიანი ჩანაფიქ-რით იქნება გამსჭვალული, რევისორისათვის აუცილებელია კომპოზიციის გერნობა, მთლიანისა და ცალკეული ნაწილების შთანხმების მიგნების უნარი! ეს მატრული მთლიანობა სპექტაკლში მიიღწევა იმით, რომ რევისორი ყოველი მნიშ-ვნელოვანი ფსიქოლოგიური მომენტისათვის ეძებს შესაბამის გადაწყვეტას, მიზანსაცნას. აქ იგი მოქმედებს დრამატულ მოქმედების სცენური კომპოზიციის კანონებს მიხედვით და, ამასთანავე, ითვალისწინებს ცოცხალ ადამიანების მოქმედე-ბას, ადამიანებისა, რომლებსაც წარმოსახვენ მსახიობები. თუ არ არსებობს მსახიობის ღრმა და ჭეშმარიტი ცოდნა, თუ რე-ვისორს არ შეუძლია მსახიობთან მუშაობა, თუ რევისორი ვერ ესმარება მსახიობს ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით გახსნას ჰერმანსეთა ხასიათი, მაშინ არ არსებობს სარევისორო ხე-ლოვნება.

მე დრამატული თეატრის კარგ რევისორს შევადარებდი კარგ დირიჟორს: იგი უნდა იყოს დირიჟორი თავისი სპექტაკ-ლისა, მისი ტემპორიტეტისა (ტემპორიტეტი ხომ შინაგან დაძაბულობის, შინაგანი განწყობილების ხარისხია).

რევისორის მოთხოვნილებად უყენებენ იყოს უაღრესად დი-დი გამომგონებელი, შექმნოს ააგოს სცენური ნაწარმოებები, რომლებიც მართალი, უბრალო და ნათელი ფორმით ასახა-ვდნენ გარემო სინამდვილას, მაგრამ არ იძლეოდნენ მის ნატუ-რალისტურ ახლს და ამას აღწევდნენ თეატრის სახიერ სა-შუალეტება მიეზობით.

რევისორი არის მიოელი სპექტაკლის ორგანიზატორი. ამ

მიზნისათვის იგი უნდა იყოს ტაქტიანი, ენერგიული და თამამი ორგანიზატორი, კულტურული და გულისხმიერი პედაგოგი.

თეატრის ხელოვნებაში რეჟისორის როლი სულ უფრო და უფრო რთული ხდება. მაყურებლის საერთო კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად ისრდება მოთხოვნილება თეატრისადმი. რეჟისორს არა აქვს ნება „გაიმეოროს განვილილი“, ტკეპლის ერთი ადგილი. მან ზევრი უნდა იფიქროს ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე.

მსახიობთან რეჟისორის მუშაობის სფერო ყველაზე ძირითადია სპექტაკლის შექმნის პროცესში. მე ვფიქრობ, რომ თანამედროვე რეჟისორი არ შეიძლება იყოს მხოლოდ შუამავალი ავტორსა და თეატრს შორის, მხოლოდ ბებიია ქალი, რომელიც სახის დაბადებას შევლის.

რეჟისორს უნდა შეეძლოს ფიქრი და განსჯა, მან უნდა გააღვიძოს მსახიობის აზრი და იმ შესასხს სპექტაკლში თავის ჩანაფიქრს სორცი, რომ მაყურებელს თანადროულობისათვის საჭირო აზრები გაუღვიძოს.

სისტემის ყოველი ცალკეული ელემენტის შესწავლა ნიჭიერი მსახიობისათვის არ არის მხელი. ყველა ელემენტის თავმოყრა მსახიობის ზუსტი, შემოქმედებითი თვითშეგრძნებისათვის რეპტიციასზე ან სპექტაკლზე უკვე გაცილებით ძნელია. სოლი სისტემის ყველა ელემენტის, მსახიობის შემოქმედებითი თვითშეგრძნების, მისი აზრის, განცდისა და გრძობის წარმართვა როლის, სახის და საბოლოო ანგარიშით კი სპექტაკლის „წაემოცანისთვის“ წარმართვა ძალიან ძნელია. ამისათვის საჭიროა არაა იყო თეატრალური პედაგოგი, საჭიროა იყო რეჟისორი-შემოქმედი, პოეტი-შემთხვეული ამ სატყვის ტექნიკური მნიშვნელობით, ე. ი. დაწყოფილი და მოზარდუნე ადამიანი. ადამიანი, რომელსაც ურჩება, მრავალფეროვანი სამყარო, ესმის საბჭოთა ხელოვნების მიზანი და დანიშნულება. (საარგებლობ შემთხვევითი და მინდა დავემო თეატრის მოღვაწეთა რეჟისორ-დამამბეულად და რეჟისორ-პედაგოგებად დაყოფა. ერთივე და მეორევე მე ნაკლებად, ცალმხარეად მერჩებება. რეჟისორის პროფესია ორივე უნარის შესმატებულაბს მოითხოვს.) თუკი განვიხილავთ თანამედროვე საბჭოთა თეატრში რეჟისორის მოღვაწეობასა და რეჟისორის ისტორიას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების დამხმარე სახეობებში რეჟისურა შემოქმედების სასეგებით დაბოკოვდებულ სახეობად გადაიქცა.

ჩვენს წინაა თი ხელოვანი: მსახიობი და რეჟისორი. ორივეს აცოცლებს აზრი მომავალ ნაწარმოებზე. ერთის ფანტაზიის საფინია სპექტაკლი, მეორისა — სცენარის სახე. მაგრამ, ამავე დროს, მათი შემოქმედებითი განწყობილება განსხვავებულია: რეჟისორის ოცნება დადი და თამაში, იგი მწერლისა თუ მხატვრის საგავსად წარმოადგენს მოქმედებით ალტურვილ სურათებს, ხოლო ყოველივე ამას იგი განახორციელებს სხვადასხვა საშუალებებით და, უპირველეს ყოვლისა, სახიობის შემოქმედების მეოხებით. შეგასხენებთ, რომ ზოგჯერ თეატრს შეუძლია არსებობა ხელოვნების ამს თუ იმ სახის გარეშე. მუსიკის, ცეკვის, ფერწერის გარეშე. მხოლოდ მსახიობი წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს, სახიობის გარეშე არ არსებობს თეატრი.

მსახიობთან მუშაობის უნარი, უპირველეს ყოვლისა,

განასწავრავს რეჟისორის ხარისხს. მისი მოვალეობაა, მისი სისხლხორცეული საქმეა მსახიობში შემოქმედების დრმა და ზუსტი მეთოდოლოგიის აღზრდა. რეჟისორის საბჭოთა სკოლა მუდამ იყო ალტურვილი მსახიობთან რეჟისორული მუშაობის ნაირგვარი ხერხებით.

1898 წელს ჩამოყალიბებულმა მოსკოვის სამხატვრო თეატრმა რეჟისორის ხელოვნებაში ახალი ეტაბი ჩამოაყალიბა. პირველად რუსულ თეატრში რეჟისორი ვახდა სპექტაკლის იდეური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. იგი დრმად და საგულდაგულად ანალიზებდა სპექტაკლის ხაზს და მას განახორციელებს მსახიობთან დიდი და ერთობლივი მუშაობის მეოხებით, რეჟისორის ასეთი მოღვაწეობის შემოგომბით წარმოიქმნება მსახიობური ანსამბლი, სადაც ყველაფერი ემორჩილება ზოგად ჩანაფიქრს და სადაც არ არის ეგრეთ წოდებული „პატარა როლები“.

ჩვენი სახელგანთქმული ოსტატები სწორედ იმით არიან დიდნი, რომ ჰქონდათ უნარი აეყუთ მსახიობის სული, ჰქონდათ უნარი ამ ურთულესი ინსტრუმენტის მომართვისა და მისგან შემეწინური მუსიკის შექმნისა. ვთქვათ უფრო ზუსტად, ისინი ასწავლიდნენ მსახიობს შეეცნოთ საკუთარი ბუნება, როგორც ამას აგებდება კ. სტანისლავსკი. რეჟისორის უმაღლესი მიწოდება ისაა, რომ მსახიობში აღზარდოს ხელოვანი, შემოქმედი, რომ შექმნას სათანადო პირობები ნიჭის გახსნისათვის.

სტანისლავსკის სკოლა, მისი სიტყმა სწორედ ამ დიდ მიზანს ემსახურებოდა. მაგრამ როგორც არ არსებობს ორი ერთნაირი მსახიობი, ასევე არ არსებობს ორი ერთნაირი რეჟისორი. ამიტომ რეჟისორისათვის ცოტაა მხოლოდ იცოდეს სტანისლავსკის სიტყმა. რეჟისორს არ ეყოფა მხოლოდ გასიცდილება და პროფესიული ცოდნა. იგი უნდა იყოს კარგი ფსიქოლოგი, აუცილებელია ნებისყოფა, მოთმინება, კულტურა. თეატრალური ხელმძღვანელის საკუთარი ტიპი ის ხელმძღვანელია, რომელიც ყურს უკვდება საქმეში მყოფთა აზრს, ეთათბირება ადამიანებს, აქვს უნარი დარწმუნებისა და არა ძიულებისა. რეჟისორის სიყვითესა და დამთმობ სახისათვის, ზოგჯერ სავალაო შედეგამდე მივყავით. საუკეთესო შედეგს აღწევდნენ თეატრები, რომელთაც სათავეში ედგათ ნებისყოფით აღესილი ადამიანები, ვინც მრავალ საკითხს ერთპიროვნულად წყვეტდა. საკმარისაა გაიხსენოთ კ. სტანისლავსკი, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენი, ე. ვახტანგოვი, გ. მეიერჰოლდი, გ. მარჯანიშვილი, ა. თაიროვი, სანდრო აბშეტელი, ლეს კურბასი, ა. პოპოვი, ა. ლიბანოვი და სხვები.

სტანისლავსკის რეჟისორის ოდესღაც არცთუ უსაფუძვლოდ დესპოტიკურს უწოდებდნენ. ახლა ჩვენ ვიტყვით, რომ იგი დიქტატორული იყო, მაგრამ რატომღაც ზევრ კარგ მსახიობს ძალიან უნდა გამოსცადოს რეჟისორ-დიქტატორის ძალაუფლება. რეჟისორის მიქალაქებობრივი, ესთეტიკური და ეთიკური იდეებით გატაცებული მსახიობები ხალხით და ნებაყოფლობით ემბრობიან მას. მკაცრი წესრიგი და მაღალი მოთხოვნებლობა კი არ აშინებს მათ, არამედ იზიდავს. მე ვფიქრობ, რომ მსახიობთა ნაწევარზე მეტს უყოყმანოდ ურჩენია პრინციპული, მკაცრი და მომთხოვნი რეჟისორი და არა უპრინციპო და „კეთილი“ რეჟისორი. პრინციპულობა და მუშ-



მითხვენლობა აუცილებელი თვისებებით შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული რეჟისორისა, ყველა მომთხონი ხელოვანისა. და ირკვევა, რომ საქმისთვის მთავარი არაა „დიქტატორია“ რეჟისორი თუ „დემოკრატია“. მთავარია, საითაა მიმართული მისი ნებისყოფა, რა მიზნობითა იგი განსხრულად მომთხონი მსახიობის მიმართ და რის მოთმენა არ სურს.

ახლა ძალიან გავრცელებულია სიტყვა „თვითგამოხატულება“, „რაივის არ შეუძლია ამიერძალის ასე დავიწიოს სამყარო“, ამბობენ ახალგაზრდები, მაგრამ მწერალსა და მკითხველს, ფერმწერსა და მასურებელს შუამავალი არა ჰყავთ. მწერალს შეუძლია ერთჯერ მზე შავად წარმოადგინოს, ფერმწერს შეუძლია დაარღვიოს პერსპექტივა და ადამიანური სხეულის პროპორციები, ვინაიდან სიტყვა, ისევე როგორც ხაზები, ფერები, თავისთავად, მკვდარი, ინერტულია. მათი გასულიერება შეუძლია ხელოვნს. რეჟისორს კი საქმე აქვს გასულიერებულ „მასალასთან“, ცოცხალ, მოაზროვნე და მოქმედ მსახიობთან. იგი ძირითადად მსახიობთან ერთად და მსახიობის მემუგობით ქმნის.

მოქმედლე თიხს, ქვასა და მარმარილოს არ აცნობს თავის ჩანაფიქრს. რეჟისორს არა აქვს უფლება დაემთავასოს მოქმედავს, რადგან მსახიობის შემოქმედებაა მასალა რეჟისორისათვის.

როცა რეჟისორს არ შეუძლია ან არ ეხერხება მსახიობის გატყუება და ამიტომ უსიტყვო მორჩილებს მოითხოვს, ასეთ დროს ფიქრის ხოლომე, ამით ჩვეს შემოქმედებით თავისუფლებას ვაღწევო, მაგრამ იგი ცდება. სამყაროს გარკვეული თვალსაზრისით დანახვის უფლება აქვს მსახიობსაც. სპექტაკლი საერთო იდეებით გაერთიანებული მსახიობებისა და რეჟისორის ერთობლივი შემოქმედებითი ნაყოფია. რეჟისორის შემოქმედებითი თავისუფლება შეუთავსებელია მსახიობის შეზღუდვასთან.

რეჟისორი, რომელიც პიესასა და მსახიობებს მხოლოდ სააღმშენებლო მასალად იყენებს, უპირობოდ იყენებს იმ რეჟისორს, რომლის მივლი ენერგია და ნებისყოფა მიმართულია იდნის გამოხატვისაკენ, მსახიობურ ინდივიდუალობაა გახსნილი.

ყოველი ნიჭიერი რეჟისორი, მე ვიტყვოდი, მოვალეც კია, იყოს დიქტატორი სიტყვის სწორედ ამ გაგებით. და ასეთი ტიპის „დესპოტიზმი“ სრულებით არ ზღუდავს მსახიობის ინიციატივას, არ აფერხებს თავისუფლებას, ხოლო რეჟისორი, რომელიც მსახიობის დუქვზე ცნევაკვს, მხოლოდ მოჩვენებითადაა მისი პირველი მეგობარი, ის უფრო უბედურკია და უნებისყოფო ადამიანია ანდა უპრინციპო.

ამირიკა, ნებისყოფა, ძალაუფლება და ნიჭი რეჟისორს საკუთარი განდიდებისათვის არ სჭირდება. ისინი მიმართული უნდა იყოს პიესის და მსახიობთა ტალანტის გასახსნელად, რათა საბოლოოდ მიეცეს ნაწარმოების იდეურ აზრს ღრმა შინაგანი გამოხატველი თავაწყვეტილება და თანამედროვეთა ინტერესის გამოიყვოს. დადარდროლობა და თეატრალური ხელოვნების თანამედროვე ფორმები მნიშვნელოვანი და რთული პრობლემაა და რეჟისორს უფლება არა აქვს გვერდი აუაროს მას.

უფროსი თაობის ოსტატობის ტრადიციები შევიდა საბჭოთა მრავალფეროვანი თეატრის შემოქმედების პრაქტიკაში. დღეს წარმოდგენილია სპექტაკლი სარეჟისორო პარტიკურის გულმოდინე, დაწვრილებითი დამუშავების გარეშე. მკვეთრი და ნათელი სარეჟისორო ჩანაფიქრის, უსტატო მიგნებულ ხერხისა და გადაწყვეტის გარეშე. იმ სპექტაკლებში, სადაც რეჟისურა პრინციპულ სიმალეზე დაგას, თითქოს ყველა ერთბაშად აღწევს გამარჯვებას: ავტორი, მსახიობები, მხატვარი, კომპოზიტორი. ამ სპექტაკლებში ნათლად შემინევა ანსამბლისა და სიმფონიზმის გრძობა. დამასახიობებელია, რომ სწორედ ჩვენი გარდასული რეჟისორების დადგმებში და ჩვენი თანამედროვეების საუკეთესო სპექტაკლებში თვალისმომტრელად იხსნება აქტიორული ინდივიდუალობა.

რეჟისორი მხოლოდ დამდგმელი როლია, იგი იდეური ხელმძღვანელია, კოლექტივის აღმზრდელი. მისი შემოქმედებითი აზროვნების სპექტივაცა თავისებურია, მასში ჭარბობს მთლიანობის გრძობა. იგი წარმოადგენს რთული სუნების ნაწარმოების შემთხვევს. „სპექტაკლის კომპოზიციური აგების სფეროში რეჟისორი ისევე მდიდარი გამოხატვულია, როგორც ფერმწერი და მწერალი“ — ამბობდა ა. პოპოვი.

სპექტაკლის ზოგადი ჩანაფიქრი ცოცხლობს მის ცალკეულ ნაწილებში და ყოველ დეტალს ეტყობა მთლიანის აზრი, როგორ შეუძლია თანამედროვე რეჟისორს არ იყოს დაუფლებული კ. სტანისლავსკის ერთ-ერთი უკანასკნელი ამოჩენისა — ქმედითი ანალიზის მეთოდს? ამ მეთოდმა შეაიარაღა მსახიობი პერსონაჟის საქცილის ბუნების გასაღებით. მან გადატრიალ შეწყვიტა მსახიობის სარეჟიციო დარბაზში ლაყობა; იმპროვიზაცია შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ქმედითი საშუალო გადაიქცა.

მაგონდება: 1935 წელს თბილისის წითელი ამიბის რუსულ თეატრში დააარსა ორწლიანი სტუდია, რომელსაც კადრები უნდა მოემზადებინა ამიერკავკასიის სამხედრო თეატრისათვის. ამ სტუდიის ხელმძღვანელობა მე მომანდეს. რუსთაველის თეატრი — პირადად კი ა. ამბეტელი შევთანხმდა ჩვენი თეატრს. და რაკი ა. ამბეტელი იყო გეგვი, სტუდიის სტრუქტურა მასთან უნდა შემთანხმებინა. მან დამავალა შემედგინა პროგრამა მსახიობის ოსტატობაში. ჩავეჯვრი და გულმოდინე ვაგავთუ. ამბეტელმა გადაიკითხა და მიითხრა, რომ მეტე ყურადღება უნდა მიექცეს იმპროვიზაციას, მსახიობის ფიზიკური მოქმედებით აღძრულ გრძობას.

პროგრამა მივეტანე ჩვენი შეუს განსახილველად. ამბეტელმა დიდი ყურადღებით გადაიკითხა და მიითხრა: ეს „სტანისლავსკის სისტემა“? ალბათ, ყველაფერი სწორია, თქვენ ხომ ამ სისტემაზე ხართ აღზრდილი. შემდეგ ჩაფიქრდა და განაგრძო: მე მაფიქრებს ერთი მომენტი. ამ გაკვეთილების პრაქტიკული, ქმედითი მხარე, რუსები ამბობენ: „**Ныка надо брать за рога**“. თავიდანვე, პირველი გაკვეთილიდანვე, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმპროვიზაციას, მსახიობის შემოქმედებითი ფანტაზიის აღზრდას, ყოველნარი თამაშს. თამაშის პროცესში მსახიობმა უნდა გადაწყვიტოს ჯერ მარტვი ამოცანები თავისი ფანტაზიით, შექმნას სამოქმედო გარემო. მათ უნდა იმოქმედონ, მათში უნდა აღიზარდოს ინიციატივა, აქტიობა, დამოუკიდებლობა და, რაც მთა-

ვარია, უნდა აღუზარდოთ მსახიობში ძირითადი თვისება მისი პროფესიისა. იმ პროფესიის უნარი — ეს სასახიობო პროფესიის ძირითადი თვისებაა, ჩემის აზრით. იგი განაპირობებს მის ნიჭიერებას. მსახიობის ფიზიკური მოქმედებით აღმოცენებულ გრძნობას არაფერი ფარავს... საინტერესოა ის, რომ თვით „მსახიობის ოსტატობის“ საგანს ასმეტელმა იმ პროფესიისა შეარქვა რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიებში, სადაც ასმეტელი კითხულობდა ლექციებს „ფსიქოქენიკის“ შესახებ. სასწავლო ცხრილში — „მსახიობის ოსტატობის“ მაგივრად „იმ პროფესიისა“ ეწერა. ჩემთან საუბარში განსაკუთრებით ხაზს უსვამდა სცენური თამაშის არტისტიზმის მომენტს. მე მაშინ ნათლად ბოლომდე არ შესმოდა მისი ასეთი გამაზვიებელი ყურადღება ფიზიკურ მხარეზე. როგორც ჩანს, იგი გუშნობთ, ინტუიციით გრძნობდა იმას, რაც შემდეგში სტანისლავსკის მიერ აღიარებული იქნა არსად მსახიობის ხელოვნებისა — იგულისხმება „ქმედითი ანალოზის“ ცნობილი მეთოდი — დაგურუნდეთ კვლავ იმ პროფესიისა, განაგრძობდა ასმეტელი. მსახიობის შემოქმედებაში ყველაზე ძვირფასია მოულოდნელობა, ახალი ხერხი, ფერი, საშუალება, სწორედ ეს არის დიდი ტრანსანტივების დამახასიათებელი თვისება. ასმეტელი დაბეჯითებით მოითხოვდა ჩემგან, რომ პირველი კურსიდან აღვეყურებოდა მომავალ მსახიობებში იმპროვიზაციული განწყობა, ჯერ უპრეტენზიო მარტივ ეტიუდებში, შემდეგ ნაწყვეტებში და ასე შემდეგ, სცენურ გარდასახვებში. იმ კვლევა გამოიმორა, რომ სტუდენტები უნდა მოიღობებინათ მასპროფესიის გაკვეთილებზე საიმპროვიზაციოდ — ტრენაჟზე, ვარჯიშზე და არა ლექციებზე.

1974 წელს გამოქვეყნობა „ისკუსსტოვი“ (ლენინგრადის განყოფილება) გამოსცა ვ. ფინკელშტეინის ძალზე საინტერესო წიგნი, რომელიც განიხილავს და შეისწავლის ოთხი ცნობილი ფრანგი რეჟისორის შემოქმედებას. ესენი არიან შარლ დელუნი, ლუი ჟუვე, გასტონ ბატი, ჟოზე პიტოვეი. ოცდაათიან და ორმოციანი წლებში ამ ოთხეულმა ძალიან დიდი როლი ითამაშა ფრანგული თეატრისა და საერთოდ ევროპული და მსოფლიო თეატრის რეჟისორული ხელოვნების განვითარებაში. მე ძალიან დამაინტერესა შარლ დელუნის ცხოვრებამ და მისმა რეჟისორულმა და აქტიორულმა შემოქმედებამ. იგი იყო პროგრესული, ფართო დიასპოზიის რეჟისორი, ნოვატორი, თამაში ექსპერიმენტებისა და მადიებელი სურის ხელოვანი, ბრწყინვალე მსახიობი, პარიზის ცნობილი თეატრის „აქტელიუს“ შემქმნელი და ხელმძღვანელი, ფრანგული თეატრის რამდენიმე თაობის რეჟისორების, დრამატურგების, მხატვრების, მსახიობების აღმზრდელი. მათ შორის არიან ჟან ვილარი, ბარსაკი, ჟან ლუი ბარო და მრავალი სხვ. საინტერესოა ისაა, რომ როდესაც დრამა გაეყვანა მის შემოქმედებას, მის თეორიულ შეხედულებებს, კერძოდ, თეატრალური პედაგოგიის სფეროში, მისი სწავლებლის მეთოდებსა, სოციალური დამოთხვევა მოხდა შარლ დელუნსა და სანდრო ასმეტელს შორის, კერძოდ, იმპროვიზაციის საკითხში. აი, რას წერს ე. ფინკელშტეინი თავის ბრწყინვალე წიგნში „ოთხთა კარტელი“: „შეადინებოდა პლასტიკაში, აკრობატიკასა თუ ტანვარჯიშში შარლ დელუნისათვის მხოლოდ და მხოლოდ

ვარჯიში იყო. „აქტელიუს“ სკოლის მთავარ საგანს ყოველთვის იმპროვიზაცია წარმოადგენდა. თავდაპირველად დელუნე იძლეოდა სავარჯიშოებს, რომლებიც ემყარებოდნენ გრძნობათა ხუთი ორგანოს მიღებულ შეგრძნებებს: „თვალთ გაადევნეთ პაღნი ჩიტის ვაფრენას!“, „ყური მთავარივარის ზარების შორეულ გუგუნს“, „ხელით შეეხეთ სუვილის და იგრძენით როდენ უხეშია იგი“, „გემო გაუსინჯეთ სხვადასხვა მარკის ღვინოსა თუ შერეულ სასმელს“... ეს თავდაპირველი სავარჯიშოები ადასტურებენ, როგორ ფართოდ ესმოდა დელუნეს იმპროვიზაცია... „აქტელიუს“ სტილი ყალიბდებოდა მოწიწებული პატივისცემით პიესისადმი, მის მკვიდრთა რეალობის რწმენით, სპექტაკლის რიტმის ძიებით პერსონაჟთა ცხოვრების რიტმში. „აქტელიუს“ დაეფუძნა მსახიობთა გრძნობების ცოცხალ დამაჯერებლობას, ანსამბლურობას, ამოუწურავ სარეჟისორო ფანტაზიას, სპექტაკლის სინთეზურობას, იმ სპექტაკლის სინთეზურობას, რომელიც ერთიან სახეობად მიზნის უზორჩილებდა მიზანსცენას, მუსიკას, მხატვრობას, არქიტექტურას, განათებას და პლასტიკას“.

რა საინტერესოა, რომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დროის თეატრალური ხელოვნების დიდი წარმომადგენლები ძირითად მნიშვნელოვან საპრობლემო საკითხებში ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ყოველთვის ერთმანეთის გვერდით იყვნენ. გასაოცრად თვითმოდებელი ინტელექტისა და თეატრალური ხილვების შემოქმედი იყო ასმეტელი. შემდეგ, როგორც ასმეტელის შემოქმედებითა პრაქტიკამ დაგვიანა, იგი მინიშნულად დროს ამხარდა სამკვიდრო პირობებს. მისთვის მთავარი იყო უშუალოდ მოქმედებითი ძიება ხასიათებისა რეპრეზენტაციებში. მის რეპრეზენტაციებში იმპროვიზაცია არსებითი მნიშვნელობის ხერხი იყო, ხერხი ძიებისა, როლის შეთხზვის გზა. ამ გზით ამზადებდა მსახიობი ნიადაგს სცენური სახის აღმოცენებისათვის, გარდასახვისათვის. ასე იბადებოდა ადამიანის სულისა და სხეულის სიცოცხლე, სცენური სახის გარეგანი და შინაგანი დახასიათება.

რეჟისორი გვერდს ვერ აუვლის ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მრეკვიდრებობას მსახიობის გარდასახვის შემოქმედებით პროცესში, ფიზიკური განწყობილების როლს, „მეორე პლანს“, მის „მარცვალს“.

მე შემთხვევა მქონდა ერთი წელი ასლო ვყოფილიყავი ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან. ეს იყო დიდი სამამულო ომის წლები თბილისში, სადაც იმყოფებოდა სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელთა ჯგუფი. მასთვის ნემიროვიჩ-დანჩენკომ ნახა ქართული სპექტაკლი — დარასელის „კიკვიძე“. მე გვერდით ვუჯექი და ვუთარგმნიდი. გმირის სიკვდილის შემდეგ ვლადიმერ ივანეს ძე მოციხისა, რისგან მოკვდა? მე ვუპასუხე: როყოი ტყვიამ ძე მოციხე-მეთუი. ჩემი თანამოსაუბრე გაჩუბდა. მერე, ჩვეულებისამებრ, წვერზე წავილო ხელი. და ბოლოს მითხრა: იციტ, კიკვიძე სხვაგვარად ვერც მოკვდებოდა, როლის „მარცვალი“ სწორედ „როყოი ტყვიას! პერსონაჟის გრძნობათა ბუნება სწორედ ამ სიტყვებშია გამოხატული. მე გამაოცა სისუბტემ, რომლითაც ნემიროვიჩ-დანჩენკომ იპოვა როლის „მარცვალი“. როგორი ფასეული და

* ე. ფინკელშტეინი „ოთხთა კარტელი“, გამოც. „ისკუსსტოვი“ (ლენინგრადის განყოფილება) 1974, გვ. 94, 108.

არსებითად აუცილებელია მსახიობთათვის ასეთი რეჟისორული დახმარება! როგორ არ ყოფნით ჩვენს რეჟისორებს ეს უნარი — შეუძლებლად და უსუსტად უკარანახონ მსახიობს, მისი ძიება წარმატონ საჭირო კალაპოტით, ან ჩვევების დახმარებით, ან დროზე მიწოდებული მოკლე, ამომწურავი განასაზღვრით როლის არსისა! და რამდენი უფვირ და მაღალფარდღიანი სიტყვა იხარჯება, რაც ნისლით ბურავს როლს, ათთულებს გზას მისი არსისკენ.

რამდენადაც რეჟისორის პროფესიას ასეთი მნიშვნელოვანი, პირველხარისხოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, ბუნებრივია, ვართულებდა იმათი ამოცანები, ვისაც ვეისრება ახალი რეჟისორული თაობის აღზრდა. მათ ხელში ხომ ჩვენი თეატრალური ხელოვნების მომავალი. ამასთანავე, თეატრალური პედაგოგიკის სფეროში არსებობს მრავალი პრობლემა, როგორც სასწავლო პროგრამებში, ასევე თვით სასწავლო პროცესში.

შე დიდი ყურადღებითა და ინტერესით გავეყვანი პირველი საკავშირო სარეჟისორო კონფერენციის მასალებს. ეს კონფერენცია შედგა მოსკოვში 35-ზე მეტი წლის წინათ. მოხსენებებზე სარეჟისორო კადრების მომზადებაზე წავითხზა ვ. სახნოვსკიმ, ცნობილმა რეჟისორმა და თეორეტიკოსმა, რეჟისორის ხელოვნებისადმი მიძღვნილი რამდენიმე წიგნის ავტორმა. სახნოვსკის წიგნი „რეჟისურა და მისი სწავლების მეთოდოლოგია“ მე მიმაჩნია ერთ-ერთ საუკეთესო დახმარებელ სახელმძღვანელოდ თეატრალურ სასწავლებელთა მსმენელთათვის. საინტერესოა, რომ ვ. სახნოვსკის მოხსენებაში დასაბუღ საკითხებს არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა დღესაც. ჩვენს ინსტიტუტებს, ამზობა სახნოვსკი, არ აქვთ არსებითი ექსპერიმენტული სცენა. ექსპერიმენტული თეატრი, ე. ი. ყველაზე უფრო აუცილებელი რამ ახალგაზრდა რეჟისორის მუშაობისთვის. დაუშვებდა სამედიცინო ინსტიტუტში პრაქტიკული ექიმის გამოშვებას, თუკი მას არ ექნებოდა კლინიკა, ლაბორატორიები, ანატომიური თეატრი? მისცემდა ამის უფლებას თავს, თუკი მას არ ექნებოდა სასწავლებლა ესწავლებინა სტუდენტისათვის ხელში იმ საოპერაციო დანის დაჭერა, რომლითაც იგი ოპერაციას ჩაატარებს? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ კი ყოველწლიურად ვუშვებთ სტუდენტ-რეჟისორებს, რომელთაც არავითარი პრაქტიკა არ ექნებათ სცენაზე მსახიობებთან მუშაობისა. ყოველად აუცილებელია, რომ ინსტიტუტთან შეიქმნას სახელისონო, რომელშიც სტუდენტს შეიძლება ვეწვენიოთ როგორ უნდა დაიჭიროს თავი სცენაზე, როგორც შემოქმედებით პროცესის ხელმძღვანელმა. სარეჟისორო ფაქულტეტს უნდა ჰქონდეს გარკვეული სამუშაო შენობა. ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს კარგად მოწყობილი სცენა და ა. შ. თუკი რეჟისორმა არ იცის, კოსტუმებით, სათანადოდ დაწყობილი ავეჯით, განათებით და სხვათა ერთობლიობით როგორ შექმნას სპექტაკლი, მაშინ იგი ამას ანდობს მონიტორების ოსტატს, ე. ი., მას არ შეუძლია სპექტაკლის გაფორმება“.

ვ. სახნოვსკი ყველაზე სერიოზულ საკითხად მიიჩნევდა პრაქტიკას. შედგომ დაისვა თეატრალურ ინსტიტუტში მიღების საკითხი. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ შესესბა ძირითადად მოდის ათწლებლებიდან, ხოლო ათწლებდამთავრებულებმა

ხშირად ცუდად იციან სიტორია, ლიტერატურა და სრულებით არ შეუძლიათ იმუშაონ წიგნზე. ამავე დროს, სახნოვსკის მიაჩნდა, რომ სარეჟისორო ფაქულტეტის კარები არ უნდა დაეკეზოთ გურინდელ მოსწავლეებს, რომ მათ შორის არც თუ ისე იშვიათად არიან ნიჭიერი ადამიანები, არამწველებრივი, სარეჟისორო ფანტაზიის მქონენი. მიღებისას აუცილებელ პირობად იგი მიიჩნევდა, უპირველეს ყოვლისა, აბითურეიტის დანჯაზისა. მისი აზრით, უფანტაზიო რეჟისორი იგივეა, რაც ყნოსვას მოკლებული დეგუსტატორი. ფანტაზიის გარეშე სარეჟისორო ხელოვნებაში არადრის ვაკეთებთ არ შეიძლება. ასევე სრულიად აუცილებელია, რომ რეჟისორის შექმნის მუშაობის ორგანიზება და ბოლოს, თუკი ახალგაზრდა ყმაწვილს ან გოგონას არ აქვს მწკფარე ტემპერამენტი, რეჟისორად ვერ გამოდგება, არაფერი გამოუვა, ვერ შეძლებს მსახიობებთან მუშაობას. ვისაც რეჟისორობა უნდა, კარგად უნდა იცოდეს სასახიობო ოსტატობის არსი, სასახიობო ოსტატობის ცოდნის გარეშე არ შეიძლება სპექტაკლის აგება, სპექტაკლის შექმნა.

ვ. სახნოვსკი ამტკიცებდა, რომ საუძველესი რეჟისორის მუშაობის მსახიობთან უნდა იყოს მეცადინეობა სისტემა, რომელიც მიღებულია სამხატვრო თეატრში, სისტემა კ. სტანისლავსკისა. არავითარი სხვა სისტემა არავის არასდეს არ წამოგვიხედია.

როგორც ყველა, მოსაზრებანი, მრავალი წლის წინათ რომ გამოთქვა შესანიშნავმა საბჭოთა რეჟისორმა, დღესაც არ მოძველებულა, მათ არ დაუკარგავს აქტუალობა და სიმძაფრე. შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალურმა ინსტიტუტმა თავისი არსებობის განმავლობაში აღზარდა მსახიობთა და რეჟისორთა რამდენიმე თაობა. ჩვენს ინსტიტუტში აღზრდა რეჟისურას ამჟამად წამყვანი მემორაგეონი უკვავია საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში.

სამი უმაღლესი სასწავლებლის — ლენინგრადის, კიევის, თბილისის პრაქტიკამ დადასტურა, რომ რეჟისორის აღზრდა შერეულ სარეჟისორო სამსახიობო გაუფრთხილეს ერთადერთი სწორი, დადებითი გზაა მომავალი თაობის მომზადებისა. რამდენადაც ყველაზე მთავარი მსახიობთან მუშაობის უნარი, რეჟისორის პროფესიას მაქსიმალურდ სწორად ამ პირობებში იხსნება. გარდა ამისა, ეს აძლევს შესაძლებლობას სტუდენტ-რეჟისორს, უფრო სრულად დაეუფლოს თავისი მომავალი პროფესიის ყველა სხვა კომპონენტს.

ექვსი წლის განმავლობაში მე ვმუშაობდი კიევის კარპენო-კარის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, ვგულმძღვანელობდი კათედრას, მიმყავდა შერეული სამსახიობო-სარეჟისორო ექსპერიმენტული კურსი. ვმუშაობდი შერეული გაუფრთხილებით. ამან დადებითი შედეგი გამოიღო. ახლად დამთავრებულ რეჟისორთა შემოქმედებამ, მათმა პირველმა სპექტაკლებმა დამარწმუნეს ამაში.

მე მგონია, რომ მომავალი რეჟისორების აღზრდის პროცესში ყველაზე მეტად უნდა გვენიშნოს „ჰიბრიდებისა“. ესაა რაღაც საშუალო თეატრმცოდნესა და რეჟისორის შორის. „ჭკუის კოლოფი“ რეჟისორი, რომელსაც შეუძლია ბევრი ილაპარაკოს და ყველა თემას შეეხოს, ათამაშოს სტანისლავსკის სისტემის ყველა ტერმინი და აბსოლუტურად არ შეუძ-

ლია იმუშაოს მსახიობთან, სარგებლობას ვერ მოუტანს თეატრს. ამ თემაზე ფიქრისას, მე, როგორც მეჩვენება, მივაგინე მომავალი რეჟისორის პრაქტიკის პრობლემის გონიერ გადაწყვეტას. მსურვალედ მზარი უნდა დაუკუთროთ მიკროთეატრების დაბალ კარგობზე ორგანიზების პრაქტიკას. ეს პირველი საფეხურია. შედეგში — სასწავლო თეატრი, სადაც წლის განმავლობაში უნდა იმუშაონ ინსტიტუტდამთავრებულმა რეჟისორებმა და მსახიობებმა მასწავლებელთა მეთვალყურეობით. ამ მეორე საფეხურის გარეშე მე ვერ წარმომიდგინა რეჟისორის შემდგომი ბედი, თუ ჩვენ გვინდა მივეცეთ მას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მომზადება.

შემდეგი საფეხური ახალგაზრდა რეჟისორის აღზრდაში არის მისი დაბოლოებული მუშაობა თეატრში. მაგრამ აქაც, როგორც მე მეჩვენება, უფროსი თათბის რეჟისორებს და თეატრის ხელმძღვანელებს შეუძლიათ აღმოუჩინონ მათ დახმარება. სამუშაოდ, დახმარება უფრო ხშირად იმას ჰქვია, რომ ისტაბლ რაღაც დონეზედ მიიყვას ახალგაზრდა რეჟისორის სპექტაკლი, რაღაცაში არღვევს თავდაპირველ ჩანაფიქრს და მერე აფიქსას აწერს თავის სახელს. მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ ასეთი „დახმარებისა“! ცხადია, მოვარე რეჟისორი უნდა დაეხმაროს დამწყებს, მაგრამ როგორ და რაში უნდა დაეხმაროს? დაეხმაროთ ახალგაზრდას ბოლომდე მიიყვანოს თავისი ჩანაფიქრი, ვეკარნახოთ ესა თუ ის გზისკე, რომ არ შეაფრთხვოთ რეჟისორ-დებიუტანტის თავმოყვარობა, არ დაუარღვიოთ მისი შემოქმედებითი გადაწყვეტილება და, რა თქმა უნდა, არ გამოვიჩინოთ ჩვენი სახელი სპექტაკლის აფიშაზე. აუცილებელია უნაგარი შემოქმედებითი დახმარება უფროსისა უმცროსისადმი, პატივისცემა რეჟისორის პირველი ნამუშევრისადმი და ამ რეჟისორის საკუთარი დამოუკიდებლობის გამოვლენის სურვილისადმი!

შეინიშნავ ერთსაც: სპექტაკლის „დამუშავების“ პრაქტიკა, როცა მთავარი რეჟისორი ამხსნევს თუნდაც სუსტ, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ შენობას თავისი უმცროსი კოლეგისა და სასწავლოდ მის ადგილზე რაღაც უფრო მყარს აგუნებს, ეს პრაქტიკა იწვევს უსახური სპექტაკლების მომრავლებას. თეატრში კი ისე, როგორც არასდ, მნიშვნელოვანია მხატვრის ინდივიდუალობის, პიროვნების გამოვლენა.

აუცილებელია ინსტიტუტში პირველი ნაბიჯიდანვე ჩაუენერგოთ მომავალ რეჟისორებს რეჟისორული ვითარების საფუძვლები, რეპეტიციების მეთოდიკა, როლების განაწილების პრინციპები, პირადული და სასოციალური პრობლემები. ესაა საკითხები არა მხოლოდ ვითკური, არამედ ესთეტიკური რიგისაც. შესაძლებელია თუ არა, წინასწარ განესჭვრიტოთ სიტუაცია, რომელშიც მოხდება რეჟისორი? ადუჭურვით იგი ცხოვრების ყველა შემთხვევისთვის გამოსადეგი მსახიობი? რა თქმა უნდა, არ. მტიკონული საკითხები აღიწერება ახალგაზრდა რეჟისორის წინაშე, როგორც თეატრის ზღვრების გადააბიჯებს. ისინი მას ყოველდღიურად შეაიწროვებენ. როგორ მოექცეს ჭირვეულ მსახიობს? როგორ შეუთავსოს შემოქმედებითი სინდისი წარმომადგენელ აუცილებლობას? როდის უნდა დათმოს და როდის დაიცავს მტიკონული თავისი გადაწყვეტილება? როდის ითხოვს და როდის მიიხიზოვს? შეუძლებელია ჩამოეთვალათ საკითხები, რომ-

ლებიც ყოველმა ახალგაზრდა რეჟისორმა ადრე თუ გვიან უნდა გადაწყვიტოს, და უნდა გადაწყვიტოს დამოუკიდებლად, გადაწყვიტოს მარტო და დაუყოვნებლივ.

ის, ვინც შეძლებს ხელთნების, თეატრის საქმის ინტერესები დაეყაროს პატივმოყვარეობაზე, პირად წყენსა თუ პირადულ დაწინაურებაზე მალა, ბოლოსდაბოლოს იპოვის პასუხს უფრო რთულ და დაზარალულ საკითხებზეც. ნიჭი, განება, ნებისყოფა, ცოდნა და ხასიათი რეჟისორისა უნდა ემსახურებოდეს ერთ მიზანს — შექნას თავისთვის და სპექტაკლის ყველა მოწაწილისათვის შემოქმედებითი ატმოსფერო, აღმაფენის პირობები. მე დიდ იმედს ვამყარებ სასწავლო თეატრის შექმნაზე. აქ დაყოვნება აღარ შეიძლება. უთავოდ არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი არაფერზე. წარმოუდგენელია მსახიობისა და მით უფრო, რეჟისორისა აღზრდა სასწავლო თეატრის გარეშე. ამ თეატრში პროფესიულ ჩვევებს უნდა დაეუფლოს ახალგაზრდა მსახიობი. მომავალმა მსახიობმა და რეჟისორმა აბილომი ამ სტუდენტურ სცენაზე უნდა დაიკვას. ვარდა ამისა, სასწავლო თეატრი განდება საუკეთესო პროპაგანდისტი შემოქმედებითი ახალგაზრდობისათვის და თეატრალურ ინსტიტუტში მოიყვანს ნამდვილ ნიჭიერ ახალგაზრდას. აბიურინტების სწორ შეჩვენება უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუტში, უნდა მივიღოთ მხოლოდ თეატრალური ხელნაწილისათვის დაბადებული ნამდვილად ნიჭიერი ახალგაზრდები.

ძალზე მტიკონულად დგას საკითხი თეატრის ტექნიკურ პერსონალთან დაკავშირებით. საჭიროა ვიზრუნოთ ძველი კატეგორიების შემოქმედებულ ახალ კატეგორიებზე. აუცილებელია, რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სცენის რეკონსტრუქცია, რომლის ბაზაზე შეიქმნება ექსპერიმენტული სტუდია-სახელოსნო, რომელიც ჩაატარებს ექსპერიმენტულ შემოქმედებით მუშაობას სამი განხილვა-გამერული ოპერა, კამერული დრამატული თეატრი, კამერული აბალეტის თეატრი. ამ სტუდიას სათავეში უნდა ჩაუდგეს ახალგაზრდობის სექცია. სტუდია-სახელოსნომ უნდა გამოაყლინოს ახალგაზრდა დრამატურგები, რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, იზრუნოს ახალგაზრდა მსახიობების პროფესიული დონის ამაღლებაზე. ქართული საბჭოთა თეატრის რეფორმატორი და ფუნქციონალი გ. მარჯანიშვილი ოცნებობდა სინთეტური აქტიორის აღზრდაზე, იგი უნივერსალური, ვირტუოზული, აქტიორული ტენიკით აღჭურვილი უნდა ყოფილიყო. მარჯანიშვილის ეს აზრი დღეს უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე იყო. მუიუც საუკუნის თეატრი უნდა მოითხოვდეს ისეთ მსახიობს, რომელიც მფლობელი იქნება როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ტექნიკისა, ურობლისოდაც დღეს სრულყოფილად ვერ ამეტყველდება ისეთი პოპულარული ვანრები, როგორცაა ტრადიციონული, მუსიკალური, პანტომიმის და სხვ. ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ისტორიული თარიღისათვის, ამიტომ მისი რეჟოლუციის სამოცი წლის იუბილესათვის. მე მინდა ვუსურვო ჩვენს თეატრალურ ახალგაზრდობას ეს საიუბილო წელიწადი დავეიერგვიჩინოს ახალი დიდი შემოქმედებითი მიღწევებით.



მერაბ

მერაბ

ელენე თულაშვილი

ძმალმა და ამასთან ძალზე საინტერესო ისეთ დიდ და რთულ ხელოვანზე წერა, როგორც მერაბ ბერძენიშვილია. თანამედროვე ხელოვნების „საარსებო“ ამოცანებთან დაკავშირებული მისი შემოქმედება მკვეთრად პრობლემურია. როგორც ჭეშმარიტ მხატვარს, ყველა მოვლენისადმი ხელოვნებასა თუ ცხოვრებაში, მას საკუთარი დამოკიდებულება აქვს, საკუთარი რწმენა, შეხედულებათა სისტემა, რომელსაც უკომპრომისოდ მისდევს. ცნობილია — საკუთარი „მესა“, გარკვეული ესთეტიკური პოზიციის გარეშე მხატვრის ქმნილება უტყვია და თვით გარკვეულ ლამაზ ნიღაბსაც კი არ ძალუძს დაფაროს მისი სიყვარული.

„ხელოვნებაში ყველაფერი სიმახინჯეა, რაც კი არაგულწრფელი და ყალბიაო“, — ამბობდა როდენი. მერაბ ბერძენიშვილისთვის უცხოა „მოდისმაძიებლობა“. სიციხისდამამკვიდრებელი ძალით აღსავსე მისი შემოქმედება აცილებულია ჩაგარდნებსა და აღმართ-დამართს. სიკეთე და ნათელი, კაცთშეყვარება და ვაკაცური შემართება მის ხელოვნებაში უპირისპირდება ბნელსა და ბოროტს, წვრილმანსა და უბადრუკს. ეს ხელოვნება მოგვიწოდებს გმირობისაკენ, გვესაუბრება მარადიულ მაღალ იდეალებზე, ამაღლებს ადამიანის სიციხის ფასს.

მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნებამ, ფორმათ სრულყოფილებით, გაბედულებით, ნოვატორობით

რომ გვაოცებს, საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მან ისეთ სიმაღლეს მიაღწია, როცა უნდა ვიკვლიოთ არა მხოლოდ ნაწარმოებები, არამედ შემოქმედების ფესვები; როცა ინტერესი ღვივდება არა მხოლოდ თვით მხატვრისადმი, არამედ მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებისადმი.

ჩვეულებრივ, სწავლის, ადრეული შემოქმედების პერიოდი დიდად განსაზღვრავს მხატვრის შემდგომ გზას. თბილისის სამხატვრო აკადემიაში, შესანიშნავი პედაგოგების ხელმძღვანელობით, როგორც იყვნენ ნიკოლოზ კანდელაკი, იოსებ შარლემანი, სერგო ჭობულაძე, ლადო გრიგოლია და სხვები, მერაბ ბერძენიშვილი ქანდაკებასთან ერთად თავაუღებლევ ვარჯიშობს ფერწერაში, ხატვაში, საერთოდ, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის სპეციფიკური ენისა და გამოხატვის საშუალებების დასაუფლებლად, რამაც იგი ბრწყინვალედ აღჭურვა, როგორც პროფესიონალი. ასე ყალიბდებოდა მერაბ ბერძენიშვილი არა მხოლოდ მოქანდაკედ, არამედ ძალზე საინტერესო ფერმწერლად და გრაფიკოსადაც. სწორედ ამ დარგებში — ფერწერასა და გრაფიკაში გაიხსნა მერაბ ბერძენიშვილის ტლანტი სხვა მხარეებიც — ერთგვარი მოკრძალებული ინტიმურობა, ლირიზმი, იუმორი, რაც „დიდი ფორმის“ ქანდაკებაში ძნელად გამოვლინდებოდა.

მერაბ ბერძენიშვილის ღრმად მგრძნობიერი,

ბერძენიშვილი



რომანტიკული მსოფლშეგრძნება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა დიდი შთამბეჭდავი ძალის მის მონუმენტურ ქანდაკებაში. დღეს უკვე ძნელია თბილისის წარმოდგენა ბერძენიშვილისეული ქანდაკებების გარეშე. არცთუ დიდიხნის წინ კი ეს ქმნილებები თითქმის უცხოდაც გი გამოიყურებოდნენ ქალაქის იერში, იხოვდნენ თვალის შეჩვევას, ჩაწვდომას. ეს იმიტომ, რომ მოქანდაკის თითოეული ნამუშევარი — ეს ახლის დაბადებაა, ახალი, უჩვეულო ესთეტიკური მოვლენაა. და როცა მზერა სტერეოტიპებს, დამკვიდრებულ მხატვრულ კონცეპციებსაა შეჩვეული, ძნელდება ხელოვანთან „თანაშემოქმედება“, „დროის გასწვრება“, მისი ქმნილებებისათვის რომ არის ნიშანდობლივი. მაგრამ ბერძენიშვილის ხელოვნება გაიგვს, აღიარებს თვით სპეკტიკოსებმაც კი.

მრავალმხრივია მოქანდაკისა და მხატვარ-გრაფიკოსის შემოქმედება, მასზე ბევრი ითქვა და დაიწერა, შემდგომშიც ბევრი დაიწერება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამოიწურება სათქმელი, გახუნდება შთაბეჭდილება. ბერძენიშვილის შემოქმედების თითოეული ნაწარმოები თუ შემფასებელი ალბათ რაღაც ახალ კუთხეს იპოვის მისი ქმნილებებიდან მიღებული შთაბეჭდილებების გადმოსაცემად, გასაზიარებლად. ჩვევს ამ შთაბეჭდილების გაზიარების სურვილმა გადაგვაწყვეტინა წინამდებარე წერილის დაწერა.

დავით გურამიშვილის ძეგლის აღმართვა (1965) ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა დედაქალაქის ცხოვრებაში. უჩვეულოდ პლასტიკურ ამ ქმნილებაში ხორცი შეისხა პოეტისა და ფილოზოფის ღრმად ფსიქოლოგიურმა სახემ. ტრაგიკული ექსპრესიით აღსაგეს ფიგურა უკიდურესად სადა ფორმებითაა დამუშავებული. დიდი სიბრტყეებით, ფართო განზოგადებითაა გადმოცემული ძველქართული სამოსი, რომელშიც მფეთქავი სხეულის თითოეული ნაკვთი შეიგრძნობა. ფიგურის ფორმათა რბილი ძერწვა გამოსახულებას თანაბარი შუქით მოსაგეს, ხოლო სახის შედარებით მკვეთრი მოდელირება შუქ-ჩრდილის უფრო მკაფიო ეფექტს ქმნის. თვალები ღრმადია ჩასმული, გამხდარ ლოყებზე ძლიერად გამოიკვეთება ყვრილობები, ასკეტური სხეულისა და სახის კონტრასტში თითქმის ორი სხვადასხვა საწყისია შერწყმული: ძლიერი ნება და უსაშველო სევდა. სწორედ ამ შეპირისპირებაში იხსნება „ქართული ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფიგურის“ (გ. ქიქოძე) — დავით გურამიშვილის სახის არსი. პლასტიკურ და კონსტრუქციულ კონტრასტებზე ქანდაკების აგებით ავტორმა გადაჭრა პოეტის სულიერი დახასიათების, მისი „შინაგანი ცხოვრების“ ჩვენების ამოცანა. დაბალი კვარცხლბეგი, ფონი — მშვიდი კედლის სიბრტყე, მთელი გარემო წარმოქმნის ადამიანებთან გურა-

მიშვილის სიახლოვის სიბოხსა და ინტიმურობას, მიუხედავად პოეტის სახის ტრაგიკული დაძაბულობისა.

მერაბ ბერძენიშვილისთვის საერთოდ ნიშანდობლივია გრძობათა ქარტეხილების ღრმად შთამბეჭდავი პლასტიკური განსხეულება. ამის ნიმუშია ბიჭვინთის სანაპიროზე აღმართული მისი „მედვა“ (1969). მოჭანდაკის მიზანმა — გადმოეცა ზღვის სტიქიონის დარი, ტიტანურ გნებათა ღელვა ისეთი ძალითაა ხორცშესხმული, რომ „მედვა“ შეიძლება მივიჩნიოთ მონუმენტისა და გარემოს შერწყმის კლასიკურ ნიმუშად. თითქოს ზღვიდან ამოზრდილი ეს დიდებული სკულპტურული ჯგუფი მთელი სივრცითი კომპოზიციის ცენტრად იქცა. მედეას სხეულის საოცრად ქალური, სისხლსავსე ფორმები, პლასტიკურ მოცულობათა ხაზების დინება უკიდურესად ექსპრესიულია და ზღვის ტალღებთან ასოციაციას ბადებს. ქანდაკების შედაპირზე აირეკლება ცის სიკაშკაშე და ღრუბლების მოძრაობა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მედეას სულიერი ბოძოქრობის შთაბეჭდილებას. თითქოს ქარის შემობერვით, სხეულის მკვეთრი მოძრაობით ატალღული მისი თმები იკითხება როგორც სტიქიონის ამოხეჭვა. ქალი განხევებულა მძაფრ მოძრაობაში, საოცრად უსუსტადაა გადმოცემული გადასვლა მოძრაობის ერთი „ფაზიდან“ მეორეში, და არა მხოლოდ დედის, არამედ ბავშვების ფიგურებშიც. მრისხანებასთან ერთად უდიდესი ტყვილია აღბეჭდილი მედეას სახეზე. დედა, რომლის ხელი ესოდენ სათუთად ეხვევა შვილს, ალბათ ვერ მივა შემზარად გადაწყვეტილებამდე. თვით მოჭანდაკის განზრახვა, ჩანაფიქრი გულისხმობს ევრიპიდესეულ მედეასთან დაპირისპირებას. ბერძენიშვილის მედეა მშვენიერი კოლხი ქალია, ღალატისა და სიცრუის გამო სასოწარკვეთილი, აღშფოთებული...

მერაბ ბერძენიშვილის ყველა ნაწარმოები თანამედროვედ ქვლერს, თუმცა კი ხშირად მათ საფუძვლად უდევს ლიტერატურული ან ლეგენდარული-ისტორიული თემა. გიორგი სააკაძის სახე — ის სახეა, რომელსაც დროის საზღვრები არ გაანჩია. რაინდი, მუომარი სააკატე ტრადიციულად წარმოსახულია, როგორც მხედარი. ჩნდება ასოციაციები დონატელოს, ვეროიკოს ცხენოსან ფიგურებთან, მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით, შვეამჩნევთ კლასიკური ქანდაკებისათვის უჩვეულო დისპროპორციას (უშველტებელი მახვილი, პატარა თავი მძლავრ სხეულზე), გამძაფრებულ ექსპრესიას, ჰიპერბოლიზაციას. თანამედროვეობის ხელოვნება ხშირად მიმართავს კონტრასტებს, შეპირისპირებებს, რაც ნათლად მქლავნდება „საკაკაძის“ პლასტიკაში. შორიდან მისი სილუეტი მოხ-



მედვა

დავით გურამიშვილი



დენილია, ცხენოსანი ფიგურა არ ხასიათდება გარეგნული დინამიკით, აცილებულია ბრძოლის ქარცეცხლის ექსპრესიას. მაგრამ ისევე, როგორც „მედუზა“, „საკაქემი“ იგრძნობა „შეკავებული მოძრაობის“ შინაგანი დინამიკურობა. მედუა გაქვავდა წინმისწრაფებულ მდგომარეობაში, სააკაქე კი, ბედაურთან ერთად, საბრძოლველად გამზადებულია. მხედრის და ცხენის მოძრაობის ხაზები ერთ წერტილში იყრის თავს და ამით მიღწეულია ორი ფიგურის განუყოფლობა. ბერძენიშვილი თამამად უთავსებს ერთმანეთს ცალკეულ მოცულობათა დეტალურ და ფართო, ზოგად დამუშავებას. ასე, მაგალითად, ცხენის თავის, ხმლის, ფარისა და სხვა დეტალების თითქმის დაწერილ-მანებელი ფაქტურული გამომცემა ხელს არ უშლის საერთო შთაბეჭდილებას, პირიქით, ფორმათა ენერგიულ განზოგადებას ავლენს.

დიდი მორავის მრისხანე სახე გამოძერწილია ფართოდ, მძლავრად, მკაფიოდაა გამოკვეთილი სახით თითოეული ნაკვთი, ცეცხლისმფრქვეველი თვალები, კისრის მძლავრი კუნთები...

და, აი, ვაკაცური ტემპერამენტითა და მძაფრი ექსპრესიით აღსავსე სააკაქის შემდეგ იგი ქმნის ხელოვნების სიმბოლოს „მუზას“ (1971). გარეგნულად მშვიდი ეს დეკორატიულ-ალეგორიული ქანდაკება ნაკლებად როდი შეიცავს „შინაგან აღმაფრენას“, მას მონუმენტურ ძალას რომ ანიჭებს. „მუზა“ ძალზე მიწიერია, მიწიერად მომხიბვლელი მისი სხეულის რბილად ნაძერწი ფორმები სავსეა და მშვენიერი. მოქანდაკე უნაკლო პროპორციების პირობით სილამაზეს როდი ესწრაფვის, გაბედულად არღვევს კლასიკურ კანონებს, დეკორატიული ჯანდაკების შესატყვისად მიმართავს დისპროპორციას, რეალურს გადაზრდის იდეალურში. ფიგურის ბალახისფერი ტონალობით შეფერვა კიდევ უფრო აძლიერებს მის ლამაზ დეკორატიულ გამომსახველობას. არქიტექტურისა და სკულპტურული მოცულობების შუსტად მოქმენილი თანაფარდობა „მუზას“ ცენტრალურ, მაორგანიზებელ ფიგურად აქცევს ქალაქის ანსამბლში.

და ისევ სრულიად განსხვავებული ჩანაფიქრი, განსხვავებული მხატვრული იდეა. გმირულ-ტრაგიკული და ოპტიმისტური საწყისების შერწყმა — ადამიანისადმი მტრულ ძალებზე იმარჯვების სიციცხლე, ნელდება დანაკარგით გამოწვეული მწუხარება... დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად მარნეულში აღმართული მემორიალი „კიდევაც დაიზრდებიან“ განასახიერებს ცვლას თაობებისა, რომლებიც სიციცხლეს არ იშურებდნენ მტრისაგან სამშობლოს დასაცავად. ზეიმური დიდებულებით გვიპ-



ქალის პორტრეტი
ქალიშვილის პორტრეტი
მოსხვი თურბი



ყრობს ეს ანსამბლი შორიდანვე. ფართოდ გან-
ზოგადებული, მონოლითური მასები სიცოცხლის
მძლავრ ძალეს ასხივებს გაშლილ სივრცეებში,
მინდვრებისა და შორეული მთების ფონზე. გარე-
მოსთან კავშირის პრობლემა გადაწყვეტილია
არა მხოლოდ მასშტაბურ და კომპოზიციურ, არა-
მედ სახეობრივ-ასოციაციურ პლანში. მემორია-
ლის იდეურ-კომპოზიციური ცენტრია ქალი —
დედა, რომელიც თავის პატარა ვაჟებს გადას-
ცემს მამისეულ ხმალს და ამით საკუთარი შვი-
ლების სიცოცხლეს მღვნად აძლევს სამშობლოს.
თვით ამ ბიჭუნებში, რომლებსაც მკვიდრად უდ-
გათ ფეხები მიწაზე, განსახიერებელია მძლავრი,
უძლიევილი საწყისი. მათი ერთნაირი პოზა და
მომრავლობა აძლიერებს კომპოზიციის შინაგან
რიტმს და დაძაბულობას. ბავშვურ სახეებზე აღ-
ბეჭდილია გულადობა, ხოლო ხმლის სიმძიმით
დაძაბული მათი სხეულები კვლავ ამ პატარების
ურყევობასა და შეუდრეკელობას გვაშინებს.

გარეგნულად სტატუკური ეს დიდებული კომ-
პოზიცია უდიდეს შინაგან ექსპრესიას იტევს.
ლოგიკურად გააზრებულ „კლასიკურ სამკუთხედ-
ში“ მოთავსებული სკულპტურული ჯგუფი მხატვ-
რულად უაღრესად მთლიანი და დასრულებულია.
ხმლის მკაცრად პოიზონტალური მდებარეობა,
ბიჭების ფართოდ გადგმული ფეხები, დედის სა-
მოსთან ევრტიკალური ნაოლები — ყველაფერი ეს
ქმნის სიმკვიდრის, ურყევობის შთაბეჭდილებას.
და მხოლოდ ქალის ზევით მიმართული მზერა,

მისი ხელები გვამცნობს ფიქრს ამ ბიჭებისა და
სამშობლოს მომავალ ბედზე. პლასტიკურად გან-
სხვავებულადაა ნაძერწი დედის დამაშვრალი ხე-
ლები და ბავშვების სხეულთა მიმორგვალო, რბი-
ლი ფორმები.

სამშობლო მიწის სიყვარულზე მღალადებელი
ეს დიდებული მონუმენტი სწორედ ამ სიყვარუ-
ლის ძალით გამოხატავს ომისაღმი მძაფრ პრო-
ტესტს და კიდევ ერთხელ ცხადყოფს მისი ავტო-
რის ღრმა შთაგონებებს, მნიშვნელოვანი მხატვ-
რული იდეების სრულყოფილი ხორცშესხმის უნ-
არს. მ. ბერძენიშვილი დიდი მხატვრული ძალით
ფლობს პიპერბოლიზაციის ხერხებს, სივრცის
დინამიკას, სახეთა ფსიქოლოგიურ მრავალპლა-
ნიანობას, ამასთან ერთად, მდიდარი წარმოსახვა
მას საშუალებას აძლევს შექმნას დიდი ემოციუ-
რი ზემოქმედების ძალის ნაწარმოებები, ფიზი-
კური და სულიერი სიღამაშით აღსაყვ სკულპ-
ტურული სახეები.

მერამ ბერძენიშვილის გრაფიკა გასაოცრად
მრავალფეროვანია როგორც ჟანრობრივ-შინაარ-
სობრივი, ისე შესრულების ტექნიკური მხარეე-
ბით. პლასტიკური გააზრების, აზრობრივი წვდო-
მის თვალსაზრისით ეს ნამუშევრები იმდენად
თავისებურია, რომ განცალკევებულ ადგილსაც კი
იმკვიდრებს. ცხოვრების უშუალო განცდასთან
ერთად მერამ ბერძენიშვილისთვის ნიშნდობლი-
ვია ისტორიულ ასპექტში მისი ფილოსოფიური
გააზრება, უსაზღვრო ფანტაზია, ფოლკლორული



სახეებით შთაგონება. ადამიანისა და ბუნების მთლიანობაზე, მათ ურთიერთგავიწირვე ხალხის წარმოდგენის უშუალო გაგლენით ქმნის იგი რიგ გრაფიკულ ფურცლებს, კერძოდ, ქართული სერიიდან.

ფილოსოფიური საწყისი განსაკუთრებით ნათლად ჩანს სურათში „მოხუცები“ ანუ „მრავალგამიერი“. მხატვარს აინტერესებს ადამიანთა დამოკიდებულება ერთმანეთთან და ბუნებასთან, საგნობრივ გარემოსთან, მათი მსოფლშეგრძნება ან ურთიერთგავიწირვი. ამიტომაც ამ ნაწარმოებებისთვის ნიშანდობლივია „პერსონაჟთა პორტრეტულობა“ და „სიუჟეტობა“ პორტრეტებში.


მომღერალ მოხუცთა თავები მსხვილი პლანიითა მოცემული. სიუჟეტურად და კომპოზიციურად ისინი შეგურულია ერთ მონოლითურ ჯგუფად, რომელიც ფურცლის მთელ სივრცეს ავსებს. მხოლოდ შორს, პორიზონტზე ვხვდებით ქვევრებით დატვირთული ურემებისა და ხარების რიტმულად განმეორებულ სილუეტებს, — საგნობრივი მეტაფორაა, რომელიც სხვადასხვაგვარად შეიძლება გავიგოთ — როგორც მიწის ნაყოფიერება, მისი სიუხვე, ან საუკუნეთა მარადიული დინება, სამყაროს უკვდავება. ამ ასექტში მოხუცები გვევლინებიან ბრქვანაცვლად, რომლებიც ფილოსოფიურად გაიზიარებენ განვილილ ცხოვრებას, სიმღერა კი ჟღერს როგორც მისი კიშნი.

ამ ადამიანების სიცოცხლის გზა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ მათში ზეიმობს სიცოცხლის უმაღლესი კანონისადმი მორჩილება, — თაბათა ცვლას რომ გულისხმობს. ბუნებასთან განუყრელობის რწმენით აიხსნება ხალხური სიბრძნე სიკვდილ-სიცოცხლეზე.

კომპოზიციაში მთავარ თემას აერთიანებს რამდენიმე პლასტიკური ნახატი. მოხუცები საკუთარი, ე. ი. განსხვავებული სიცოცხლით ცხოვლობენ. გახსნილია მათი ხასიათები, ტემპერამენტი. მარცხნივ მდგარი სიცოცხლის მორტფილა. იგი მთელი ხმით უშდერის მას. ამ ადამიანის განიერი პირისახე ფერადოვნად გამოყოფილია სხვათაგან, რომელთა სახეებზე უფრო ოქროსფერული ჭარბობს. გვერდით ასექტი-ფილოსოფოსი დგას, შთაგონებული, გამხდარი მოხუცი, უკან კიდევ უფრო ხანდაზმულ, უწვეულად სათნო მომღერალს ვხვდებით, მას მხარს უშევენებს ყელმოდერებული, ჯერ კიდევ სიცოცხლის ენერგიით აღსავსე მოხუცი. კომპოზიციის საერთო მომწვანო კოლორიტში ანათებენ ქვევრების წითელი ტონები (სიცოცხლის ფერები), რომელსაც აწყენარებს, აქრობს ოქროსფერ-ყავისფერები, რომლითაც ადამიანთა სახეებია მოდელირებული (სიკვილ-სიცოცხლის შევაკერება). ეს ნაწარმოები ღრმა დაკვირვებას ითხოვს, რათა მაკუთრებული ეზიაროს ადამიანის ინტიმურ სამყაროს, უფაქიზეს ფსიქოლოგიურ ნიუანსთა სფეროებს.


ამგვარი სულისკვეთებითაა აღბეჭდილი კომპოზიცია „ობოლიც“, რომელიც უფრო კონკრეტულია თავისი შინაგანი წყობით. სიუჟეტი უბრალოა. გამოსატულია მწყემსი ბიჭი, იქვე ძალი ჩამჯდარა, შორს რამდენიმე ცხვარი ბალახობს. პასტორალური სცენაა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მცირე პრეტეტი პრობლემურ ფილოსოფიურ ჟღერადობას იძენს. ბიჭის ფიგურა პლასტიკურად ზუსტადაა ნაწერილი შთების კომპაქტურ ფორმებში, რაც ქმნის ბუნებასთან მისი შერწყმის შთაბეჭდილებას. გარემომცველ ბუნებასთან ადამიანის ინტიმური სამყაროს შეხამებაში მფლანგდება ბერძენიშვილის რომანტიკული ტენდენციები. ბიჭის სუფიანი, ფიჭირანი გამომეტყველება შესატყვისება რუხ-მწვანე ფერებით მოსილი მიდამოს საერთო განწყობილებას. მხატვრის ამგვარი ჩანაფიქრა მას აივლებს ყოფითობისაგან და მწყემსი ბიჭი „მთიობის“ ზოგად სახედ იქცევა.

ფილოსოფიურად ჟღერს სიცოცხლის ტრფიალებით გახსვევადული მისი „შემოდგომაც“. საქართველოში მოსავლის ზეიმის ეს ხანა მხატვარს გააზრებული აქვს არა როგორც ყოველდღიურობის, ყოფითობის ეპიზოდი, არამედ როგორც სი-




ფიორდი ბერკენში
 ქუჩა
 ნორვეგიელი მეოვეზე
 ფრანგი ჭალი
 ბუდის ჭანდაყთა გამეიდველი
 იტალიელი ლეოსისასურა





საზრულის პათოზი. კომპოზიცია ლაკონურია. მსხვილი პლანითაა მოცემული ნუშისთვალეა, წარბეგაზიდული ქალიშვილის სახე. გოგონა ღვინით სავსე თასს დასწაფებია. მთელი მისი იერი სიცოცხლით ტკობას გვამცნობს. რბილი, მცირაღე სინათლე ეფინება ქალიშვილის სხეულს და ზღაპრულად მომზიბლავ არსებად აქცევს მას. უკანა პლანზე, უწვეულო ჭრილში მოჩანან საწნახელში ჩამდგარი ბიჭები, რომლებიც, ასევე, ზღაპრულ სატირებს მოგვაკონებენ. ამ უწვეულო კომპოზიციას, უწვეულო ინტერპრეტაციით რომ გვზიბლავს, ანტიკური „ბაკხანალიის“ დაუოკებელი ზეიმურობა ახასიათებს და მისი ავტორის ღრმა შთაგონებაზე, მძლავრ შემოქმედებით ძალეზე მეტყველებს.

თუ მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებებში ქართული იეროვნული მოტივები ზოგჯერ მოულოდნელადაა გარდატეხილი, ფერწერასა და გრაფიკაში ფოლკლორული სახეები მხატვრის მიერ პირდაპირაა გამოყენებული, მაგრამ წარმოსახული მღელვარედ, რომანტიკულად. ფურცლები საქართველოს ისტორიიდან, დაჩაგრულთა და დაბუჩავებულთა დამცველების სახეები ფართო გაქანებას აძლევს მხატვრის ფანტაზიას და პოეტურ აღმაფრენას. დრამატულია ფურცელი „ფირალის სიკვდილი“. სურათის დიაგნოზზე მომაკდავის ფიგურაა, მაგრამ ამ ადამიანში არაფერი არ არის „ყაჩაღური“. მხატვარი თავს არიდებს დეტალს, არ ტვირთავს ფონს, ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ სახის გამომეტყველებაზე. ყაჩაღის სახეს სათნო ღიმილი დაჰქვნიდა, თვალეში კი სევდა ჩამდგარა. ჩანს, არა მკველობა, დარბევა წარმოსახება მას სიკვდილის წუთეში, არამედ რაღაც სუფთა და სანუკვარი. ერთი ხელით იგი ჯერ კიდევ იკავებს ღონემოკლე სხეულს, მეორე, ძალაგამოცილი ხელი უმწუოდ ეპოტინება თოფს. ღარიბთა და დაჩაგრულთა ქომაგი სიცოცხლეს ეთხოვება, მისი ორი მკველელი კი ლაჩრულად გარბის. დაძაბულ, მშფოთვარე ატმოსფეროს ემოციურ შეფერილობას აძლევს პირქუში ღრუბლები და უშველებელი, ჩამავალი მოვარე, რომლის ფონზე შავად გამოიკვეთება სასიმიინდის სილუეტი. ნაწარმოების მკაცრი პათეტიკა ვლინდება მუქ-ლურჯ-მწვანის თვამყავებულ დეკორატიულობაში. სურათის კომპოზიციურ-პლასტიკურ და კოლორისტულ გააზრებაში იხსნება ხალხის უძლეველი ძალის იდეა.



მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებას შთააგონებს არა მხოლოდ დიადი და მონუმენტური, არამედ ხალხური იუმორიც. გურიის ციკლიდან ერთ-ერთი ყველაზე პოეტურია „სიმღერა სიმონა დოლიძეზე“. კომპოზიციურად იგი გაბედული და

ძალზე თავისებურია. დამეულ ცაზე ღრუბლები მიცურავენ, მთავარი უშველბელი დისკოს ფონზე მოჩანს სამი ჩოხისის ხილუვები, რომელთა წარმტლებული ჩრდილები გორაკის სფერულ ზედაპირზე წაწილია. წინა პლანზე შთავონებული სახის მომგვარალი. მისი სიმღერა ქვრის არა როგორც სულისშემძრავი მოგონება, არამედ როგორც ბრძოლისკენ მოწოდება. მძლავრი ლირიკული საწყისის შემცველი ეს ფურცელი განცალკევებით დგას ამ ციკლში.

სიუჟეტების, თემების მხრივ მერაბ ბერძენიშვილის დაზგური გრაფიკა და ფერწერა განრული ხასიათისაა, მაგრამ მათში სრულიად გამოირიხულია ყოფითობა ამ სიკტყვის პირდაპირი, ვიწრო გაგებით. ძნელია ქანრულად გაიწასაზღვროთ გრაფიკულ ფურცელთა ის ციკლიც, რომელიც საზღვარგარეთის შთაბეჭდილებითაა შექმნილი. იუმორი, ერთგვარი გროტესკულობა ახლავს ამ ციკლის პორტრეტულ ნამუშევრებს. აი, ერთი მათგანი. ნორვეგიულ მეთევჯის უშველბელი შავი ყალიონი გაურია, მისი განიერი სახე წვერისა და ბაყენბარდების ჩარჩოშია მოქცეული. გაბუქულ წარბებსქვემოდან ცნობისმოყვარედ იზიხრება მეთევჯის ფართოდ გახლები ზღვისსფერი თვალები. წითულ-ვარდისფრად ღვივის ქარდარული ღაწვები. ვაჟკაციური, სინდელთა გადამბანი ადამიანი ჩვენს თვალში.

კომპოზიციურად მსგავსადაა გადაწყვეტილი „მამა დომინიკე“ იტალიური სერიიდან. აგურისფერი სამრკელოს ხილუვტი მკაფიოდაა მოხაზული ფორუზისფერი ცის ფონზე. დეკორატიულად განზოგადებული ფერადოვანი ლაქების ამ გარემოცვაში თითქმის მთელ სასურათო სიბრტყეს ავსებს ბერის თავი. ბერის ქაჯი და სამოსი ფართო, ზოგადი ლაქებითაა გადმოცემული. თავისუფლადაა მოდელირებული სახე, იმდენად თხლად, რომ ტილის ზედაპირი იგრძნობა, განსაკვეთით უკანა პლანისდან, რომელიც ისე მკვირვად და გადაღსილადაა შესრულებული, რომ ფუნჯის კვლიც კი არ ჩანს. ცოცხლად, ნაკეთების სისაესის სრული შერძნებით, სახასიათო გამომეტყველებითაა გადმოცემული სახე.

ფსიქოლოგიური გამომსახველობის ძალით გვიხიდავს „ბუდის ქანდაკთა გამკიდველიც“. ეს კაციც იმავე მოძრაობაში გაქვავებულა, როგორც გასაყიდად გამოტანილი, რიტმულად გამწვრივებული, მკვრივი და უსიციოცსლო პაწაწინა „ბუდეში“. გამყიდველი ნაღვლიანად იზიხრება. ამ ფეგურების სტატუსრობის საპირისპიროდ, შტრისებით დაფარული სურათის ფონი ქმნი მღელვარების, დაძაბულობის შთაბეჭდილებას.

მერაბ ბერძენიშვილის გრაფიკული პორტრეტე-

ბი ხასიათდებიან ნატურის უშუალო აღქმით და, ამავე დროს, დიდი ექსპრესიული გამომსახველობით, მკაფიო ინდივიდუალობით. მხატვარი მონარტავს ერთგვარ სტილიზაციას, გროტესკულობას, ხაზის, ფორმის გამომსახველობას, დეკორატიულ განზოგადებასთან შერწყმულ ფერწერულობას, რითაც ქმნის პლასტიკურად და სახეობრივად მტად გამომსახველ პორტრეტებს. ამიტომაც, ეს პორტრეტები, ეს ადამიანები ესოდენ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სულიერი და გარეგნული კონკრეტული ნიშნებით, ხასიათებით.

მერაბ ბერძენიშვილისეული მხატვრული სახეები გამოირჩევიან ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმითა და სირთულით, განსხვავებით იმგვარი „გაყინული“ ნაწარმოებებისგან, რომლებსაც ხშირად ვაწყდებით ხოლომე და რაც გამოხატება თითქოს ფოტობიექტივის წინ ადამიანთა დგომბში, როცა ვერ შეიგრძნობთ, ვერ წაიკითხავთ გამოხატულის სულს.

მერაბ ბერძენიშვილი არსოდეს არ არის გულგრილი თავისი მოდულების მიმართ, ისინი, როგორც წესი, ყურადღებას იქცევენ არა მიმიკითა და გარეგნული ექსპრესიული დაძაბულობით, არამედ შინაგანი ხედვით, შინაგანი სიციოცსლით, უწველოდ გამომსახველ თვალეში რომ ჩანს. მხატვრის საზღვარგარეთულ პორტრეტულ სერიაში მკაფიოდ ვლინდება გარკვეულ სოციალურ გარემოში მცხოვრები ადამიანების შინაგანი სამყარო. ამ ნაწარმოებთა სოციალური ალგეორია იხატება გროტესკამდე მისულ მინიშნებებში, ადამიანთა სულიერ დაორგუნულობას, პესიმიზმს რომ გვიჩვენებს.

მ. ბერძენიშვილის გრაფიკული და ფერწერული ხელოვნების არანაკლებ საინტერესო სფეროებს წარმოადგენს მისი წიუნის გრაფიკა, პლაკატი, თეატრალურ დეკორატიული მხატვრობა, ქართული ხალხური ზღაპრების მისეულ დასურთებხასა და გაფორმებაში გეოცკებს პოეტური ზღაბრული მეტაფორის გადატანა პლასტიკის ენაზე, ეროვნული სტილის გრძნობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედების კიდევ ერთი, განსაკუთრებული ნიშანდობლივი მხარე: მხატვრის ნაწარმოებებში ვერ შეხვდებით, ასე ვთქვათ, „დაზეპირებული“ მხატვრული ხერხების განმეორებას, შტამბას. ახალი ამოცანის შესტყვისად მხატვარი მუდამ პოულობს ახალ ხერხებს, საშუალებებს, რაც შემოქმედის უშუალო „თვითგამოხატვად“ გვევლინება. ამიტომაც არის, რომ მერაბ ბერძენიშვილს არ ჰყავს ეპიგონები, მიმდევრები, არ ჰყავს იმიტომ, რომ მხატვრის „ციოცხალი სული“ არ შეიძლება განმეორდეს.

ქართული

კინომუსიკის

დრამატურგიის

საკითხები

მზია იაშვილი

ქართული საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განზრახვა — კინომუსიკის შესწავლაზე ყურადღების გადართობა არსებითად ახლა იწყება, განვიხილოთ თითქმის ნახევრასაკუთრწლოანი გზის განვლილი შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ჟანრში მოპოვებული წარმატებანი ქართული საბჭოთა მუსიკის მაღალ მონაპოვართა რიგს განეკუთვნება და, ამდენად, შეიცავს ამ უკანასკნელის ზრდის პროცესის თავისებურებათა ნიშნებს. მხედველობაში ისიცაა მიხედვით, რომ ქართული საბჭოთა მუსიკა პირველად წარმოადგინა და ფართო საკავშირო, შემდეგ კი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ასეა თუ ისე, ქართული კინომუსიკის ისტორია, რომელიც რეჟისორისა და კომპოზიტორის ქმედებითი შემოქმედებითი თანადგომის მრავალ მაგალითს გვაძლევს, ელის მცინერულ შესწავლასა და განზოგადებას. ეს განსაკუთრებით აუცილებელია დღეს — დიდი ოქტომბრის საივნილო წელს, რომლის შუქზე ჯამდება და სწორდება ქართული საბჭოთა ხელოვნების ყველა სფეროში მიღწეული წარმატებები. ქართული ხმავანი კინო დიდი ოქტომბრის პირობით და მონაპოვართა. ამდენად წინამდებარე წერილიც ამ დიად თარიღთან მიმართებით იწერებოდა.

უკვე დიდმა დრომ განვლო პირველი ქართული ხმავანი ფილმების: „შაქერის“ (რეჟისორი ლ. ესკია, კომპოზიტორი — ი. ტუსკია, 1932 წ.), „უკანასკნელი მასკარადის“ (რეჟისორი მ. ჭიკაურელი, კომპოზიტორი გ. კილაძე, 1934 წ.), „არშულა“ (რეჟისორი დ. რონდელი, კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე, 1935 წ.) და სხვათა შექმნადაც. უკან დარჩა 30-იანი წლების დასასრულისა და 40-იანი წლების მონაპოვარნიც. დროის ამ დიდი დისტანციიდან მივლი სივრხით ჩანს თუ რაოდენ დაბაბული შემოქმედებითი შრომა

გაწეული ქართულ კინომუსიკაში „დიადი მუნჯის“ ამტკველებიდან დღემდე; მკაფიოდ ჩანს, თუ რაოდენ ნაყოფიერი იყო აღნიშნულ ჟანრში ქართველ კომპოზიტორთა მიერ გადადებული ყოველი ნაბიჯი. ცხადია, დიდ ინტერესს აღძრავს იმის გარკვევა, თუ როგორ ხდებოდა კინოგამომსახველობითი კომპლექსის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის — მუსიკის შეყვანა, მისი დრამატურგიული ფუნქციის დადგენა კინემატოგრაფიულ ქმედებაში და რა ძვრები აღინიშნება ამ მხრივ ხმავანი კინოს ჩასახვის ადრინდელი ეტაპიდან დღემდე.

კინომუსიკოლოგი მუსიკალური ბგერის შემოტანის ცდები მუნჯი კინოს წიაღში იშვა. სწორედ აქ უღვდეს სათავე ხედვითი სიბრტყისადმი მუსიკალური ქარგის მიყენების ტენდენციას, რომელმაც თანდათან წარმოშვა მუნჯი ფილმების ზონიკურითი ნიმუშისათვის სპეციალური მუსიკალური პარტიტურის შექმნის აუცილებლობა. ამ მხრივ, ნიშანდობლივია მუსიკალური პარტიტურები ისეთი ფილმებისა, როგორიცაა: „წითელი ემბაკუნები“ (რეჟისორი ი. პერესტიანი, კომპოზიტორი ი. გოციელი, 1923 წ.), „ქაინშლის წაან“ (რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, კომპოზიტორი დ. არაყიშვილი, 1924 წ.), „ელისო“ (რეჟისორი ნ. შენგელაია, კომპოზიტორი ი. ტუსკია, 1928 წ.) და „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (რეჟისორი ს. დიმიტი, კომპოზიტორი შ. აზნაურაშვილი, 1935 წ.), რომლებიც მიგვანიშნებენ მუსიკალური დრამატურგიისა და კინემატოგრაფიული ქმედების პრინციპთა დაახლოების ტენდენციას, რაც კინემატოგრაფის, როგორც სინემატურის ხელოვნების სასიცოცხლო ამოცანებიდან გამომდინარეობს. მუნჯი კინემატოგრაფის პირობებში მუსიკას დაეძალა „ემოციური გამაძლიერების“ ფუნქცია. მერეც, აქედან გამომდინარე, მუსიკა თანდათან გარდაიქმნა კინომუსიკის რიტმულ ორგანიზატორად ანუ ფილმის ერთ-ერთ აქტიურ ფორმისმემკმნელ ფაქტორად.

ქართული მუნჯი ფილმების ისეთი ნიმუშები, როგორცაა: „სამი სიცოცხლე“ (რეჟისორი ი. პერესტიანი, 1924 წ.), „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ (რეჟისორი ი. პერესტიანი, 1925 წ.), „ვინ არის დამნაშავე?“ (რეჟისორი ა. წულუხაძე, 1925 წ.), „ჯანგი გურიანი“ (რეჟისორი ა. წულუხაძე, 1928 წ.) და განსაკუთრებით „ელისო“ (რეჟისორი ნ. შენგელაია, კომპოზიტორი — ი. ტუსკია, 1928 წ.), ხედვითი სიბრტყისადმი ორგანულად მიყენებული ბგერითი კონსტრუქციის შემოტანაზე მიგვანიშნებენ. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ფილმი „ელისო“ (კინოფილმისათვის სპეციალურად დაწერილი მუსიკალური პარტიტურის პირველი ნიმუში ქართულ კინომუსიკაში), რომელშიც, ფილმის დრამატურგიული ლოგიკიდან გამომდინარე, კანონზომიერად შევიდა გამოსახვის ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიცაა მუსიკა. ხედვითი სახისა და ბგერითი სიბრტყის გადაკვეთის ის ცდა, რასაც აღნიშნულ ფილმში ვხვდებით, მეტყველებს იმაზე, რომ „ვერტიკალური მონტაჟისაკენ“ პირველი ნაბიჯები ქართულ კინემატოგრაფიაში უკვე 20-იანი წლების მიწურულში გადაიღდა. ამან განაპირობა მუსიკის დრამატურგიული ფუნქციის ხაზგასმა ფილმში.

კინომუსიკის სპეციფიკის დადგენის გზაზე ამ ფაქტმა უდავოდ დიდი როლი შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფილმის მუსიკა არსებითად სიუჟეტური დრამატურგიის პრინციპს ემყარებოდა.

ცხადია, 70-იანი წლების სიმბოლოდან ბევრი რამ უკვე სხვაგვარად მოჩანს, თანამედროვე კინემატოგრაფიული აზროვნების შუქზე უფრო ნათლად ვხედავთ ქართული კინომუსიკის აღირიდელ ნიმუშებში არსებულ ხარვეზებს, მაგრამ ერთი კი დაბეჭეოთული უნდა ითქვას: ამ აღრიდელ ნიმუშებში ჩასახული ყველაზე მთავარი — რიტმული დინამიკა, კინოსახის განვითარებაში ჩვენების ტენდენცია, მხატვრული იდეის კონკრეტულების გზაზე მოქმედებითობის პრინციპის აქტივობა. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართული მუსიკის ფილმებისათვის რიტმული დინამიკა თვითმხანს არ შეადგენდა. იგი შთანთქმავდა მოძრაობის მაგალითებსაც გვაძლევდა, ე. ი. მოქმედებითობის პრინციპის საკუთრივ ფსიქოლოგიურ ასპექტში გარდატეხის ცდებსაც წარმოგვიდგენდა.

ერთი სიტყვით, ქართული კინომუსიკის განვითარების აღირიდელი ეტაპი მდიდარ მასალას გვაძლევს იმ ჭეშმარიტების შესაცნობად, რომ ხმოვან ფილმში კინემატოგრაფიული ქმედება დაკავშირებულია მოქმედების, სიტყვისა და მუსიკის სინთეზის პრობლემის ასლებურ გადაჭრასთან, გამოისახვის ამ სამი ელემენტის წინასწარობის ასლი ნორმების მიგნებასთან. ცხადია, კინოხელოვნების არსიდან გამომდინარე, ფილმში წამყვანი როლი ხედვით სიბრტყეს განეკუთვნება, მაგრამ ეს ნიშნავს არ ნიშნავს მუსიკის გადატანას მეორე პლანზე. მუსიკა, როგორც მოქმედებითობის მძლავრი ინსტრუმენტი აღძრული ელემენტი, ხედვითი პლანის ყველაზე აქტიური „იტეტოქა“, ვინაიდან მას განზოგადების დიდი ძალა აქვს, სახე-სიმბოლოებით აზროვნების ჭეშმარიტად განუზომელი უნარი გააჩნია. მას ხომ კონკრეტულსა და ზოგადს შორის ურთიერთკავშირის მიღწევის სპეციფიკური, საუკუნეების მანძილზე გამოუმუშავებული პრინციპები აქვს; მის ხელთ არის გამოსახვის საშუალებათა მთელი კომპლექსი, რომლის არსებით ნიშანს მრავალ პლანში ხედვის, უფრო აუტლად, „ვერტიკალში“ აზროვნების ინსტრუმენტი, შეადგენს. აქედან გამომდინარეობს, კონკრეტულების, მასშაბადმე, მოქმედების სხვადასხვა სიბრტყეთა „ვერტიკალში“ გადაკვეთის კანონზომიერება, რაც ასე ორგანულად შეესის-სხორცავს კინოსახის ბუნებას.

აი, რატომ იყო, რომ კინოგამომსახველობითი კომპლექსის ელემენტთაგან მუსიკა ყველაზე ადრე, ისტორიულად პირველი შევიდა კონტაქტში „მოძრავ ფოტოგრაფიასთან“ და მძლავრი ბიძგი მისცა კინემატოგრაფიული ქმედების გზით მხატვრული შთანაფქვის გარდატეხას მუსიკალურ სიბრტყეში.

30-იანი წლების ქართული კინომუსიკა მოწოდებს, რომ მუსიკალური სიბრტყის ხედვით პლანთან შერწყმის სპეციფიკური ხერხების ინტენსიური ძიებისას, ქართველმა კომპოზიტორებმა არა თუ უგულებელყვეს საკუთრივ მუსიკალური დრამატურგიის კანონზომიერებანი, არამედ პირიქით, კი-

ნოსპეციფიკადაში მისი მიყენებისაკენ აიღეს გეზი.

ესი ფილმებში, როგორცაა: „უკანასკნელი მასკარადი“ (რეჟისორი მ. ჭიაურელი, კომპოზიტორი გ. კილაძე, 1934 წ.), „ღარიკი“ (რეჟისორი ს. დოლიძე, კომპოზიტორი ი. ტუსკია, 1936 წ.), „ქაჯეთი“ (რეჟისორი კ. მიქაბერიძე, კომპოზიტორი შ. შველიძე, 1936 წ.), „ნარინჯის ველი“ (რეჟისორი ნ. შენგელაია, კომპოზიტორი ი. ტუსკია, 1934 წ.) და სხვა, აღინიშნება სიუჟეტური აზროვნების დაძლევის და გამკვეთი განვითარების პრინციპის დამკვიდრების ცდები, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მუსიკალური დრამატურგიის დაფუძნებას ლიტმობტევიური განვითარების პრინციპზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ ამ ფილმების მუსიკის, განსაკუთრებით კი მათი მაღალმხატვრული ეპიზოდების უგულებელყოფისაკენ, მით უმეტეს, რომ ბევრ მაგანში, განსაკუთრებით კი „ღარიკისა“ და „უკანასკნელ მასკარადში“ ბევრი რამ არის ღირსშესანიშნავი (თუნდაც ღარიკის პოპულარული სიმღერის დრამატურგიული ფუნქცია, იგი ხომ ფილმის ლიტმობტევი გახლავთ, ან ჯანრული ინტონაციური ძირიდან წარმომდგარი თემატური პლასტების დიფერენცირება ცალკეულ სოციალურ ფენათა წარმომადგენლობის კრებითი პორტრეტების გამომიწვევისას ფილმში — „უკანასკნელი მასკარადი“), მაგრამ, ვფიქრობ, რომ დრამატული კონფლიქტის წმინდა ინტონაციურ კონფლიქტში გარდატეხის თვალსაზრისით, გაცილებით მნიშვნელოვანია გრ. კილაძის პარტიტურა რეჟისორ მ. ჭიაურელის ცნობილი ფილმებისათვის — „არსენა“ (1937 წ.).

დრამატული კონფლიქტის ინტონაციურ სფეროში გადაწყვეტის პრობლემა გარკვეული სიმბოლოების წინაშე აყენებდა კომპოზიტორს, მისგან მუსიკალურ-დრამატურგიული კონფლიქტის შექმნას ითხოვდა. კომპოზიტორს ამას კანონზომად ფილმის ჯანრობითი ასპექტის (პერიოდულ-ეპიკური ფილმი, ეპოსისა და დრამის ურთიერთშეღწევის ნიშნებით) მთელი სიხადით წარმოჩენის აუცილებლობა. გრ. კილაძის პარტიტურა გვაძლევს კადრთან მუსიკის ორგანულად შერწყმის მრავალ მაგალითს. იგი აღბეჭდილია მთელი რივი დრამატურგიული მიგნებითაც (მაგალითად, ჯარის ცა მიტრონიონის სახესთან დაკავშირებული თემატისმის, რუსული ეპიკური სიმღერის ინტონაციებს რომ ანაზოგადებს, გადაქცევა ფილმის გამჭოლ ინტონაციურ მასალად). მაგრამ გამჭოლ ინტონაციის განვითარების პრინციპის მიუხედავად, ფილმის („არსენა“) მუსიკალურ დრამატურგიაში ყველაფერი თანაბარი სიძლიერით მინც არ არის რეალიზებული. ასე, მაგალითად, ეკრანზე არსენას პირველი გამოჩენა ფილმის მუსიკალურ სიბრტყეში შემზადებული არ არის. შესაძლოა, კომპოზიტორი დამკვიდრებდა არსენას ლიტმობტევის (ემყარება აქტიურ, შემმართველურ ინტონაციას) შეყვანითა და ხაზგასმით ფილმის უფერტიურაში (სხვათა შორის, უფერტიურა სიმფონიური განვითარების ინტენსიობით გამოირჩევა. მასში თავმოყრილია ფილმის ძირითადი მუსიკალური მასალა: არსენას ლიტმობტევი, გმირული შემართების სიმბოლოდ რომ აღიქმება და ქართლკახური ლირიკულ-ჯანრული სიმღერების ინტონაციური



საქცევებიდან ამოზრდილი ლირიკული ლექსოტიკი. ყოველივე ეს გარკვეულ ურთიერთმიმართებაშია კონფლიქტური საწყისის განმასახიერებელ თემატიკაშიან, მიყვითობთ კიდევ ერთ ნაკლზე. კონფლიქტური საწყისის ვამომსახველი თემატიკური მასალა არასათანად ინტენსივობით არის მოდიფიცირებული. მაგრამ ყოველივე ეს არ ანელებს ფილმის მუსიკისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას, უპირველეს ყოვლისა, უღერესად შთამბეჭდავი თემატიკის გამო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხალხის — კოლექტიური გმირის დამახასიათებელი მუსიკა, რომელიც კომპოზიტორის ციტატის სახით აქვს მოტანილი. კომპოზიტორი კარგად იყენებს ქართლ-კახური ლირიკულ-ქართული სიმღერების ცნობილ ნიმუშებს, რაც მის დრამატურულ ანთუში მეტყველებს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ მუსიკალური მასალის დამუშავების პრინციპის წინ წამოწევას, რაც კილაძე-სიმფონისტის მიერ ინსტრუმენტული მუსიკის სფეროში მოპოვებული წარმატებებით არის განპირობებული. ამავე მეტყველებს თუნდაც ბატალური სცენები, რომლებიც ინტონაციური კონფლიქტის მომენტებს შეიცავენ. ფილმის მუსიკის უღერე ღირსებას შეადგენს არსენას თემატიკის ტრაგიკულ ასპექტში მოდიფიცირება სიკვდილთან მიჯნაში, რომელიც ემოციური ზემოქმედების დიდ ძალას შეიცავს. დასანანი, რომ სტილისტური სიწმინდის გრძნობა უღელავა კომპოზიტორის, ისიც ვინაღობი. მხედველობაში მაქვს არსენას დატორების სცენა, კადრი, რომელშიც ბაიათური ტიპის მელოდია აშკარად ეწინააღმდეგება ფილმის მუსიკალურ სტილისტიკას. ძირითადად კომპოზიტორმა გრ. კილაძემ ფილმში „არსენა“ მიადონა მუსიკალური და კინემატოგრაფიული სტილისტიკის შესატყვისობას. ფილმის ჟანრის, სტილის და დრამატურული ფორმის კომპოზიტორისეული განჭვრეტამის დრამატურული აზროვნებაზე მეტყველებს და მიგვიჩვენებს ქართული კინომუსიკის ერთგულად სახის დადგენაში გ. კილაძის მიერ გაწეულ დავულზე.

ბევრი რამ არის საყურადღებო ფილმების — „დარეოსა“ (რეჟ. ს. დიმიტრი, კომპ. ი. ტუსკია, 1936 წ.) და „დაკარგული სამოთხის“ (რეჟ. დ. რონდელი, კომპ. ა. ბალანჩივაძე, 1937 წ.) პარტიკულურებიც, რომლებიც ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარების სწორედ ამ სტადიას ასახავენ, როდესაც თავი იჩინა ინსტრუმენტული აზროვნების პრინციპებისათვის უპირატესობის მინიჭებამ. კინომუსიკის სფეროში ინსტრუმენტული მუსიკის შემოტანა და ვოკალურ ფორმებთან მისი შეხამება ფრიად საყურადღებო ფაქტია, არა მარტო იმიტომ, რომ იგი სიმღერას, როგორც, ერთი მხრივ, პორტრეტული დახასიათების ხერხს, ხოლო, მეორე მხრივ, ფილმის მხატვრული იდეის განმასახიერებელ ფაქტორს (ლექსობრივობის ფუნქცია), კინომუსიკის ერთ-ერთ ძირითად გამომსახველობით ფორმად აქცევს, არამედ იმიტომაც, რომ იგი მეტყველებს კინომუსიკაში სიტყვისა და მუსიკის შერწყმის ახალი გზების ძიებაზე. 70-იანი წლების სიმაღლედ ჩანს, რომ ეს ძიებანი 30-იანი წლების კინომუსიკაში გაცილებით ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე 30-40-იანი წლების მიჯნაზე შექმნილ ქართულ თეატრში, რომელმაც ვერ

შეძლო ჟანრის განახლების პრობლემის დაძლევა, მკვეთრი ძვრების განხორციელება ვერც არს ინტონაციურ სფეროსა და ვერც დრამატურულ ფორმაში.

უკვს არ იწვევს, რომ იმდროინდელ კინომუსიკას დიდი დამასხურება მიუძღვის ქართული მუსიკის ლექსიკური ფონდის განახლების, ე. ი. ახალი ინტონაციის მიგნებას და დამკვიდრების საქმეში. ეს არც არის გასაკვირი. ხელოვნების ყველაზე მასობრივმა სახეობამ — კინომ ყველაზე სწრაფად მოახდინა ახალი ინტონაციის მიგნება და შესისლბორცება. ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია; რადგან იგი დაკავშირებულია კინოსხელოვნებაში თანამედროვეობის ამსახველი თემატიკის დამკვიდრებასთან.

ამას მივმომბინებს ფილმები, რომლებიც 30-40-იანი წლების მიჯნაზე გამორჩეულ ქართულ ცვრანზე. მათ შორისაა ქართული კინოკლასიკის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში, სსრკ ახალბო არტიტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, კინორეჟისორ მ. ჭიკაურელის მიერ დადგმული ფილმი — „დაიდა ვანიოაიდი“ (1938 წ.), რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მასშტაბური კინოდრამატურისაგან აღებულ გეზზე, ქართულ კინოსხელოვნებაში 30-იანი წლების დასასრულსა და 40-იანი წლების დამდგეს რომ იჩინა თავი. მნიშვნელოვანია ამ ფილმის მუსიკა (კომპ. ი. გოციელი), რომელიც შეიცავს მთელ რიგ საინტერესო დრამატურულ მიგნებებს: სიმღერის განმასახიერებელი ფუნქცია (სიმღერა — „ციციანთაღას“ შემოტანა დრამატურული განვითარების საკვანძო მომენტში), ფილმის პერიოდიული მოტივის ამსახველ ინტონაციურ პლასტთან ლირიკული სიმღერა „ციციანთაღას“ კონტრასტულად შერწყმა და სხვ.

ახალი ინტონაციის მიგნების თვალსაზრისით საყურადღებოა ფილმები „დავითაიანი სასიძო“ (რეჟ. გ. მიკაბერიძე, კომპ. შ. შველიძე, 1939 წ.), „ქალიშობი გაღმოდან“ (რეჟ. ლ. უსაკია, კომპ. ა. მაჭავარიანი, 1940 წ.), „ქაჯანა“ (რეჟ. კ. პიპინაშვილი, კომპ. ა. მაჭავარიანი, 1941 წ.), რომლებშიც წარმატებით არის გადაწყვეტილი არა მარტო ახალი ინტონაციის შემოტანის ამოცანა, არამედ კადრში მუსიკის შეყვანის დრამატურული ამოცანაც.

შესაძლოა, სწორედ ამის უშუალო შედეგია ამ ფილმების მთელი რიგი მუსიკალური ეპიზოდების ცვრანიდან ყოფნა გადასვლა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ა. მაჭავარიანის ცნობილი საფორტპიანო პიესა „ხორუმი“, რომელსაც ფილმში „ქალიშობი გაღმოდან“ გარკვეული დრამატურული ფუნქცია ეკისრებოდა.

ამგვარად, 30-40-იანი წლების ქართული კინომუსიკის საუკეთესო ნიმუშებში დაძლეულია ხედვითი სინტაქსის ილუსტრირების არასასურველი ტენდენცია, თუმცა ჯერ არ არის მიგნებული კადრს გარე მუსიკის ფლგისა და მთელი რიგი სხვა სპეციფიკური გამომსახველობითი ხერხები (მსხვილი პლანი, კადრის კადრზე დაფიქსირების ხერხი და სხვ.) და მინც, თვითონველი მათგანი შეიცავს მთელ რიგ საინტერესო დრამატურულ მიგნებებს. ასე მაგალითად, ა. მაჭავარიანმა ფილმ „ქაჯანათის“ დაწერილ მუსიკაში კინონარმობების მხატვრული იდეიდან გამომდინარე, წარმატებით გადაჭრა ჟან-

რის, დრამატურგიული ფორმის და სტილისტური მოტივების პრობლემა. ფილმის მუსიკალურ მსოფლიოში დრამატურგიული ფუნქცია აისრია შესანიშნავ სოლო ეპიზოდს — „უმრუსს“, რომელიც მთავარი მოქმედი გმირის სახის გასხნის ქმედითი ელემენტიც არის და სოციალური ჩაგვრის ლიტმობიცის ინოვაციულსადაც იმის. ფილმის მუსიკალურ პარტიტურაში ისტატიურადაა მიხიზნებული მოქმედების გარემო, შექმნილია გვეთვით ფსიქოლოგიური პორტრეტებიც (ქაჯანა, კატო). ა. მაჭავარიანისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც შთანაფიქრის განზოგადებულ ასპექტში: გარდატეხა, ისე დეტალების ფსიქოლოგიური სიღრმით წარმისახავც. „ქაჯანას“ პარტიტურაში ვოკალური ფორმებისადმი ინტერესის გამახვილებასთან ერთად ვოკალური მელოდიის ინსტრუმენტალიზების ტენდენციაც შეინიშნება.

ა. მაჭავარიანის მიერ შექმნილი პარტიტურები ფილმებისათვის „ხიდი“ (რეჟისორი კ. პიპინაშვილი, 1945 წ.); „აკაკის აკაკანი“ (რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1947 წ.); „ორი ლოკისანი საიდუმლოება“ (რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1955-1956 წ.); „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“ (რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1958 წ.); „სად არის შენი ბედნიერება, მზია?“ (რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1959 წ.); „გენერალი და ზოილიები“ (რეჟ. მ. ჭიკურელი, 1963 წ.) ყურადღებას იპყრობენ მუსიკალური ქარტის სიმფონიზების მაღალი ხარისხით, კადრის შინაგანი რიტმის შვერნებით, ცხადია, მუსიკის ფსიქოლოგიური სიღრმით.

ერთი სიტყვით, 30-იანი წლების ქართულ კინომუსიკაში — ა. ბალანჩივასი, გრ. კილაძის, ი. ტუხუაშვილის, ი. გოციოშვილის, შ. მშველიძის, ა. მაჭავარიანის და სხვთა ნაწარმოებებში არის გადაწყვეტილი ჯანრის სპეციფიკად გამოხატვითი უპირველესი ამოცანა, რომელიც კინოგამომსახველობის სხვა კომპონენტებთან მუსიკალური დრამატურგიის სპეციფიკურ კანონზომიერებათა შერწყმას გულისხმობს. ცხადია, ცალკეულ შემთხვევაში ამ სინთეზის ხარისხი სხვადასხვაგვარია, მაგრამ მთავარი ეს როდია. გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ 30-იანი წლების ქართული კინომუსიკის ნიშნულზე შეიცვალა მუსიკალური დრამატურგიის პრინციპთა კინემატოგრაფიულ აზროვნებასთან შედგომი დაახლოების შესაძლებლობა, ბიძგს აძლევენ ახლის ძიებას ამ გზაზე.

ალანინაშვილი ისიც, რომ 40-იანი წლების პირველ ნახევარში იგრძნობა მონუმენტური პლანის პერიოდიულ კონსერვატივობა („გოგორე სააკაძე“, რეჟ. მ. ჭიკურელი, კომპ. ა. ბალანჩივადი, სერია — 1942 წ., II სერია — 1943 წ.), „დავით გურამიშვილი“ (რეჟ. ნ. სანიშვილი და მ. თუნიანიშვილი, კომპ. ა. ბალანჩივადი, 1946 წ.); ფილმი-კონცერტი „ჯურჯულის ძარი“ (რეჟ. ს. დოლიძე და დ. რონდელი, 1944 წ.); „ფიცი“ (რეჟ. მ. ჭიკურელი, კომპ. ა. ბალანჩივადი, 1946 წ.) შემქმნის ტენდენციას, ამავე პერიოდის დასასრულს ჩანს დანტრეპეზება ყოფითი თემებით („ქეთი და კოტი“ (რეჟ. ვ. ტალიაშვილი და შ. ვეფვიანიშვილი, კომპ. ვ. დოლიძის ერთსახელადი ოპერის კვრანზეება. მუსიკალური რედაქცია კომპ. ა. კერესელიძისა) „ბედნიერი მხვედრა“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, კომპ. ა. კერესელიძე, 1949 წ.),

„გაზაფხული საკენში“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, კომპ. ა. კერესელიძე, 1950 წ.).

ერთი შეხედვით, 40-იანი წლებში შექმნილი ფილმების მუსიკალური დრამატურგია აღრმავეს წინა აღწერულში მიგნებულ პრინციპებს, ისწარაფის ხედვითი და მუსიკალური სიმბოლუკების „ერტიკალიში“ გადაკეთისაკენ. სამაგალითოდ დავასახლებთ ფილმ „გოგორე სააკაძის“ მუსიკალური პარტიტურას, რომელიც სახელმწიფო ქართველ კომპოზიტორს, სსრკ სახალხო არტისტს, სახელმწიფო და რუსთაველის სახ. პრემიების ლაურეატს ა. ბალანჩივადის კუთვნიის. ქართული სიმფონიზმის ამ დიდოსტატის ინსტრუმენტულმა აზროვნებამ უდიდესი ახსენი პირობა ბატალური ცენენისათვის დაწერილ მუსიკაში. ნოწინალმდევე ძალა განმასახიერებელი ინტონაციური მასალის დაპირისპირებით, ინტენსიური სიმფონიური განვითარების გზით, ა. ბალანჩივადე სწორედ ამ ეპიზოდში აღწევს კინოეპოპის გმირული ხაზის კულმინაციას, ანზოგადებს ნაწარმოების მხატვრულ იდეას. მივითითებთ ფსიქოლოგიური დრამის სათანადო სიღრმით გახსნაზე. ამ მხრივ დრამატურგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია კადრი — პატატუს მოჭრილი თავის შიტხა სააკაძისთვის, რომელიც დრამატული კონტრასტის წესით არის შენაცვლებული სახალხო დღესასწაულის ცენენასთან (რუსუდის ცეკვა საერთო ფერსულის ღონზე) და ბედნიერებიდან ტრაგედიისკენ გადასვლის ტემპინტად მადლ მაგალითს გვაძლევს. ფილმის მუსიკალურ სიმბოლუკში ვოკალური საწყისის გამახვილება, საგუნდო პარტიის მთელი დავტორისთვის შემოტანა, მისთვის დრამატურგიული ფუნქციის მინიჭება მომდინარეობს მონუმენტურ-პერიოდიულ ჯანრის სპეციფიკიდან.

ასევე შთამბეჭდავია ა. ბალანჩივასის მუსიკალური პარტიტურა ფილმისათვის „დავით გურამიშვილი“, სადაც თემატურ შრთა კონტრასტუქტში მიყვანის პროცესში, კომპოზიტორმა მიაღწია მივლისა და ნაწილთა ორგანულ მოლიანობას, საგუნდო (უფრო ფართოდ, ვოკალურ) და ინსტრუმენტულ საწყისთა უნასწორობას.

ალნიშნული ტენდენცია თავს იჩენს 40-იანი წლების კიდევ ერთ პარტიტურაში — ა. მაჭავარიანის მუსიკაში რეჟ. კ. პიპინაშვილის ფილმისათვის „აკაკის აკაკანი“ (1946 წ.), წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებო ამ ფილმში შეინიშნება ვოკალურ და ინსტრუმენტულ საწყისთა თანაფარდობის, მათი საზღვრების განყრობის ტენდენცია, ა. მაჭავარიანის შემოქმედებითი ინდივიდუალიზმიდან რომ გამომდინარეობს. ამ ტენდენციის ახალ ხარისხში აყვანის მისწრაფება განაპირობა ფილმში ვოკალურ-სიმფონიური პოემის დრამატურგიული პრინციპების შემოტანა (ამგვარადაა გადაწყვეტილი ა. წერეთლის პოემა „გაბრეღების“ ამასველი კადრების მუსიკა), რაც თვისობრივად ახალი მოვლენაა ქართულ კინომუსიკაში. ვფიქრობთ, ყოველივე ეს ნაკარნახევი ხედვითი სიმბოლუკისა და მუსიკალური კონსტრუქციის კონტრასტუქტული შენაცვლების ამოცანით. ამით ქართულ კინომუსიკაში გადადგმულია კიდევ ერთი ნაბიჯი კინოსპეციფიკის თავისებურებათა შემ-

დგომი გაღრმავებისაკენ. როგორც ვხედავთ, ფილმის მუსიკალური კონცეფციის შექმნა უშუალოდ ამოცანად იქცა ქართული კომპოზიტორებისათვის.

ზოგიერთი მკვლევარი, კინოხელოვნებას დრამატული თეატრისა და საოპერო ხელოვნების წიაღში მიმდინარე პროცესებთან ურთიერთავიშობილ განიხილავს. ამ მხრივ საინტერესოა საოპერო დრამატურგიის პრინციპების კინემატოგრაფიული გადასარება, ამას მოწმობს ს. ვიენსმეიერ-პროკოფიევის ცნობილი ფილმი „ოლეკსანდრე ნეველი“, რომელშიც კინოგამოსახვის მრავალი ხერხი სწორედ რუსული ეპიკური ოპერის, დრამატურგიული პრინციპებით არის ნაკარნახევი.

დრამატურგიულ პრინციპთა ასეთი ურთიერთდასესხება მუსიკალური კინოსახის შექმნის დიდ შესაძლებლობას აძლევს კომპოზიტორს, მის საშასურში აყენებს როგორც ვოკალური გამოხატულების ფორმებს (აქ, პირველ ყოვლისა, სწორედ საოპერო ფორმები გვაქვს მხედველობაში), ისე წმინდა ინსტრუმენტული გამოხატულების ხერხებსაც.

ქართულ კინომუსიკაში ამ პრობლემის გადაწყვეტა გარკვეულწილად დაკავშირებულია ქართული კლასიკური და საბჭოთა ოპერის წარმატებასთან და დრამატულ თეატრში მუსიკის როლის გაძლიერებასთან. ამას მოწმობს ერთიად გახსურებული ფილმი „ქეთი და კოტეს“ (რეჟ. ვ. ტაბიაშვილი) და შ. გუდვიანიშვილი, 1948 წ.), რომლის პარტიკულა მუსიკალური ქმედებისა და ხედვითი ხიბრტყის შერწყმის ტექნიკა ნიმუშად რჩება.

„ქეთი და კოტეს“ არსებითად პირველი საბჭოთა ფილმი, რომელშიც წარმატებით გადაიჭრა ოპერის ეკრანიზების ამოცანა. ამდენად მასზე რამდენადმე ვცდვალ შეგვირდებით, მით უფრო, რომ ეს კინონაწარმოები დაკავშირებულია ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ზ. ფილიაშვილის სახ. პრემიის ლურჯი ფერის — ა. კერესელიძის შემოქმედებით მიხეიანთან.

ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა ვ. ტაბიაშვილმა და შ. გუდვიანიშვილმა ვ. დოლიძის ოპერა „ქეთი და კოტეს“ კინემატოგრაფიული გააზრება საოპერო ხანში (ოპერა „ბაშო-აჩუკი“) და დრამატულ თეატრში მოღვაწე კომპოზიტორს ა. კერესელიძეს დაავალეს. ასე დაიწყო ქართული კინომუსიკის ამ შესანიშნავი ოსტატის შემოქმედებითი კონტაქტი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივთან, რითაც საფუძველი ჩაეყარა ეროვნული კინომუსიკის განვითარების ახალ ეტაპს. საინტერესოა რა პრინციპით ხელმძღვანელობდა კომპოზიტორი ლიტერატურულ (ა. ცაგარელის კომედია „ხანუშა“) და საკუთრივ მუსიკალურ (ვ. დოლიძის ოპერა „ქეთი და კოტეს“) პირველწყაროთა ეკრანიზების ამოცანის გადაწყვეტას?

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, კომპოზიტორი ფილმის საერთო დრამატურგიული კონცეფციის გამომდინარე, დამოუკიდებელი მუსიკალური შთანაფერის განხორციელების გზას დაადგა. ამაზე მეტყველებს გამკვეთი განვითარების პრინციპზე აგებული მუსიკალური ქარტა, რომელშიც ქართული კლასიკური ოპერის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშის

— „ქეთი და კოტეს“ საყოველთაოდ ცნობილი არიები, გუნდები და სახანამბლო ეპიზოდები სიმფონიური განვითარების ერთიან მდინარებაშია მოცემული და ა. კერესელიძისეულ ინტონაციურ პლასტთან არის შეფარდებული. უფრო ზუსტად, ეს ორი ინტონაციური ნაკადი ერთმანეთთან „კონტრაპუნქტულად“ არის შერწყმული, რაც ა. კერესელიძის დრამატურგიულ ოსტატობაზე, კომპოზიტორის კინემატოგრაფიულ აზროვნებაზე მეტყველებს.

შეინარჩუნა რა ვ. დოლიძის ოპერის მოქმედების რიტმი, მისი დინამიკა, ა. კერესელიძემ შექმნა უაღრესად მკვერი და კოლორიტული ეხანული ხარათები, რომლებიც კონტრასტის ხერხით დაუკავშირა ფილმის შთანამბეჭდავ ლირიკულ კადრებს. გავისხნით თუნდაც ქეთოს და მისი მეგობარი ქალების სცენა, რომელშიც ქვეყნის პოპულარული ლირიკული ქალაქური სიმღერა „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი“, სიყვარულის ლექსითააგის რომ წარმოვივლიდნენ.

მუსიკალური მასალის სიმფონიზების პროცესში აქტიურ როლს ასრულებს „მუხამბაზის“ თემაც, რომელიც კვრანული სიტუაციებითაა გამოზღინაუ, კონტრაპუნქტულად ერწყმის სიყვარულის ლექსმოტივს.

ცხადია, ა. კერესელიძის მიერ აირჩეულ გზას უნდა გამოიწვიო ახალი მუსიკალურ-დრამატურგიული კონცეფციის წარმოქმნა. კომპოზიტორმა მიადვილა ვ. დოლიძის პარტიტურისა და საკუთარი მუსიკალური მასალის სტილისტურ მთლიანობას, წარმატებით გადაიჭრა დრამატული კონფლიქტის ინტონაციურ კონფლიქტში გარდაცემის პრობლემა და მუსიკალურ კომპონენტს კინოსახის შექმნაში ქმედითი როლი დააყენა. მოქმედ გმირთა ფსიქოლოგიური სიღრმით გამოიძიწვილი მუსიკალური პორტრეტები, ეპოქისა და სტილის განზნობით ალსავე ეხანული ფონი, ფილმის მთელი რიგი მუსიკალური ეპიზოდები, იქნება ეს ქალთა ლირიკული ანსამბლი, ხანუშას მუხამბაზი, ქებატოს მიერ შიშთვის სიის კითხვის სცენა, ლევანის არასათან (ვ. დოლიძის მუსიკა) კონტრაპუნქტულად შერწყმული ვაჟთა კვარტეტი, „ცეკვა მანდღებით“, თუ გრ. ორბელიანის შედევრის მიხედვით დაწერილი „მუხამბაზი“, კომპოზიტორის მაღალ ნიჭიერებაზე მეტყველებენ.

„ქეთი და კოტეს“ ა. კერესელიძის პირველი და ერთ-ერთი ბრწყინვალე ნამუშევარია კინომუსიკის ხანში. ამ ფილმით ჩაყვარა საფუძველი მის დიდ და ნაყოფიერ მუშაობას აღნიშნულ სფეროში. საკამრასია ითქვას, რომ იგი 50-მდე მხატვრული, დოკუმენტური და ნახატი ფილმისადმი დაწერილი მუსიკის ავტორია, მაგინა ისეთი ფილმებისა, რომელთა მუსიკალური პარტიტურებიც ქართული კინომუსიკის კლასიკურ ნიმუშებად დაირჩება.

ა. კერესელიძის კინომუსიკის მრავალმა ფრაგმენტმა „მუხამბაზის“ („ქეთი და კოტეს“, „ყელსაბამი“ „გებინიერი მუხამბაზი“) ტელევიზიის გადცემათა მასშტაბულ სიმბოლოდ რომ იქცა, გალავტიონის ლირიკული შედევრის მიხედვით დაწერილი სიმღერა „თეთრი გელი“ („კარდაკარ“), ნაწყვეტებმა ფილმებიდან: „ზადანას ლურჯა“, „სხისი შვილები“, „ფატმა“, (გაფორმებული კომპოზიტორ გალა-

ევთან ერთად) და სხვამ დამოუკიდებელი ცხოვრება და ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვა.

50-იანი წლების მეორე ნახევარი ქართულ კინემატოგრაფიაში იტალიური „ნეორეალიზმის“ პრინციპთა შემოქმედებითი ათვისებით აღინიშნა. ა. კერესელიძე — კომპოზიტორი პირველი დაადავა ამ გზას და მიაგნო კიდევ კინემატოგრაფიული გამოსახვის ახალი ხერხების შესატყვის სამეტიყველო ტონს. დღეს ყველასათვის სცადია რაოდენ სწორი იყო ა. კერესელიძის, როდესაც „ნეორეალიზმის“ დრამატურგიულ პრინციპთა შემოქმედებითად გარდატეხისას წინ წამოსწია გამოსახვის ერთგული ფორმები.

„მაგდანას ლურჯას“ (რეჟ. რ. ჩხეიძე და თ. აბულაძე, 1955 წ.), „ჩვენს ეზოს“ (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1956 წ.), „სხვისი შვილების“ (რეჟ. თ. აბულაძე, 1958 წ.), „ფატომის“ (რეჟ. ს. ლომიძე, 1958 წ.) პარტიტურებში ა. კერესელიძემ ხაზს უსვამს დრამატული კონფლიქტის ფსიქოლოგიურ სიღრმეს, ახდენს მსატერული სახის ფსიქოლოგიზებას. კომპოზიტორის მთავარი ამოცანა მსატერული იდეის განსვადგებულად ასახვა, რისთვისაც იგი დრამატული კონტრასტით ხერხს მიმართავს და წარმატებით წყვეტს ინტონაციური კოფლექტის პრობლემას.

ერთი სიტყვით, ა. კერესელიძისათვის, როგორც კომპოზიტორ-დრამატურგისათვის მთავარია ნაწარმოების შიშანაფიქრის ქმედით ასპექტში გახსნა, ფილმის მუსიკალურ-დრამატურგიული კონცეფციის შექმნა. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი ინტონაციის, დროის ბგერითი სიმბოლოს განსახიერებისათვის წარმოებული ძიებანიც, რაც ფილმში მოქმედების დროსა და გარემოს რეალისტურად ასახვის ამოცანას უკავშირდება.

კომპოზიტორის მიერ 50-იანი წლების მეორე ნახევარში შექმნილი კინომუსიკის ნაწარმოებთა ზემოაღნიშნული ნიშნუებით მეტყველებენ ავტორის დრამატურგიული აზროვნების მასშტაბურობაზე, ქართული კინომუსიკის ჯანბნობრივადიპაზონის გაფართოების ტენდენციებზე. მხედველობაში გვაქვს ყოფით საფუძველზე ფსიქოლოგიური დრამის ნიმუშთა შექმნა („მაგდანას ლურჯა“, „სხვისი შვილები“, „ფატომა“ და სხვ.), კინემატოგრაფიულ ქმედებაში მუსიკის შეყვანის თვისობრივად ახალ მოვლენას რომ წარმოქმნის ქართულ კინემატოგრაფიაში.

ა. კერესელიძის, როგორც რეალისტური მრწამსის ხელოვანის შემოქმედებითი პრინციპების, კერძოდ მისი კინემატოგრაფიული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ნიმუში „მაგდანას ლურჯასათვის“ დაწერილი მუსიკა.

ქართული კინოხელოვნების ამ შესანიშნავი ქმნილების მუსიკალური პარტიტურა ყურადღებას იპყრობს არამარტო სოლი, საგუნდო თუ საორკესტრო ეპიზოდებით, რომლებიც სიმფონიური განვითარების პრინციპიდან გამომდინარე მეტიკვლე დრამატურგიული ლოგიკით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არამედ, პირველ ყოვლისა, ამ უკანასკნელთა კადრში შეყვანის ჭეშმარიტად მაღალი ხელოვნებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფილმის ხედვითი და მუსიკალური სიბრტყეების კონტრაპუნქტული შერწყმის, „ვე-

რტიკალური მონტაჟის“ პრინციპთა ფლობის თვალსაზრისით ა. კერესელიძეს ძნელად მოეძებნება ტოლი ქართულ კომპოზიტორთა შორის.

ამ მხრივ მრავლისმთქმელაა ფილმ „მაგდანას ლურჯას“ ვრცელ საორკესტრო შესავალი, რომელშიც ყალიბდება ფილმის იდეის განმავითადებელი ინტონაციური მასალა და რომელიც მიგვანიშნებს ფილმის საერთო განწყობილებაზე, მის დიდ ფსიქოლოგიურ სიღრმესა და დრამატისმზე. სიცოცხლის ჩაგვრის ლეიტმოტივად ქელის ფილმში უაღრესად გამომსახველი ქორალი, რომელიც ამავე დროს მაგდანას ლეიტმოტივიც გახლავთ.

უაღრესად ფაქიზი, მაგრამ შინაგანად მძაფრი ფერებით ძერწავს კომპოზიტორი მაგდანას სახეს. განწყობილებათა მივლი გამაა აბეჭდილი მაგდანას ლეიტმოტივის ტრანსფორმირებისა ფილმის დრამატურგიული განვითარების პროცესში. მაგალოდ, ქალაქთან მომავალი მაგდანას დასახსათებლად ლეიტმოტივი ლირიკულ ასპექტშია გარდატეხილი, ხოლო მენახშირისა და მაგდანას შესლის სცენაში, განსაკუთრებით კი ფილმის კულმინაციურ წინაქმში (სასოწარკვეთილი მაგდანა კოკისპირულ წვიმაში მიაბიჯებს თბილისის ქუჩებში), ლეიტმოტივი ტრაგიკულ შედრადობას იძენს. აღნიშნული კადრი უაღრესად სიტყვედუნევი, მაგრამ გამომსახველობის მხრივ, საოცრად მეტყველი საშუალებებით არის განხორციელებული. მასში არაბეჭდულბრერი სოუსტრუქტურით დაემთხვა ერთმანეთს კომპოზიტორის და ფილმის დამდგმელთა შიშანაფიქრი. დამდგმელმაც უპირატესობა მუსიკალურ გამომსახველობის კომპონენტს მიაჩნტეს და მუსიკის ენაზე ამბეჭდველს ნაწარმოების დრამატული კულმინაცია. შთამბეჭდავი ამ ეპიზოდში გუნდისა და ორკესტრის ქულრადობაში საფორტპიანო პარტიის ჩართვის მომენტი. სასოწარკვეთილად ჟღერს ქორალი, რომლის მოტივური დამუშავებით კომპოზიტორი სიმფონიური განვითარების დიდ მასშტაბებს აღწევს.

ფილმის ეს მძაფრი, დრამატული კულმინაცია ყურადღებას იპყრობს თავისი ხმოვანების საოპერო ელფერით. მასში აშკარად იგრძნობა ა. კერესელიძე — საოპერო კომპოზიტორი, რომელმაც საუკუნო საუკუნო სავნების ოსტატია. რაც შეეხება საკუთრებ მუსიკალური მასალის კადრში შეყვანის პრინციპს, იგი აშკარად მიუთითებს ა. კერესელიძის კინემატოგრაფიული აზროვნების სიღრმეზე. ამ მხრივ საყურადღებოა კინოფილმ „სხვისი შვილებისათვის“ (რეჟ. თ. აბულაძე, 1958 წ.) დაწერილი მუსიკა, რომელსაც ფსიქოლოგიური სიღრმე და მკაფიო სახოვანება გამოარჩევს.

მუსიკალური ჩანაფიქრის უაღრესად გამიზნულ, დრამატურგიული თვალსაზრისით საოცრად ქმედით, ლოგიკურ ფორმაში დამოყალიბების მხრივ ეს პარტიტურა კომპოზიტორის საუკეთესო ნაშეუქრათა (კერძოდ, „მაგდანას ლურჯას“) გაგრძელებაა, ამასთანავე, მასში კიდევ ერთი ნაბიჯია გადადგმული დრამატული კონფლიქტის ფსიქოლოგიური გაღრმავების გზაზე. მოქმედი გმირის პორტრეტის გამოკვეთისას კომპოზიტორი კიდევ უფრო მეტ სიღრმეს აღ-

წევს განცდათა დრამატუზების, მხატვრული სახის ფსიქოლოგიზების მხრივ. უაღრესად მძაფრია მუსიკალური ქმედების შინაგანი რიტმი. შეაფიოდ არის გამოკვეთილი განვითარების ძირითადი ხაზი. თანმიმდევრულად არის გატარებული გამკვეთი განვითარების პრინციპი. წარუშლელ შობამბეჭდვლებს ახდენს ფილმის მუსიკალური ლეიტმოტივი, რომლის თანმიმდევრული სიმფონიური განვითარებით კომპოზიტორი აღწევს ნაწარმოების ძირითადი იდეის განსაზღვრებას. ესაა დრამატული მუსიკალური სახე, რომლის სიმძაფრე და მულეგარება განსაკუთრებით შეიგრძნობა ფილმის კულმინაციაში. იგი ა. კერესელიძის მიერ შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე შთაგონებულ და შთამბეჭდავი სახეა. უკიდურესად დაძაბულ დრამატულ მომენტებშიც კი ა. კერესელიძეს არ ღალატობს ემოციურ და რაციონალურ საწყისებსა წონასწორობის გრძობა.

ფილმის საერთო ტანონების განმსაზღვრელი ლირიკულ-დრამატული ელფერის ლეიტმოტივი, მისი კონსტრუქციული მთლიანობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიტორი ერთგვარად მონოთემატიზმისაკენ იხრება, და ძირითად, ინტონაციურ სფეროსთან კონტრასტის ხერხით დაკავშირებული ჟანრული ინტონაციური მასალა რომ არა, ეს ტენდენცია, შესაძლოა, გაბატონებულიც აღმოჩნდებოდა. მაგრამ ა. კერესელიძის დრამატურგიული ოსტატობის საყრდენია დრამატული კონტრასტის პრინციპი, რომელსაც იგი მიმართავს, როგორც ფორმის შემქმნელ ელემენტს. ამიტომ „სხვისი უფლებები“ გამოირჩევა მუსიკალურ-დრამატურგიული ფორმის არაჩვეულებრივი მთლიანობით, სიმფონიური განვითარების ინტენსივობით.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელს ხდის, რომ ა. კერესელიძისათვის კინომუსიკის ჟანრში მუშაობა, პირველ ყოვლისა, სინთეტური ჟანრებისაკენ მისი თანდაყოლილი სწრაფვის ნათელი გამოხატულებაა. ა. კერესელიძის კინემატოგრაფიული აზროვნების საფუძველს ქმნის მრავალპლანში ხედვის უნარი, რაც საოპერო დრამატურგიის კანონზომიერებათა უშუალო შეფაცლვის შედეგია. კინონაწარმოების დინამიკაში კომპოზიტორმა შემოიტანა საოპერო დრამატურგიის პრინციპები და დაუბრუნებია ისინი კინოსაკუთხეობას. უფრო სწორად, ა. კერესელიძის პარტიკულურში აშკარად იგრძნობა აღნიშნული ორი ჟანრის სპეციფიკურ ნიშნათა ურთიერთმეღწევა, დრამატურგიულ პრინციპათა დასაბუთება.

საინტერესო ძიებებითა და მიგნებებით აღინიშნა 50-იან წლებში შექმნილი სხვა ფილმების მუსიკალური პარტიკურები.

მათ რიცხვშია ს. ცინცაძის მუსიკა კინოფილმისათვის „ჭრიჭინა“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1954 წ.), რომელმაც გამოავლინა კომპოზიტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ახალი მხარეები, კინოსპეციფიკის შეგრძნება და დრამატურგიული ოსტატობა. ეს ნაწარმოები ინტონაციური კონტრასტის პრინციპზე დაფუძნებული დრამატურგიული ფორმის კონსტრუქციისა და მუსიკის კინემატოგრაფიულ ქმედებაში

შეყვანის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია ქართულ კინომუსიკაში. ამავე მივითითებს „ჭრიჭინას“ სიმღერის“ აქტიური მოდიფიკირება დრამატურგიული განვითარების საკვანძო საფერებზე, რაც ქმნის მოქმედ გმირის — მარინეს სახის განვითარების ჩვენებისა და ფილმის საერთო მხიარულ ტონუსის შექმნის შესაძლებლობას.

მუსიკალური მასალის სიმფონიზების ის მაღალი ხარისხი, რომელიც გამოარჩევს „ჭრიჭინას“ მუსიკალურ პარტიკურას, თავს იჩენს ს. ცინცაძის მიერ გაფორმებულ ისეთ ფილმებში, როგორცაა „ჩრდილი გზაზე“ (რეჟ. დ. რონდელი, 1956 წ.); „ქალის ტირითი“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1957 წ.); „მაია წყნეთში“ (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1959 წ.); „ზღვის ბილია“ (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1962 წ.) და ბოლოს — „ჯარისკაცის მამა“ (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1964 წ.).

ფილმ „მაია წყნეთისთვის“ დაწერილ მუსიკაში კომპოზიტორმა წარმატებით გადაჭრა კომედიური პლანდინტრაგიკულ ასპექტში მოქმედების გადატანის უაღრესად რთული პრობლემა. საველისხმობა, რომ „კინემატოგრაფიულ სიჩქარეზე“ გადართვის ამ პროცესში, იგი სიმფონიური სუნთქვის უწყვეტადობის შთაბეჭდილების შექმნასაც აღწევს თუმცა, უნდა ითქვას, რომ კომპოზიტორს უფრო კომპაქტურად შეეძლო მუსიკალურ-დრამატურგიული მოთხრობის შეგება, ახლა კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დროში უღარადობის მხრივ პარტიკურა საკმაოდ გავრცობილია, იგი შეგვევს თხოულობს. ამარღვებლის ასპექტში ჭკურეტს თხოულობდა ფილმის ძირითადი ლეიტმოტივიც (მაიას ლეიტთემა), რომელსაც ასე აშკარად დაჭარავს ესტრადული ელფერი და, უკმარისობის გრძობას იწვევს.

სამაგიეროდ, დრამატურგიული თვალსაზრისით გაცილებით სრულყოფილია ფილმ „ჯარისკაცის მამის“ მუსიკალური პარტიკურა. აქ მუსიკა, ერთი შეხედვით, თითქოს ძუნწად, მაგრამ საოცრად მიზანმიმართულად არის გამოყენებული, როგორც ფილმის მხატვრული შთანაფერის გახსნის, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელსაც მკურნებლის ემოციური შემზადების მრავალგვარი, საოცრად ქმედითი საშუალებანი გააჩნია. ფილმის სიზიარ პარტიკურაში ყოველი ბგერების (ხმაური, ქვეყნების კანონადის ხმა) შემოიტანა და მუსიკალურ კომპონენტთან მათი ორგანიული სინთეზი ს. ცინცაძის მიერ „ტემპული დრამატურგიის“ კანონზომიერებათა ოსტატურ მომარჯვებაზე მეტყველებს. ცხადია, ეს უკანასკნელი თავის გამომსახველობით ძალას იძენს საკუთრივ თემატური მასალის — ფილმის ლეიტმოტივითა (ლირიკული ლეიტთემა და გმირული შემართების სულსკვეთებით გამსჭვალული ლეიტმოტივი, რომელიც ა. ალექსანდროვის ცნობილი სიმღერის — „Священная война“ ინტონაციურ ქვეყნებზე) ინტენსიური ტრანსფორმირების, მათი კონტრასტულად შერწყმის მეშვეობით.

ფილმის მუსიკალური ქარვის დინამიზების ინტენსიური მანერა, 60-იანი წლების ქართული კინომუსიკის საერთო ნიშნად იქცა და მიუღობა და ნაწილათა შეფარდების ახალი ხერხების შემოტანის აუცილებლობის წინაშე დააყენა 60-70-იან წლებში ქართული მუსიკალური ხელოვნების ეს

ჟანრი. ამავე მეტყველებს როგორც ა. კერესელიძის, რ. ლალიძის, ს. ცინცაძის, ისე 60-იან წლებში კინომუსიკის სარბიულზე გამოსულ ახალგაზრდა შემოქმედთა შორისაც საინტერესო, თუმცა კი ბევრის მხრივ წინააღმდეგობრივი მოღვაწეობა.

მაგრამ, სიტყვად ამ უკანასკნელთა შესახებ ვიტყვით, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმ ფილმების მუსიკის შესახებაც, რომლებიც ორგანულად აერთიანებენ 50-იანი წლების მეორე ნახევრის კინომუსიკის ტრადიციას. უარესად საყუარებელია სახელოვანი ოსტატის რ. ლალიძის მუსიკა ფილმებისათვის „საბუდარელი ჭაბუკი“ (რეჟ. შ. მანავაძე, 1957 წ.), „შეწვევები სიმღერა“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1959 წ.), „სხვისებრი გოგა“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1964 წ.), „სვესურული ბაღადა“ (რეჟ. შ. ჭიაურელი, 1965 წ.) და სხვ., რომლებშიც განსაკუთრებული ძალით გამოიხატა კომპოზიტორის შემოქმედებითა ინდივიდუალობამ, მისი ნიჭის ლირიკულმა ბუნებამ, მხატვრული სახის დრამატიკულობის უნარმა. რ. ლალიძის შემოქმედებითი ხელწერის ამ ნიშნებმა თავი იჩინეს მის პირველსავე მუსიკალურ პარტიტურაში ფილმისთვის „ციცკარა“ (რეჟ. ლ. უსაკია, 1955 წ.), მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აღნიშნულ ჟანრში ჭეშმარიტი წარმატება რ. ლალიძის სწორედ „საბუდარელმა ჭაბუკმა“ მოუტანა. მას შემდეგ კომპოზიტორმა განვითარების დიდი გზა გახელო და შექმნა კინოსამეცნიერო უწყური შერჩევებით აბსტრაქტული მუსიკალური პარტიტურა, რომელთაგან თითოეული რეალისტურ ტრადიციას განვითარების თვალსაჩინო მაგალითია. რ. ლალიძის კინომუსიკა მეტყველებს მის მკაფიო დრამატურულ აზროვნებაზე; აღნიშნული ფილმები ხასიათების შექმნის ოსტატსაც ამყვანებენ და მოქმედების გარემოს რეალისტურად წარმოსახვის უნარი დაჯილდოებულ შემოქმედსაც. ამან განაპირობა. რ. ლალიძის კინოწარმოება განსაკუთრებული პოპულარობა.

ბევრის თქმა შეიძლება 50-იანი წლების მეორე ნახევრისათვის 60-იანი წლების ქართული კინომუსიკის განვითარების მნიშვნელოვან მოვლენებზე, განსაკუთრებით კი მუსიკალური ლექსიკის განახლების ცდებზე, რამაც თავი იჩინა დ. თორაძის მუსიკაში კინოფილმისათვის „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1959 წ.), „პალისტრამი“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1963 წ.), „შხვებდრა წარსულთან“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1966 წ.) და სხვ. ამ ფილმების მუსიკა ორგანულად გამოიმდინარეობს ნაწარმოების შინაარსსა და კადრის არს შესაბამება. ახალი ინტონაციის შემოტანის თვალსაზრისით საყურადღებოა მუსიკა ფილმისათვის — „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, რომელიც თანამედროვე ყოფითი ლირიკული ინტონაციის ესტრადული გარდატეხის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს ცდებს ჯერ კიდევ 40-იანი წლების ქართული კინომუსიკაში ქქონდა ადგილი, გავისხნით თუნდაც ა. მაცაბრიანის ლექსე „მინდობდა ვნახე თეთრი ქვა“ (ფილმიდან „აკაკის აკანია“), ავტორად ვნახე დ. თორაძის მუსიკა კინოკომედიისათვის „ჭირვეული მეზობლები“ (რეჟ. შ. მანავაძე, 1945 წელი).

60-70-იან წლებში აღინიშნება ახალი ძიებები ბ. კვერნაძის, ს. ნასიძის, გ. ყანწელის, ნ. გაბუნიასა და სხვა კომპოზიტორთა კინომუსიკაში რომ იჩინა თავი. ამ მხრივ საყურადღებოა ფილმები: „ვედრება“ (რეჟ. თ. აბულაძე, 1968 წ.) და „ნერგები“ (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1972 წ.) კომპოზიტორ ნ. გაბუნიას მუსიკით, „არაჩვეულებრივ გამოცხანა“ (რეჟ. ე. შენგულაია, 1968 წ.), „არ დაიდრდი“ (რეჟ. გ. დანელია, 1969 წ.), „როცა აყვავდა ნუში“ (რეჟ. ლ. დობეზიძე, 1973 წ.) და „შერევილები“ (რეჟ. ე. შენგულაია, 1973 წ.), რომელთა მუსიკა გ. ყანწელს ეკუთვნის („შერევილებში“ კი მისი თანაავტორია ჯ. კახიძე), „მთვარის მოტაცება“ (რეჟ. თ. მელიავე, 1972 წ.), კომპოზიტორ ს. ნასიძის მუსიკით, „ვერს უნის მელოდიები“ (რეჟ. გ. შენგულაია, 1973 წ.) და ცნობის მუსიკალური გაფორმებით და სხვა. ეს ფილმები დრამატურგიული ფორმის, სტილისტიკის, ჟანრობრივი ტიპის განსაზღვრის თავისებურ გაგებას შეიცავენ.

ამჯერად შევეჩვიოთ იმ ფილმებზე, რომლებშიც ხედვით პლანსა და მუსიკალურ სიბრტყეს შორის ურთიერთდაკავშირი ჯერ კიდევ არ არის აყვანილი სასურველ დონეზე. მუსიკალური ქარგის გახლეჩის, ხედივით პლანისადმი პასუხი მიდევნების სიმპტომებს ვხედავთ ფილმებში „ეკლსაბა-ნი ჩემი სატფოსათვის“ (რეჟ. თ. აბულაძე, კომპ. ნ. გაბუნია, 1971 წ.) და „მთვარის მოტაცება“ (კომპ. ს. ნასიძე), არადა, ამ ფილმების კინომუსიკის ინტონაციური მასალა საშუალებას იძლეოდა სიმფონიზირებული დრამატურგიის კონსტრუქციისათვის. მაკალითად, „მთვარის მოტაცებაში“ ინტონაციური კონფლიქტის გადაჭრულობის გზა დაიჩინა ბგერითი კონსტრუქციისა და ხედვითი სიბრტყის კვრეტაკალში შენაცვლების პრინციპით. აქ კონფლიქტურ ძალთა განმასახიერებელი ინტონაციური მასალა მონახულია, მაგრამ არ არის შეყვანილი ქმედებაში. ამაზე მეტყველებს ფილმის შესავალი, რომელშიც ხალხურ-სასიმღერო ძირიდან ამოზრდილი საკამოდ ვრცელ ვოკალურ-სიმფონიური პლასტიკ ტრაგეკულ ვერადობაშია მოცემული, მაგრამ საგუნდო და ინსტრუმენტულ სიმრევითა შესაბამისს არ ჩანს ინტონაციურ კონფლიქტზე მინიშნება. სუსტად არის გამოხატული მუსიკის დრამატურგიული ფუნქცია ლუკაიას და თარაშის პირველი შემხედრის, კარლოშის, თარაშის და თარაშის სცენებში; მთელ რიგ სხვა ეპიზოდებში (მაგალითად, თამარი და თარაში ხეივანში) კომპოზიტორი, ლირიკული ლეიტმოტივის გატარებისას, სულ რაღაც სამი-ოთხე ფრაზით იფარგლება და ამის გამოვერ ქქმნის სათანადო ემოციურ განწყობილებას. მუსიკალური თვალსაზრისით სტატეგურადა გადწყვეტილი ფილმის რამდენიმე დრამატული ეპიზოდზე (მაგალითად, ხარების დაკლის სცენა), სადაც მუსიკა კვლავ არ შედრს მთელი თავისი აზრობრივი დატვირთვით. ფილმის მუსიკალური დრამატურგიის ნაკლი სტილისტური სიჭრელე, რომელიც ასე ცხადად გამოკრის მისი მუსიკიდან. ამის მკაფიო მაგალითია სცენა დუქსში, სადაც აშკარად ყუის სჭრის ბოჭური რომანის ინტონაცი-ათა თანამედროვე ყინდაზე გარდატეხა.

ფილმის მუსიკალურ პარტიტურაში ვხვდებით ღრმად

შომამბეჭდავ ეპიზოდებსაც, ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ფინალი, სადაც ნ. ნასიძე „ზარის“ (აფხაზურ ყვიდაზე) ინტონაციითა სიმფონიებისას, მართლაც რომ მასშტაბურ ჟღერადობას აღწევს. მით უფრო გარდასანიდა, რომ ფილმის დრამატურგიული განვითარების სხვა საფეხურებზე ასეთივე ძალით ვერ პოვევს გარდატეხა კინემატოგრაფიული ქმედების მუსიკალურ სიბრტყეში.

კინომუსიკის ჯანრი შექმნილ ნაწარმოებთაგან ყურადღებას იპყრობს ნ. გაუნიას პარტიტურა ფილმისათვის „ვედრება“ (რეჟ. თ. აბულაძე, 1967 წ.), რომელიც შეიცავს ძალზე საინტერესო თემატიკისა და ტრაგიკულის ასახვის უაღრესად შთამბეჭდავ ეპიზოდებს (შესავალი, ლირიკული ეპოეიის სიღრმეიდან ტრაგიკულიში რომ გარდასახება ტუმატხმის სათანადოდ მოდიფიკირების ზუსტი; აგრეთვე კადრი — აღაზა ზვიადურის საფლავეზე, სადაც ამაღლებული ლირიკული მუსიკა ხსნის კადრის ქვეტექსტს და დრამატული კონტრასტის ძალით სიტუაციის მთელ ტრაგიკულ შეგვიანობაში), მაგრამ მუსიკა ნაწარმოების მხატვრული იდეის განზოგადების ქმედით საშუალებად მაინც ვერ იქცა. ფილმის მუსიკალურ სიბრტყეში აშკარად შეიგრძნობა ფრაგმენტულობა, ნათლად არ არის გამოკვეთილი განვიარების ერთიანი ხაზი. მაშასადამე, მუსიკალურ მთელს აკლია დრამატურგიული გამიზნულობა, რაც ცხადია, არ მტკვეულებს ინტონაციური კონფლიქტის პრობლემის წარმატებით გადაჭრას.

ამავე ხარვეზის აღმოჩენა არ გავეციორდება ფილმში „ვერის უნის მღვდლები“ (რეჟ. გ. შენგელია, კომპ. გ. ცაბაძე, 1974 წ.), რომელიც სრულიად განსხვავებულ ჯანრიბზე პლანშია გარდატეხილი, იგი ქართული „მეზოკლის“ პირველ ნიმუშს წარმოადგენს. ფილმსა და მის მუსიკასაც წარმატება ხვდა, თუმცა მის მუსიკალურ დრამატურგის გაშიზნულობა აკლია. ამის მიზეზი სიუჟეტობისა, თავისთავად რომ გამოიჩინება ინტონაციური კონფლიქტის პრინციპზე დამყარების ზუსტი დრამატურგიული ფორმის კონსტრუირებას.

უკანასკნელი წლების ქართული კინომუსიკაში აღსანიშნავია გ. ყანჩელის ძიებანი, წარმართული ფილმის დამოუკიდებელი მუსიკალურ-დრამატურგიული კონცეფციის შექმნით. თავის ნაწარმოებებში კომპოზიტორი ფილმის საკუთრივ მუსიკალური ფორმის მიგნებას ისახავს მიზნად. ამ მხრივ საყურადღებოა როგორც ლირიკულ-ჯანრულ პლანში („არ დიადარდო“, „არანველებერივი გამოფენა“ და „შერეკილები“, ჟ. კახიძისთან ერთად დაწერილი), ისე ყოფით ფსიქოლოგიური დრამისა („როცა აყავდა ნუში“), თუ ლირიკულ-ეპიკურ („კავკასიის ტყვე“) ასპექტებში გადაწყვეტილი პარტიტურები, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ გამოსახვის ფორმათა მრავალგვაროვნებით, ვოკალური და ინსტრუმენტული აზროვნების ელემენტებს ურთიერთშერწყმით. ამ ფილმებში მკაფიოდ ჩანს კომპოზიტორის მრავალწახანგოვანი დრამატურგიული აზროვნება, აგრეთვე ყოფითი ინტონაციური საფუძვლიდან ამოზრდილი თემატიკის მუნიციფება თანამედროვე ბგერით სტრუქტურებთან, რაც ესოდენ დამახასიათებელია გ. ყანჩელის ხელწერისათვის. გ. ყანჩელი აგებს

სიმფონიური განვითარების უწყვეტობის პრინციპზე დაფუძნებულ ბგერით კონსტრუქციებს, რომელთაგან ყველაზე სრულქმნილი ფილმის მუსიკალური სიბრტყის ხედვით პლანთან შერწყმის ბრწყინვალე მაგალითებს გვაძლევენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსიკა ტელეფილმისათვის „კავკასიის ტყვე“ (რეჟისორი ტ. კალატოშვილი, 1975 წ., „მოსესის“ დაკვეთით), რომელშიც კომპოზიტორმა მხატვრული შთანთქმების განზოგადებულ ასპექტში, ტექსტში სიმფონიურ მასშტაბებში გარდატეხის მაღალი მაგალიტი გვიჩვენა, ფორმის სრულყოფილების მაღალი ხარისხი წარმოგვიჩინა, რაც მთავარია, გამოსახვის საშუალებათა რთული კომპლექსი ტოლსტოის იმავე სახელწოდების მიზნობრივი იდუარ-მხატვრული არსის რეალისტურად წარმოსახვის ამოცანას დაუმორჩილა და გვიჩვენა თავისი ნიჭის კიდევ ერთი თვისება — ტრაგიკულის წყდობის უნარი. ერთი სიტყვით, გ. ყანჩელის აღნიშნულ პარტიტურაში წარმატებით არის გადაწყვეტილი ფილმის დამოუკიდებელი მუსიკალურ-დრამატურგიული კონცეფციის შექმნის ამოცანა, ესოდენ არსებით ჯანრის პრობლემის დაძლევისა.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საგულისხმა კინომუსიკის ჯანრიში ნაცადი კიდევ ერთი ავტორის — კომპოზიტორი ნ. გაბუნის უკანასკნელი წლების ერთი ნამუშევარიც, კერძოდ, მუსიკალური პარტიტურა ფილმისათვის „ამავე ივანე კოტორაშვილისა“ (რეჟისორი ნ. მანავაძე, 1974 წ.), რომლის ბგერითი ქსოვილი ხედვით სიბრტყესთან შერწყმის შთამბეჭდავ მაგალითს გვაძლევს.

კადრის ქვეტექსტის გახსნის თვალსაზრისით ყურადსაღებია კომპოზიტორ ბ. კვერნაძის კინოპარტიტურებიც: „განაჩენი“ (რეჟ. ლ. ხოტივარი, 1959), „ლღვიანი“ (რეჟ. ლ. გორდელაძე, 1960), „შუხედრა მთაში“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1966 წ.), „ქალაქი ადრე იღვიძებს“ (რეჟ. ე. ლდობიძე, 1967 წ.), „პალიატომი“ (რეჟ. ს. დლიტი 1963 წ.), რომლებშიც ამაღლებული ლირიკის სფეროში გარდატეხილ ვრცელი დინამიკური პლასტების გვერდით, ვხვდებით ჯანრული ელემენტის სისხლსავსე წარმოსახვის სახოვან მაგალითებს და მაც მთავარია, ფილმის მუსიკალური ჯანრის სიმფონიზების პრინციპის თანმიმდევრული გატარებისაკენ განხეცილ სწრაფვას.

ერთი სიტყვით, უკანასკნელი წლების შემოაღნიშნული მიღწევანი, ნათლს ხდის, რომ 60-70-იანი წლების ქართული კინომუსიკა წარმატებით წყვეტს ქართული მუსიკალური ხელოვნების ამ ჯანრის განვითარების ათწლეულთა მანძილზე დაგროვილი შემოქმედებითი გამოცდილების განზოგადების პრობლემას.

რაც შეეხება 70-იანი წლების კინომუსიკის სხვა ნიმუშებს, რომლებშიც აშკარად ჩანს მუსიკალური დრამატურგიისა და სტილისტიკის რადიკალური განახლების ტენდენცია, მათ განვიხილავთ მომავალში, მაშინ, როდესაც დაგროვილი მასალა საფუძვლად მოგვეყმს სახალის ძიებით გამოწყვეტილ ძვრების ისტორიულ პლანში განხილვისა და განზოგადებისათვის.



მთხრომის ნ. გოგოლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თბილისში



საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრის“ მოწვევით თბილისის ესტუმრა მოსკოვის ნ. გოგოლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელმაც სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში მაცურებელს უწვევია მხოლოდ ერთი სპექტაკლი „როკ-ნ-როლი განთიადისას“. პიესის ავტორები არიან თომას კოლუსნიჩენკო და ვადიმ ნერასოვი. სპექტაკლში წარმოდგენილია სცენები ამერიკელი სტუდენტების ცხოვრებიდან. გარდა ამისა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, კინოსა და თეატრის გამოჩენილმა მსახიობმა ბორის ჩირკოვმა გამართა შემოქმედებითი საღამო, სადაც წარმოდგენილი იყო სცენები სპექტაკლებიდან და ნაწევრები კინოფილმებიდან.

მოსკოვის ნ. გოგოლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა თბილისელი მაცურებლის მოწონება დაიმსახურა.

ბორის ჩირკოვი

სცენა სპექტაკლიდან „უკანასკნელი მსხერპელი“


სცენა სპექტაკლიდან „ომერტორი ქალის შეთქმულება“

სცენა სპექტაკლიდან „როკ-ნ-როლი განთიადისას“





ქართული ფაიფურის სათავეებთან



ზუგდიდის

ფაიფურის ქარხანა

ლევან ფრუიძე


ფაიფური ჩვენი ყოფაცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დღესაც, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაშიც, იგი საყოველთაო და შეუცვლელია. ადამიანის ყოველი მონაპოვარი დროის გამოცდას როდი უძლებს. ფაიფურმა გაუძლო კი არა, მასზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. კიდევ მეტიც, თანამედროვე ელექტრო, რადიო, სატელეფონო და ქიმიური მრეწველობა უფაიფუროდ ვერ იარსებებს. გარდა ამისა, ფაიფურისაგან ამზადებენ ნაირგვარი ფორმის დეკორატიულ ლარნაკებს, პანოებს, ქანდაკებებს, არქიტექტურულ დეტალებს და ა. შ.

სკკპ XXV ყრილობამ პირველი მოხმარების საგნებით ხალხის მოთხოვნილებათა სრული უზრუნველყოფა ჩვენი მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა. მათ შორის ფაიფურს საპატიო ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ფაიფურის წარმოების მძლავრი ინდუსტრია აქვს, ჯერ კიდევ საგრძნო-

ბია მისი დეფიციტი. ხალხს განსაკუთრებით ესაჭიროება ყოველდღიურად — „სანიაღაგოდ“ სახმარი ტურქელი. სწორედ ამიტომ მეცხრე ხუთწლედში დაიგეგმა ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მშენებლობა.

ზუგდიდური პროდუქცია უკვე გამოჩნდა ბაზარზე. ქარხანა პირველ, წარმატებულ ნაბიჯებს დგამს და ქართული ფაიფურის სათავე — წყაროსთვლი ცხოველ ინტერესს იწვევს.

„ფ ა ი ფ უ რ ი...“ მკვირი, წყალმულწუვი მინერალური მასა, დამზადებული საუკეთესო ხარისხის თეთრი თიხისა და საგანგებო მინარეგებისაგან — გვაუწყებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თვითონ სიტყვა ახალ ბერძნულში არაბულიდანაა შესული. ჩვენთან?! საკვლევი და საძიებელია. ფაიფურის ღვიძლი მშა ფიანსი, რომელიც უძველეს მოჭიქულ კერამიკულ ტურქულს უკავშირდება ჯერ კიდევ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებიდანაა



ქარხნის ნაწარმი

ცნობილი¹. რაც შეეხება ფაიფურს, მისი ისტორია ჩინეთში იწყება—ჩვენი წელთაწარიცხვის VI-VII საუკუნეთა შორის. VII-X საუკუნეებიდან საექსპორტოდ გააქვთ, ხოლო დამზადების ტექნოლოგია „ჩინურ საიდუმლოდ“ რჩება. X-XIV სს-ში კორეა ახერხებს ფაიფურის დამზადებას, გაცილებით გვიან კი იაპონია XVI-XVII სს.

ევროპაც გვიანდელ საშუალო საუკუნეებში უხიარა „ჩინეთის საიდუმლოს“. ფაიფურის პირველი საწარმოები იტალიასა და საფრანგეთში გაჩნდა, შემდეგ გერმანიაში. XVII საუკუნის დასაწყისიდან საქსონური მაგარი ფაიფური მიუღ მსოფლიოში კი მოგვებს აღიარებას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ფაიფურის ერთ-ერთი პირველი მწარმოებელი ჩეხოსლოვაკია გახდა.

„ჩინური საიდუმლოთი“ ჯერ კიდევ პეტრე პირველი დინატურსა და მრავალ წამოწყებათა შორის ამ საქმესაც ჩაუყარა საფუძველი. ფაიფურის ტექნოლოგიის დახვეწაზე თვით დიდი რუსი მეცნიერი მ. ი. ლომონოსოვი მუშაობდა. რუსული სამრეწველო ფაიფურის დაბადების ხანა XVIII საუკუნის 40-იანი წლებია, რაცა მოღვაწეობს და სრულიად ახალი ხინთი ფაიფურს ქმნის რუსი სწავლული დ. ვანოგრადოვი. „ვანოგრადოვის ფაიფური“ არა თუ თვალს უსწორებს ევროპულ ნაწარმს, არამედ მსოფლიო ბაზარზე მეტოქეობასაც უწევს.

მეცხრე ხუთწლეულის პირმშოს — შუგდიდინ ფაიფურის ქარხნის მშენებლობა 1972 წელს დაიწყო. ადგილი მდინარე ჩხოუმის მარჯვენა სანაპიროზე შეირჩა. ამ დაცემულ მინდორს ზუგდიდელები „ოთუთუნეს“ ეძახდნენ. პირველი ბარის დამკვერელები იყვნენ დემირ ლაშხია, დავით ბენდელიანი, რევაზ ალშობაია, ამირან ქალდანი, ვახტანგ ჯგუშია, რაინდი ჯიქია, ედემ გოგინავა და სხვები. მშენებლობა 1975 წლის დამლევს დამთავრდა და ქარხანა ზემოთ გაიხსნა. მალე მისი საწარმოო სიმძლავრე 28 მილიონი ცალი ნაკეთობა იქნება, ხოლო მუშახელის რაოდენობა 2000 კაცს მიაღწევს.

სიმნელები ჯერ კიდევ მრავალია. მშენებლებმა ბევრი „კუდები“ დატოვეს. კვალიფიკური კადრები ახლაც საძებარია. მართალია, თბილისიდან და მომწე რესპუბლიკებიდან სპეციალისტები ჩამოვიდნენ, მაგრამ საკმარისი არ არის, მეტადრე აკლიათ დახელოვნებული ხარატიბი, ზეინკლები... სწორედ ამიტომ პროდუქციის გამოშვებას საფრთხე დამუქტა. საქმეში თვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო ჩაერია, გატარდა

¹ ნ. შაშიაშვილი, ფაიფური წესასუკუნეთა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 7.

საგანგებო ღონისძიებები. მწყობრად ამუშავდა ქარხნის ყველა რგოლი და ამა წლის იანვარ-თებერვალში გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა გადასაწყვეტი.


ფაიფურის ქარხანა თბაშირის ნაკლებობას განიცდის და ამიტომაც მის დირექტორს მურმან დემურიას კუბიშვეში უხდება გამგზავრება. საერთოდ, ქარხანას თორმეტი სახეობის ნედლეული სჭირდება და ჯერჯერობით ყველა სხვადასხვა რესპუბლიკიდან შემოაქვთ. უზარმაზარი გიგანტი ადგილობრივი ნედლეული არ მარაგდება და ამის შესახებ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზეც წერდა ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსი გონელი მიქენია. თბაშირი კი ჩვენშიც მოიპოვება — რაჭაში, სოფელ მუხლთან. როგორც ქარხნის მუშაკები აღნიშნავენ, ხუდონის საბადოს ფართო მასშაბით ექსპლოატაცია შეუძლებელია, რადგან ენგურაქსის კაშხალის მდგრადობას საფრთხეს შეუქმნის.

შემოაქვთ კაოლინიც, — ბუნებრივი თეთრი თიხა, რომელიც, სხვადასხვაგვარი სახით მრავლად მოიპოვება საქართველოში.

აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ განაპირა მხარეში გვხვდება მრავალი ბუდობი თიხისა, რომელიც კაოლინის ტიპს მიეკუთვნება.

1977 წლის 15 თებერვალს ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის სააქტო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო-საწარმოო კონფერენცია თემაზე: „ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა მათე უზუღედში“. კონფერენციაში მონაწილეობდა საქართველოს კვანტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრა, საქართველოს სამხატვრო აკადემია და ქ. ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. სპეციალისტებმა მალაშენიერულ დონეზე გააანალიზეს ქარხანაში შექმნილი ვითარება, პირუთენელად იმსჯელეს ახალი საწარმოს სიმძლევებსა და პერსპექტივებზე, პროდუქციის ხარისხის ამაღლების ძირითად საშუალებებზე, ფაიფურის მხატვრულად დამუშავების ხერხებსა და მეთოდებზე, საწარმოო სიმძლავრეთა სრულყოფილად ამოქმედების გზებზე და სხვ. მწვავედ დაისვა ნედლეულით ქარხნის უზრუნველყოფის საკითხი და დაისახა მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებანი.

პირველი შთაბეჭდილება, რასაც ქარხანა ტოვებს, ეს არის საოცარი სითეთრე, ნედლეულიდან, ფაიფურის მასიდან მოკიდებული გამოშვებულ პროდუქციამდე. სითეთრის ამ უკიდევანო, ჟრუნტელის მომგვრელ შერჩნებას უფრო ამბავრებდა სპეტაკ ხალათებგადამსული



მუშა ახალგაზრდობა. არცერთი ხნიერი, უხალი-სო, მოღლილი სახე არ მინახავს. სიჭაბუკის ღვინისფერში შეზავებული მზარული სითეთრე, — აი ასე აღვიკვი ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა. ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა გენადი გრადოსკინი მითხრა — ფაიფურის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი სახეობა მისი სითეთრე, ამ ღვინისებრი ზუგდიდური ფაიფური ლეინგრა-დულს არ ჩამოუვარდება.

აპარატურა უახლესია, ჩეხური, ჩეხი ოსტატების მიერ დადგმულ-დამონტაჟებული.

ნედლეული საწყობიდან „წისქვილიში“ გადადის და იფქვება. ფაიფურის ცოში საბოლოოდ ფილტრწინებში გამოჰყავთ და ფორმების საამქროს აწოდებენ. სწორედ აქაა საჭირო თაბაშირი, რომლისგან დამზადებულ ყალიბებზე ფაიფურის მასა იქცევა თეფშებად, ფინჯნებად და ა. შ. ახალი ნაკეთობა უნდა გაშრეს და 800 გრადუსამდე ტემპერატურის დემულში წინასწარ გამოიწვას, რათა ჰიჭური მიიღოს. მოჭიქრებული ჭურჭელი საბოლოო გამოწვისათვის ურიკებზე ლაგდება და გრძივ ლუმელებში შედის. აქ წყდება ფაიფურის პროდუქციის ბედი. დემულში ტემპერატურა 1400 გრადუსს აღწევს და ფაიფური ბლანტ, ალისფრად მგზნებარე მასად იქცევა. საკმარისია ოდნავი გაუთვალისწინებელი ბიძგი და მთელი ნაკეთობა დეფორმირებული გახდება. ტემპერატურა თანაბარი უნდა იყოს ათითდე გრადუსის დაკლება ან გადაამეტება მთლიანად სცემს ხარისხს.

თვალს ვადევნებ მოჩარე ფართო ღვედზე თეფშების ცეკვას. ახლა დახარისხების საამქროსკენ მივდივარ. აქ ტექნიკურ კონტროლს გადის ნამზადი, მოწონებული ფერწერის საამქროს გადაეცემა მოხატვა-დეკორირებისათვის, წუნი კი უკან ბრუნდება და ხელახლა გადამუშავდება.

ფერწერის საამქრო. ნათელი, თვალუწვდენელი დარბაზი თეთრსალათიანი გოგონებითა და ქათქათა ფაიფურით ზამბასაკვითა გადაპენტი-

ლი. კვლავ მთვარეულივით მომწუსსა დაუსაბამო სითეთრის განცდამ. როგორც იქნა, გარემოს თვალის შევარჩიე და ახლად გაგარჩიე თუ რა ოსტატობით ატრიალებენ გოგონები ჩარხებს და სპეტაკ ნაკეთობაზე ოქროს ვარაყი გამოჰყავთ. გრძელ მაგილებთან მუშები სხედან და გამალებულნი დეკორს აწებებენ. ეს სპეციალურ წებოვან ნივთიერებაზე წინასწარ გამზადებული სახეები, რომელთაც ანაწევრებენ, წყალში ასველებენ და ჭურჭელს სასურველ ადგილას აკრავენ. ცოტა მოშორებით მხატვრები ჩარიგებულან და



ქარხნის ნაწარმი





შერჩეულ ნაკეთობას უნაზესი ფუნჯით ნაირ-ნაირად ავარაყებენ.

ქალები საღებავად ფუთავენ თევზებს, ჩაიდნებს, ფინჯნებს, სატყეშლებებს და სამარჩილებს. ახლა უკვე ვიცი თითოეულმა მათგანმა რა ძნელი გზა გაიარა.

ფაიფურის ქარხნის სამხატვრო ლაბორატორიის ახალგაზრდა კოლექტივს, რომელსაც რევაზ ესართია ხელმძღვანელობს, დიდი შემოქმედებითი გეგმები აქვს. ექვსი მხატვარი მონდომებით იღვწის, რათა ქართულ ეროვნულ ნადავგზე დააყენოს ფაიფურის წარმოება. მართალია, გამოცდილება აკლიათ, მაგრამ მონდომება და ნიჭი, ხშირ უტყუარი აქვთ. ზოლოსდაბოლოს, თბილისელი კოლეგები მარჯლა რეალურად დაეხმარებიან და პირველქმნის მტკივნეულ სიძნელებებს ერთობლივ გადალახავენ. საქმე მეტად სერიოზულია, ქარხნის მთელ კოლექტივს სწავრია ზუგდიდური ფაიფურის ნაწარმი თავისებური, გამორჩეული იყო. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნაკეთობაში ეროვნული კულტურის მისადაგებით უნდა იქნეს მიღწეული. მაგრამ მთავარია ადგილობრივი ორნამენტის გამოყენებასთან ერთად ხალხური, დახვეწილი ფორმების ძიება, აგრეთვე მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული, კლასიკური გამოცდილების გამოყენება, რის შედეგადაც ფაიფურის წარმოებაში შეიქმნება ორიგინალური ქართული სტილი. ამის მიღწევა ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. საქართველოში იმდენი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ჭურჭელია, ორმოც ასეთ ქარხანას ეყოფა საზრდოდ. დიახ, უნდა მოვიმარჯვოთ ქართველ მეთუნეთა უძველესი, მრავალმხრივი ცოდნა, ტრადიციულთან ერთად გზა გავუკაფოთ თანამედროვე დიზაინის მიღწევებს, კომპლექსური მუშაობას შევადგად მივაღვიოთ ნამდვილი ქართული ფაიფურის წარმოებას, სადაც გათვალისწინებული იქნება ეროვნული კერძებისა და სუფრის სპეციფიკა, სრულყოფილად დაკმაყოფილება დღევანდელი მომხმარებლის გაზრდილი ესთეტიკური მოთხოვნილება. ბუნებრივია, ამის შესრულება ექვს

მხატვარ-ენტუზიასტს არ ძალუძს. ამ სამვილიწილილ საქმეში ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ საქართველოს მხატვართა კავშირმა და სამხატვრო აკადემიამ, მით უმეტეს, რომ შემდგომი ორგანიზების 1976 წლის 23 ნოემბრის საგანგებო დადგენილებით ეს მათ უკვე ევალებათ.

სუვენირების სამაქროში



შ ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი ღ ი რ ი ქ ო რ ი

ოღისე დიმიტრიადი

რუსთაველის სახელობის პრემიის დიდი სიხარულით ვულოცავ ჩვენს შესანიშნავ დირიჟორს ჯანსუღ კახიძეს.

ესაა უდიდესი ჭილდო, რომელიც მან ღირსეულად დაიმსახურა თავისი ტალანტის, მუსიკათობისა და მშობლიური კულტურისადმი მხურვალე სიყვარულის წყალობით.

ჯ. კახიძე მუსიკალურ ატმოსფეროში იზრდებოდა, დღენიადე საზრდოობდა ქართული ხალხური სიმღერებით, რომლებსაც შესანიშნავად ასრულებენ კახიძეების ოჯახში. ვისაც კი მათი შინაური „კონცერტებისათვის“ მოუსმენია, უეჭველად მიიღებდა დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას. ბუნებრივია, რომ ჯანსუღ კახიძე იმთავითვე ჩაება ამ მშვენიერ ანსამბლში, რომელმაც მისცა დასაბამი მომავალ დირიჟორის საშემსრულებლო ნიჭიერებას წევრთნას.

ჯ. კახიძე ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-საორიგინო ფაკულტეტზე სწავლობდა. 21 წლისა იყო, როდესაც დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო კაპელის მხატვრულ ხელმძღვანელად. მისი მეთაურობით ეს კოლექტივი 1958 წელს დიდი წარმატებით გამოვიდა მოსკოვში, ქართული ხელოვნების მეორე დეკადაზე.

1959 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო-სიმფონიური კლასის ხელმძღვანელობა დაიწვავა. ჩემი პირველი მოწაფე სწორედ ჯანსუღ კახიძე აღმოჩნდა. განსაკვირვებელი დირიჟორული ნიჭისა და პროფესიული ცნობისმოყვარეობის წყალობით იგი ყოველდღიურად კი არა, ყოველ საათს იზრდებოდა.

სტუდენტი გახლდათ, როდესაც თბილისის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორის ასისტენტად დაინიშნა. თამამად მივანდე მას ჩემთვის მეტისმეტად ძვირფასი სპექტაკლის „აბესალომ და ეთერის“ დირიჟორობა. ხოლო, როდესაც ცნობილი ფრანგი დირიჟორის მარკევიჩის ხელმძღვანელობით მოსკოვში დაარსდა ახალგაზრდა დირიჟორთა შემოქმედებითი სრულყოფის კურსები, ჯ. კახიძეს ვერჩიე ამ კურსებზე შესვლა. ცხადია, ასეთ დიდ მანერტოთან შეხვედრამ საგრძნობლად გამაძლირა ჯ. კახიძის პროფესიული წარმოდგენები. ახალგაზრდა დირიჟორის დაოსტატებას ხელი შეუწყო ორწლიანმა ინტენსიურმა მუშაობამ პოლონეთშიაც, სადაც მან, სხვათა შორის, დიდი წარმატებით განახორციელა „აბესალომ და ეთერის“ დადგმა. იქიდან საესებით მომ-

წიფებულ მუსიკოსი დაგვიბრუნდა.

უკვე ოთხი წელია, რაც ჯანსუღ კახიძე დიდი შემართებით ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. დღეს უკვე ყველასათვის თვალსაჩინოა ამ კოლექტივის შემოქმედებითი წინვლა, დიდი მხატვრული ძეგლები.

ჯ. კახიძის მიერ სწორადაა განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის რეპერტუარი. კლასიკოსთა შესანიშნავი ქმნილებებთან ერთად საპატიო ადგილი ეთმობა საბჭოთა სიმფონიურ მუსიკასა და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

ჯ. კახიძის დასასაზღვრება მაღალი იქნებოდა ხელოვანის გ. ყანაჩელისა და სხვა ქართველი კომპოზიტორების შემოქმედების ღრმა და ორაგინალური წაკითხვა, რასაც დიდი წარმატება მოაქვს ეროვნული მუსიკალური კულტურისათვის.

ვამაუბ ჩემი საყვარელი მოწაფით. ვუსურვებ მას შემდგომ წინვლას, თავისი ელვარე ოსტატობის გაღრმავებას. მკვრა, რომ მომავალში ჩვენ ვიქნებით ჯანსუღ კახიძის კიდევ უფრო ბრწყინვალე წარმატებების მოწმენი.

გივი ორჯონიკიძე

ჯანსუღ კახიძე


მამაწმინდების დღეებში, რომ მუსიკოსთა შორის რუსთაველის სახელობის პრემია სწორედ ჯანსუღ კახიძეს მიენიჭა.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მოღვაწეობა მჭიდროდა დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან. ამ შემოქმედებით თანამშრომლობას წარმართავს ჯანსუღ კახიძე. მისი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის წყალობით თანამედროვე ქართული სიმფონიური მუსიკა გადის ფართო ასპარეზზე. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მრავალი ნაწარმოების ბედობალი სწორედ ჯ. კახიძემ გადაწყვიტა.

ჯანსუღ კახიძე უაღრესად ნიჭიერი შემოქმედია. არ შეუვლება არც ერთი მუსიკოსი, არც ჩვენში და არც სხვაგან, რომელსაც არ განეცადოს მისი ნიჭიერების ძალა. როცა მას უსმენ, გგონია, რომ იგი მუსიკის წიაღში იშვია. მუსიკითაა გაუღნითილი მთელი მისი პიროვნება. მან შეიწოვა და შესისხლხორცა ქართული ხალხური მუსიკის სული, რამაც განსაზღვრა კიდევ მისი შემოქმედებითი პროფილი. ეს მხოლოდ ჯ. კახიძის მიერ ქართული ხალხური სიმღერების უზაღლო შესრულებაში როდი ჩანს, ამაზე არც პროფესიულ ჟანრებში ხალხური მუსიკის სტილის გაგრძელების უნარი მეტყველებს, იგი კომპოზიტორიყაა, ავტორი მთელი რიგი შესანიშნავი სიმღერებისა.

მთავარია ის, რომ ქართული ხალხური სიმღერებიდან შესისხლხორცებული ინტონაცია, ტემპერამენტი, მხატვრული ხედვა ჯ. კახიძეს მოაქვს, როგორც დირიჟორს, რაც განუმეორებელ იერს აძლევს მის მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებას. ჯ. კახიძის ეროვნული შემოქმედებითი თვისებები შედგენება მაშინაც, როდესაც შორეული ეპოქების კომპოზიტორთა ნაწარმოებებს დირიჟორობს.

ვინც იცნობს ჯ. კახიძის სადირიჟორო ხელწერას, უთუოდ, დამეთანხმება, რომ იგი მხოლოდ მუსიკით ცოცხლობს, როდესაც სადირიჟორო პულტთან დგას. მას არა აქვს შიში არც ავტორიტეტების, არც ტრადიციების, არც იმ კოლექტივების, რომლის პირისპირაც იმყოფება, არც იმ აუდიტორიის, რომელიც მას უსმენს. არაფერია მსმენელთა საზოგადოების მოსამადლიერებლად გაიჯალისწინებული. ეს კი მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც მთელი თავისი არსებით მინდობილია მუსიკას, ვისაც არ ეშინია მუსიკის ანაბარა დარჩეს. დიახ, ჯანსუღ კახიძე მუსიკის მსახურია. იგი ამყარებს კავშირს მუსიკასა და მსმენელ შორის. მუსიკაში ჩაძირვის, მისი შესისხლხორცების უნარი განუმეორებლობას ანიჭებს კახიძის შემოქმედებას.





ქართული კინო და

მწერლობა*

გურამ გვერდულიძე

მემსმ საუკუნის ერთ-ერთი საინტერესო ინგლისელი მწერალი, საყოველთაოდ ცნობილი რომანების ავტორი გრეკემ გრინი დიდი გულსტკივილითა და აღშფოთებით წერდა: „როდესაც საკუთარ წიგნს პოლივეს მიჰყიდით, თქვენ კარგათ საავტორო უფლებას. კინოპროდუსერს შეუძლია შესვავალთ ყველაფერი, რაც კი მას მოესურვება. თუ მოეხასიათება, თქვენს ტრაგედიას გადააქცევს მუსიკალურ კომედიად ნიუ-იორკის ებრაელ ღარიბ-ღატაკთა ცხოვრებაზე, და მოქმედებას საუცხოო კურორტზე გადაიტანს. პროდიუსერს შეუძლია თქვენი ნაწარმოების სახელწოდებაც კი უკუაგდოს, თუმცა, ჩვეულებისამებრ მხოლოდ ამისი შენარჩუნება სურთ“.

მოდერნიზაციის ერთ-ერთ სახეობად არის მიჩნეული სხვათა ლიტერატურის გათავისება და ისე გადატანა ეკრანზე, თუნდაც გათანამედროვეული არ იყოს იგი. გათავისების ხერხი გამოყენებული იყო ლ. ვისკონტის ზემოთ ხსენებულ ფილმში „თეთრი ღამეები“. ამის კიდევ ერთ ნიმუშად მოაქვთ ხოლმე ფრანგი რეჟისორის ჟან რენუარის ფილმი „ფსკერზე“, გორკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით გადაღებული, სადაც მოქმედება საფრანგეთშია გადატანილი. სამწუხაროდ, არც ამ ფილმს გაუმართლა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უადრესად რუსული ყოფის, სულის და ხასიათების პიესის გადანერგვა ფრანგულ სამყაროში შეუძლებელი იყო. ჟან რენუარის აქტიურულმა ოსტატობამაც კი ვერ უშველა ფილმს.

ქართულ კინემატოგრაფსაც გააჩნია ამდაგვარი გათავისების ნიმუში, და ალბათ არ შეცდები თუ ვიტყვი, ბრწყინვალე ნიმუში. მხედველობაში მაქვს რეჟისორ გიორგი დანელიას ფილმი „არ იღარდო“ (სცენარის ავტორები რევაზ გაბრიაძე

და გიორგი დანელია). ჯერ ერთი, საბჭოთა კინემატოგრაფისტების განსხვავებული და მოკრძალებული დამოკიდებულება ამგვარ მოდერნიზაციასთან იმაშიც ჩანს, რომ დოსტოევსკის, ტოლსტოის, გორკის და ამგვარი მნიშვნელობის სხვა ეროვნული მწერლების ნაწარმოებებს არ ითავისებენ. მხოლოდ კლასიკა მუტ პატივისცემასა და მოწიწებას მოითხოვს. მათი გათავისება და გადაკეთება, შედგისად მიუხედავად, უკვე მკრეხელობად ჩანს და ეს მხოლოდ უდიდესი გამარჯვების შემთხვევაში შეიძლება ეპატიოთ ეკრანიზატორებს (ვთქვათ, როგორც ეს „ვესტსაიდურ ისტორიასთან“ დაკავშირებით მოხდა). ამდაგვარი გამარჯვება კი თითქოს გამოირცხულია, რადგან ბუმბერაზი მწერლების შემოქმედება, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, იმდენად ღრმად ეროვნულია და განუმეორებელი, რომ მათი გადანერგვა და გამეორება სხვა სამყაროში თითქმის შეუძლებელია. ამასთანავე, მათ მიერ შემნილი სამყარო იმდენად ფიქსირებულია და გამჯდარია მკითხველის მხატვრულ წარმოდგენაში, რომ მისი „ადგილიდან დაძვრა“ იშვანს, თითქმის ინსტინქტურად იწყებს პროტესტს.

ამიტომაც, ჩვენს კინემატოგრაფისტებს არ შეუბედინათ არც ფლობურისათვის, არც ჰიუგოსათვის და არც ბალზაკისათვის, რომელთა სახელების არაფრანგულ სამყაროსთან ხსენებაც კი წარმოუდგენელია. მათ გაცილებით ნაკლები სახელისა და მნიშვნელობის მწერალს შეხედეს და ამას გარდა, რაც მოავარია, ისე ოსტატურად მოარგეს ფრანგული რომანი — კოლდ ტილის „ბიძაჩემი ბენ-გამენი“, ქართულ ეკრანს, რომ ორიგინალურობის სრული ილუზია შექმნეს. უღარდელი და კვიციანიშვილი სულის, მხიარული და ამაყი ხასიათის ტანსპლანტაცია ფრანგული სამყაროდან ქართულში უადრესად შედეგაინ გამოდგა, რადგან ამ შემთხვევაში თითქმის

* გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 4, 1977.

ერთიანი ნიადაგის გამო შეუთავსებლობის მომაკვდინებელი სამიშრობა გამოირიცხა. ეს იყო საწინდარი გამარჯვებისა, ხოლო სცენარის ავტორების, რეჟისორის და, საერთოდ, მთელი შემოქმედითი კოლექტივის მაღალმა ოსტატობამ და ნიჭიერებამ ეს საწინდარი რეალობად, მსატრულ ფაქტად აქცია და ამ ერთობლობის შედეგად კიდევ სიღვივთ ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი, სახეს ადამიანური მიღლითა და სიკეთით, კეთილშობილებითა და მშვენიერებით.

მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობისაგან ვასხვავებით, საერთოდ, კლასიკის მოდერნიზების პრინციპული წინააღმდეგი არ გახლავართ (მითუმეტეს, კაცმა არ იცის მომავალში ამას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, იქნებ კინოთარგონების ახალმა საფეხურმა თითო-ორილა კი არა, ბევრად მეტი შედეგებიანი ფილმი მოგვეცეს), არც სხვათა ლიტერატურის გათავისებებს უარყოფთ სხვეგივით კატეგორიულად და ჩემი მოსაზრება ამის შესახებ ცოტა ზემოთ მოგახსენებ, მაინც მიმაჩნია და დრამა ვარ დარწმუნებული, რომ ამდგავარი რამ მხოლოდ „უცხო ხილვივით“ თუ გამოდგება. მეტსაც ვიტყვი, მე მგონია, რომ ყოველგვარი მოდერნიზების გარეშეც არა ღირს, რადგან ნაკლებ შედეგაინა სხვათა კლასიკის ეკრანიზებით გატაცება და რამდენიც არ უნდა ვვიქონ, ვთქვამ, რომის, იუტაკეინის, კოზნიცევის თუ სხვათა ფილმები, გადაღებული მოპასანის, შექსპირის, სერვანტისის და სხვათა ნაწარმოებების მიხედვით, მაინც რუსული კინემატოგრაფის ეკრანიზაციის საუკეთესო ნიმუშები ისევ რუსული მწერლობის კლასიკაზე — პუშკინის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, გორკის, შოლოხოვის და სხვათა შემოქმედებაზე დაფუძნებული ფილმებია.

ასე რომ, ყოველ ეროვნულ კინემატოგრაფში ეკრანიზაციისათვის ძირითადი და განმსაზღვრელი მასალა ეროვნული მწერლობა შეიძლება იყოს. ამას მხოლოდ ეროვნული ინტერესები კი არ მოითხოვს, არამედ თავად მწერლობის არსიც გვიკანახებს. რაკილა ლიტერატურა თავისი ბუნებით უაღრესად ეროვნულია, დაწყებული მასალით, ანუ სიტყვით და დამთარგმნელი ხასიათებით, მისი დრამა, ნაწარმოებამდე ჩაწყობა, ჩაწოდება არა მარტო ონებით, არამედ, რაც მთავარია, გულითა და ნერვებით, შეიძლება ითქვას, ქვენობიერად ორგანული დაკავშირება მხოლოდ ეროვნულ კინემატოგრაფს, მხოლოდ იმავე ერისთვის ხელგაშვან შეუძლია და ამ უნარში მას სხვა ვერავინ შეეცილება, რაგინდ უფრო დიდი ნიჭისა და პროფესიული ოსტატობის პატრონიც არ უნდა იყოს იგი.

და თუ ამას მაინც სჭირდება მაგალითი, მე მგონი, უფრო დამარწმუნებელ ნიმუშს, ვიდრე იტალიურ-ამერიკული ცნობილი ფილმი „ომი და მშვიდობა“ იყო, მწიდალ გაისხუნებს კაცი. რეჟისორმა კინე ვიდორმა თავისი ნიჭითა და რუსული კულტურისადმი, ტოლსტოისადმი ფულწვევლი სიყვარულით, პირველწყაროსადმი უსაზღვრო ერთგულებით, შესანიშნავი შემოქმედებით კოლექტივის, განსაკუთრებით, მასინოზის დახმარებითა და წყალობით მართლაც განსაცვიფრებელი და დამაშასოსრებელი ფილმი შექმნა. ხანგრძლივი წლების გასვლის მიუხედავად, დღესაც თითქოს ცოც-

ხლად გვიდგანან თვალწინ ოდრი ჰიპებერნის, ჰენრი ფონდას და მელ ფერრის მიერ განსახიერებელი ნატანა როსტოვა, პიერ ბუზუხოვი, ანდრე ბოლკონსკი ამ ფილმიდან. და მაინც, ჩვენთვისაც კი ნათელია, რომ რუსული სული და ხასიათები ფილმში იმ სიღრმით არ არის გახსნილი, როგორც ეს რომანშია, მით უფრო ცხადია ეს თავად რუსებისათვის, ამიტომაც უფრო ძუნწი არიან ისინი კინე ვიდორის ფილმის შეფასებისას.

ქართული კინემატოგრაფი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ეროვნული მწერლობით საზრდობის ეკრანიზების დროს, თითო-ორილა გამოჩაგვინის და საერთო მობატონების ვერ გვართმევს. რვა ათეულზე მეტი ეკრანიზაციიდან რვა ფილმიც არ დაითვლება, უცხოურ სიუჟეტზე რომ იყოს დამყარებული. „არ იდრადილ“ უკვე მოგახსენებ, რომ იოსებ ვიშნევის ფანჯერული წარმომავლობა არც კი იგრძნობა, ისეა ყველაფერი ეროვნულ ნიადაგზე გადმონერტილი. ისეთ შესანიშნავ ფილმში, როგორცაა „სხვისი შვილები“, ნ. ალექსანდროვს ამავე სახელწოდების ნარკვევის ფაბულა თითქოს კი არის გამოყენებული, მაგრამ ლიტერატურული სცენარიც (ავტორები რევაზ ჯაფარიძე და თენგიზ აბულაძე) და მთლიანად ფილმიც (რეჟისორი თენგიზ აბულაძე) იმდენად ორიგინალური და ქართულია, რომ ძალზე პირობითი კავშირი რჩება უცხო მასალასთან (მე თუ შეიძლება, არაფერი აქვს მასთან საერთო, საგანგებოდ მაქვს ამისათვის შედარებული რუსული ნარკვევი და ქართული კინომოთხრობაც და ფილმიც, ამიტომაც ვაძლევ თავს უფლებას ასეთი რამ განვაცხადო). რეჟისორ გიორგი კალატოშვილის ფილმი „კავკასიის ტყვე“ (სცენარის ავტორი ვია ბადრიძე), რომელიც, ჩემის აზრით, ერთ-ერთ საუკეთესო ეკრანიზაციას წარმოადგენს, ტოლსტოის ცნობილი მოთხრობის მიხედვით არის გადაღებული, მაგრამ, იგი სულ უცხო რამ არ უნდა იყოს ქართული სამყაროსთვის და ქართული კინოსათვის. თენგიზ აბულაძის ფილმიც „სამკაული სატრფოსათვის“, რომელიც დაღესტნელი მწერლის აბუ-ბაქარის მოთხრობის „სამკაული ჩემი სერმინაზისათვის“ ეკრანიზაციას წარმოადგენს (სცენარის ავტორები თ. აბულაძე, აბუ-ბაქარი, თ. მელიავე) ასევე კავკასიელი, მთის ხალხის ცხოვრებაზეა გადაღებული და არც ეს ჩაითვლება ჩვენთვის სულ უცხოდ. ბოლოსდაბოლოს, თუ არ ეკადრება, რჩება ერთადერთი ჩვენთვის „უცხო“ ფილმი, „ორი ოკეანის საღვთაობა“ გ. ადამოვის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაღებული, და ისიც, სამწუხაროდ, ისეთ დონეზეა, მისაგანსვენებაც არ ღირს.

მე ფიქრობ, ქართული კინემატოგრაფი თავისი გამოცდილებით თამამად გვათქმევინებს, რომ იგი დიდი გულსიყვრთვი ცვიდება მწერლობას, ხშირად მიმართავს ეკრანიზაციას, და, რაც მთავარია, ეროვნული ლიტერატურით იკვებება. ამასთანავე, მისთვის უცხოა კლასიკის მოდერნიზება, ან კიდევ ლიტერატურული პირველწყაროს იგნორირება, მისი თავისუფალი გადაკეთება და დამახინჯება. ყველაფერი ეს ღირსება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რა პრინციპებით და როგორ დონეზე ანხორციელებს იგი ეკრანიზაციას. ახლა სწორედ ამ საკითხს მინდა მოკლედ შევხუ.

ქართულ კინემატოგრაფს ევრანიზაციის დროს ორიგინალისადმი უაღრესი რიდი და ერთგულება ახასიათებს, მაგრამ, ჩვედა საბედნიეროდ, ეს პირველწყაროსადმი ბრმა მორჩილებას სულაც არ გულისხმობს. ლიტერატურული ნაწარმოების „ჩარბოებში“ ჩატვეისკენ მიწოდება, რასაც ხშირად გამოიწვებთ, უფრო ილუსტრირების მეთოდის მხარდაჭერას ნიშნავს, ამას კი იშვიათად მიუტანია ჭეშმარიტად წარმატებას.

„ოთარანთ ქვირის“ სწორედ ამ ილუსტრირებამ ავნი ყველაზე მეტად, ისე რომ, თვით ვერიო ანჯაფარიძის მიერ მეტად ემოციურად განსახიერებულმა ცენტრალურმა გმირმაც კი ვერ აიყვანა ფილმი სასურველ დონემდე. ისევე როგორც, სვენსერ ტრეისის აქტიურმა ნიჭმა ვერ გადასწონა ჭეშმარიტების მოთხოვნის „მოხუცი და ზღვის“ მიხედვით უბრალო ლიტერატურებით გადაღებულ ფილმის სასუსტეები.

ევრანიზაციის ბევრად უფრო დაბალი ნიმუშებიც გავაჩინა, სამწუხაროდ, მოუაქმენელია, როცა ცდილობენ პრიმიტიულია და უუნარობა ისეთი მაღალი მატერიებით შინიღონ, როგორცაა რეალიზმი, პირველწყაროს ერთგულება, მწერლის სავეტრო უფლებათა შეუკალობა. ევრანიზაციის ამდაგვარ სამწუხარო ნიმუშთა საკმაოდ მრავალრიცხოვან რიგს განეკუთვნება „ბაში-აჩუა“, „ქალის ტვირთი“, „მამლუკი“, „ელახის ნამამბობი“, „ხევისბერი გოჩა“, „წყალდიდობა“, „ლევან ხიდაშელი“ და ბევრი სხვ.

კიდევ უფრო საწყენია ის გარემოება, როცა ევრანიზაციის დიდო საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოებებიც ამავე ხვედრის იხიარებენ. უბრალო ილუსტრირების კი არა, მე ვიტყვით, მარტვი, მექანიკური ილუსტრირების გამო მოხდა, რომ, ვთქვათ, „ხევისბერი გოჩა“, ან „ლევან ხიდაშელი“ იმის ნიმუშებდა იქცნენ, თუ როგორ არ უნდა იქნეს ევრანიზებული მხატვრული ლიტერატურა.

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა დიდად საყურადღებოა ადამიანის შინაგანი გაორების ფსიქოლოგიური დაკვირვებებით, მოვალეობისა და გრძნობის, გონებისა და ინსტინქტის ჭიდილის ღრმა და საინტერესო ხედვით. აქ ერთი უხედი თუ უდანაშაულო დამნაშავეებს, საკუთარი სინდისის, ყოველ შემთხვევაში, სხვათა წინაშე, ხალხის წინაშე მართალ გმირებს თითქმის ბედისწერად დევნის საკუთარი ენებების ვერმორვის გამო. აქ ტრაგედიის მთელი სიმძაფრე სწორედ ისაა, რომ ყველა გმირი მოთხოვნისა, მართალია, წმინდა და სუფთა სინდისის მატარებელია, მაგრამ ავებდით ბედისწერის გამო მტყუნად გამოიყურება და იღუპება. აი ასეთი რთული, ფსიქოლოგიურად ღრმა და საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოები ევრანზე სასკოდო ქრისტომთისეული ინტერპრეტაციით გადავიდა, სადაც შიშველი პატრიოტული მოტივის მტი არაფერი ისმის, თანაც გადავიდა პრიმიტიულად, კინოს გამომსახველობითი ხერხების თვალსაზრისითაც.

ასევე გავგებანი დარჩა შემოქმედებითი კოლექტივისთვის აზრი და სულიც გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცისა“. რომანის ცენტრალური გმირი ლევან ხიდაშელი თავისი რთულ, ძნელად ამოსაცნობი ბუნებით, რომლითაც ატვორმა თანამედროვეობის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის

ნიშნადობიც, საინტერესო, თანაც სამიშ ტენდენციებზე მივყავიზა და ამით მიქცია საკავშირო ლიტერატურული საზოგადოებრიობის თუ საერთოდ მკითხველის ყურადღება, ევრანიზანდ ერთგანზომილებიან, უინტერესო, პრიმიტიულ სახედ გამოიყურება. ფაქტურად ფილმში „ლევან ხიდაშელი“, რომელიც პიროფისილადაც ძალზე დაბალ დინეზე, შეიძლება ითქვას, უსუსურად არის გადაღებული, აზრობრივად არამეთუ გადარბიებული, არამედ გაყალბებული აღმოჩნდა რომანი „მეშვიდე ცა“.

ცხადია, ამ კატეგორიის ფილმებს არავითარ შემთხვევაში არ მიეკუთვნება კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიდოსტატი კონსტანტინეს მარჯვენას“ ევრანიზაცია, მაგრამ ქართული ისტორიული რომანტიკის ამ კლასიკური ნაწარმოების კინემატოგრაფიული სახე ბევრად უტყვის სურვილს ბადებს. აქაც ვერ იქნა საერთოდ მოძებნილი ევრანიზული გამოხატულება რომანისა, ფილმი უფრო თეატრალიზებულ წარმოდგენას გავს და კინოს გამომსახველობითი ხერხების მდიდარი არსენალი ბევრწილად გამოყენებულ დარჩა. ეს საერთოდ, კერძოდ კი, ლიტერატურული პირველწყაროს სიუჟეტური განვითარების ერთგულმა მიყოლამ უბრალო ილუსტრირების დალი დაამჩნია ფილმს.

ფართო ეპიური ტილოს ევრანიზაციის შემთხვევაში მისი სიუჟეტის ბრმა მორჩილებების და ილუსტრირების მიზანშეუწონლობაზე საუბრისას სამართლიანად იმედიობენ ხოლმე დოსტოევკის ცნობად მოსაზრებას, რომელიც მან დრამატურეობოლესაკაისადმი მიწერილ ბარათში გამოთქვა: „ხელოვნებას რაღაც საიდუმლოება გაჩანია, რომლითაც ეპიური ფორმა ვერასოდეს ვერ იბოვის თავის შესაკცყვის დრამატურეობულში. შე კიდევ მეჯრა, რომ ბელოვნების სხვადასხვა ფორმებისთვის არსებობს მათი შესაბამისი პოეტური აზრების რიგები, ისე რომ, ერთი აზრი არასოდეს არ შეიძლება გამოიხატოს მეორე, მისთვის შესაბამი ფორმად. ის სხვა საქმეა, თუ თქვენ რაც შეიძლება მეტად გადააკავებთ და შეცვლით რომანს, მისგან შეინარჩუნებთ მხოლოდ ერთ რომელიმე ეპიოდს დრამად გადასაქვებულად, ან კიდევ, აიღებთ საწყის აზრს და სრულიად შეცვლით სიუჟეტს“¹².

როგორც გვხვდავთ, დოსტოევკის ბუმბერაზული ავტორიტეტიც და გამოცდილება ერთი ვანიდან მეორეში (მითუმეტეს, ერთი ხელოვნებიდან მეორეში) ნაწარმოების გადატანისას რადიკალური ცვლილებების აუცილებლობაზე მიგვაჩინებს. ეს ბრძნული რჩევა ხშირად გვავიწყდება ხოლმე. აქაც, „დიდოსტატი კონსტანტინეს მარჯვენასში“ ავტორებმა ფილმში მთელი რომანის ჩატვეა მოინდობეს, ნაცუდაც იმისა, რომ ერთ რომელიმე სიუჟეტურ ხაზზე მოქდინათ მხატვრული აზრის კონცენტრირება. ვთქვათ, მათ შეეძლოთ აერჩიათ და გადაეწყვიტათ, რომელი პრობლემა უფრო აინტერესებდათ თანამედროვე თვალსაზრისით, ხელოვანის ბედის პრობლემა (არსაკიძის სიუჟეტური ხაზი) თუ ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს იდეის ინტერპრეტაცია (გიორგი მეფის სიუჟე-

¹² Ф. Достоевский, письма, т. 3. 1934, стр. 20.

ტური ხაზი) და მიუხედავად მათი სიუვეტური გადაჯაჭვულობისა, მაინც ერთ-ერთზე გაეყვებიანთა აქცენტს და, მასადავს, ფილმიც ამახლა რომანის მილიანად დამორჩილება და ფილმში ჩატყვა, ანუ მისთვის ცკრანული სახისა და სიდრმის მიყვამ თითქმის შეუძლებელი იყო და შედეგიც სასურველი ვერ მივიღეთ.

ლიტერატურული პირველწყაროს ჩარჩოების მტკრევა თუ სიუვეტური განვითარების დარღვევა და შეცვლა ცკრანიზაციის აუცილებელი პირობა სულაც არ არის. მთავარია ლიტერატურული ნაწარმოების პათოსისა და სულის, მხატვრული აზრისა და სათქმელის, არსისა და ფილოსოფიის დრმაღ წვდომა და მისთვის ცკრანული გამობატულების დაქვანა, ანუ მისი კინოენაზე ამტყვევლება.

ზოგიერთი მწერლის შემოქმედება, სხვა სიყვითესთან ერთად, იმდენად ლაკონიური, დინამიური და, საერთოდ, კინემატოგრაფიულია, რომ შედარებით იოლად მიგანებინებს საკუთარ ცკრანულ სახეს, თითქმის თავისთავად თხოვს კინოხელოვნებაში გადაწერვას. ასეთია, ვთქვათ, დავით კლდიაშვილის შემოქმედება. რა თქმა უნდა, სწორედ ამით აიხსნება, და არა შემთხვევითობით, ის გარემოება, რომ ქართული კინოესოდენ ყურადღებინაა მისდამი. მოყოლებული 1927 წლიდან, როცა კოტე მარჯანიშვილმა „სამანიშვილის დედინაცვლი“ გადაიღო, დღემდე, ბიძინა რაჭველიშვილის „ბაკულის ღორბეგმდე“, არაერთი ფილმი შეიქმნა დავით კლდიაშვილის მოთხრობებისა და პიესების მიხედვით, მათ შორის, დავით რონდელის „დაცარული სამოთხე“, რომელიც „დღემდე ითვლება ქართული კინოკომედიური ხელოვნების მწვერვლად“ (კორა წერეთელი). ახლა კი ელვარ მუნველაია კვლავ მიუბრუნდა „სამანიშვილის დედინაცვლის“ ცკრანიზებას და სულ მალე ვიხილავთ ამ ახალ ფილმს.

კინემატოგრაფიულობის საუკეთესო ნიმუშია ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაც, საიდანაც, შეიძლება ითქვას, არაფერი დარჩა, ანც რომინი და არც მოთხრობა, რომ უმალე არ გადატანილიყო ცკრანზე, ან ახლა არ მიიღიდეს უმაბობ ცკრანიზებისათვის. თენგიზ აბულაძის „მე, ბებია, ილიკო და ლიპარიონი“, ლანა ლოღობერიძის „მე ვხედავ მუხეს“, მერაბ კოკოჩავლის „ნუ გეზინია, დედა“, ლილია გორდელაძის „ძალი“ ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების რომანებისა და მოთხრობების ცკრანიზაციას წარმოადგენენ და ფილმების მნიშვნელობა ქართული კინოსათვის, მიუხედავად მათი განსხვავებული მხატვრული ღირსებებისა, მაინც მეტად დიდია. ახლა კიდევ გუბული მგელაძე იღებს ფილმს ნოდარ დუმბაძის რომანის „თეთრი ბარანების“ მიხედვით. თამამად და დიდი კმაყოფილებით გრძნობთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნოდარ დუმბაძე დიდი ამავე დასდო ქართულ კინოხელოვნებას, მაგრამ არც ქართული კინემატოგრაფიულობის დარჩენილად ვალში მის წინაშე.

ქართულ კინემატოგრაფს ცკრანიზაციის მეტ-ნაკლებად კარგი ნიმუშები სხვავე საკმაოდ გააჩნია, სადაც სწორედაც მიგნებულა ლიტერატურული ნაწარმოების კინოგამობატულება. თუმცა პირველწყაროსადმი ერთგულება ერთგვარად

ილუსტრირების დადასვ ამჩნევს მათ, მაგრამ ამას არავითარ შემთხვევაში არ ეთქმის არც უბრალო, მითუმეტეს, არც მარტივი ილუსტრირება. ეს ის შემთხვევებია, როცა ლიტერატურული ნაწარმოების ცკრანული სახის გამოძებნა არ მოიხიბვს მის საფუძვლიან რეკონსტრუირებას და აქ ილუსტრირება კინოხელოვნების მხრივ შემოქმედებით ინერტულირება, მითუმეტეს, უუნარობად კი არ აღიქმება, არამედ პირველწყაროსადმი ერთგულების გამოხატულებად ჩანს. ამის ნიმუშებია ვასილ პიპინაშვილის „ქვანა“, რევაზ ჩხეიძის „განძი“, ლანა ლოღობერიძის „მტრედეები“ და „თავადის ქალი მიაა“, მერაბ კოკოჩავლის „მიხა“, თამაზ მელიაგას „მთვარის მოტაცება“, ლია ელიაგას „ეპისკოპოსი ნადრობაზე“ და „ფერმა მოამი“, ლევან და ბებია ზოტაგრაგის „ჩირიკი და ჩიკიტალი“, ვალერიან კვაჭაძის „ღვინის ქურდები“, რევაზ ჭარხალაშვილის „თოვლის ამიკი“ თუ სხვ.

ქართული, და საერთოდაც, სამბოთა ფილმების უმრავლესობა მეტ-ნაკლები სისუსტით და მეტ-ნაკლები მხატვრული ხარისხით, გაუბრალოებულს თუ საინტერესოს, მაგრამ მაინც ილუსტრირების მეოხად ეფუძვლება. ყველაზე მეტ ეჭვებს სწორედ ეს იწვევს. ბუნებრივად ისმის კითხვა, საბოლოო კია ამდგავარი იწვევს? ზოგს მაინაა, რომ ამით ლიტერატურის გავლენის ძალა მცირდება, რადგან კინო თავისი პოპულარიონი ძნელი გასაჯიბრებელია. ამიტომ ფილმის ნახვის შემდეგ სურვილი წიგნის წაკითხვისა იკარგება. პოლიონელ კრიტიკოსს ანჯი კიოვიკის თურმე თითქმის ხუმრობით განუცხადებია ერთ თავის წერილში, მე რომ მგვითხებოდეს, ცკრანიზაციაც მაყურებელს ბოლოს ისე არ მიყვლი, ვიდრე წიგნის წაკითხვის დამატატურებულ ცნობას არ წარმიბოღვებინო. ამ ირონიულ თქმამი რეალური გულისტკივილი ჩანს. სხვები პირიქით ფიქრობენ, რომ ფილმი ლიტერატურულ ნაწარმოებს პოპულარიობას მატებს, უფრო მოატყვევებულ მასზე ყურადღებას. ერთიც მართალია და მეორეც, თუმცა რომელი სჭარბობს, ძნელი დასადგენია. მაგრამ პრინციპულად ეს არ არის მთავარი.

მთავარი ის არის, რომ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. მანვეიკი, „პოპულარიზაცია, მითუმეტეს რეკლამა, არასოდეს არ ყოფილა ხელოვნების აწარმა. ფილმი მხოლოდ მაშინ იქცევა მასურებლის ყურადღებას, როცა თავად მისი ხელოვნების ნაწარმოები და ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს. წიგნი ცკრანზე ახალ სიციცხლეს იწყებს, და დამატებითი ტრიაკი კი არ მრავლდება.“ (ი მანვეიკი, გვ. 38).

გასაკვირობი ის არის, რომ ამ საკვებთ სწორი მსაზრებნას, სულ ორიოდ აბზაციის შემდეგ, თვითონვე აქარწყლებს ავტორი, როცა წერს: „ცკრანი ლიტერატურის უძძძკვენი ტრანსფორმატორია, ბევრად რომ ზრდის წიგნის ტრიაკს, მის ხმოვანებას“.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მანვეიკის მსჯელობათა წინააღმდეგობა კი არ გვანიტერესებს, არამედ ის მართებული დებულება, რომ ცკრანიზაცია მწერლობის ტრიაკის გასაზრდელად კი არ ხდება, არამედ ხელოვნების ახალი ნიმუშის წარმოსაქმნელად. საკმარისია გავისწინოთ ლეო ქიაჩელის

„თავადის ქალი მაია“ და ლანა ლოლობერიძის ახვე სახელწოდების კინონოველა, დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძი“ და რევაზ ჩხიძის ფილმი, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ლიკო და ილიაონი“ და თენგიზ აბულაძის ფილმი, თუ კიდევ რამდენიმე საუკეთესო ნიმუში ქართული მწერლობისა და კინოსი, რომ ამ მოსაზრების სამართლიანობა სასკვებით აშკარა გახდება ჩვენთვის.

მართალია, უფრო იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ისევ ხდება, როცა კინოხელოვანი ლიტერატურულ ნაწარმოებს ახალ პიროვნობას, ახალ სივრცესა და სიღრმეს აძლევს, ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორად ხელოვნების დიდ ნიმუშად აქცევს, ან კიდევ, კლასიკურ ნაწარმოებს საკუთარი ფილოსოფიური ჩაღრმავებითა და მოვლენის მხატვრული ხედვით ახალ დატვირთვას მატებს, საკუთარი, ბევრწილად განსხვავებული, ან განზოგადებული სათქმელის გამოსახატავად იყენებს. ასეთი ფილმები უაღრესად საყურადღებო მხატვრულ ფაქტად იქცევიან ხოლმე, ზოგჯერ კი ეროვნული კინემატოგრაფისთვის საეჭაო ნაწარმოების მნიშვნელობას იძენენ.

ქართულ კინოში ევრანისაციის ამდაგვარი პირველი ნიმუში იყო ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“, რომელიც არა მარტო ქართული, საერთოდ, სამჭობა კინემატოგრაფის კლასიკას განეკუთვნება. ეს ფილმი კინოხელოვნების ადრეული ისტორიის ბრწყინვალე ფურცლად კი არ დარჩა მხოლოდ, არამედ დღესაც აქტიურ შემოქმედებას ახდენს მწახველზე და დავაცნობრებს ემოციურ დაძაბულობით, მხატვრული აკლემის გვერდისაგან და კონცეპტურობით, რეჟისორის შერქმედებითი ფუნქციის უსაზღვრობით, ორიგინალური მხატვრული ხერხებრცა და გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრით.

თუ საერთოდ მიჩნეულია, რომ კინოხელოვნების ნაწარმოები სხვა ხელოვნების და ლიტერატურული ნაწარმოებებისაგან განსხვავებით დროის მანძილზე შედარებით უფრო კარგავს შემოქმედების ძალას, რადგან კინემატოგრაფის გამოსახვის საშუალებები სწრაფად იცვლება და ვითარდება ტექნიკის განვითარებასთან ერთად, ბრკანოზიმიერება შედეგებზე არ ვრცელდება, მათ ბრწყინვალეობას ვერაფრეს აკლემს ტექნიკისთვის სახელბით მოტიანილი უპირატესობა. სწორედ ასეთ შედეგობა მცირერიცხოვან რიგს განეკუთვნება „ელისო“.

ამ ფილმის ნახვის შემდეგ ერთი წუთითაც არ დაჰკლებით იმაში, რომ ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის „ელისოს“ ევრანისაციასთან გაქვთ საქმე. მაგრამ საკმარისია დაფიქრდეთ, გაისინეთ პირველწყარო, მთოუმტკეს, საგანგებოდ შეადართ ლიტერატურული და კინონაწარმოებები ერთმანეთს, რომ ნათელი გახდება, რა კოლოსალური განსხვავებაა მათ შორის, უფრო მეტიც, შეიძლება იფიქროთ, რომ მათ თითქმის არაფერი აქვთ საერთო. მათი არა მარტო სიუჟეტური, ფაბულური მთავრებაც კი, მეტად პირობითი ჩანს.

და მაინც, ეს „ელისოს“ ევრანისაცაია, სადაც ყაზბეგის არა იბდნად ამ მოთხრობის, რამდენადაც მთელი შემოქმედების სული ტრიალებს და ზეიმობს. ეს ფილმა პირველი ნი-

მუში ლიტერატურის მხატვრული და კინემატოგრაფული ათვისებისა, როდესაც რეჟისორის შემოქმედებითი თავისუფლება კი არ ამახინჯებს ნაწარმოებს, არამედ ახალ ფორმამი ასახვებს პირველწყაროს სულს, არა მარტო ახალ აქცენტებს ლეგსა, არამედ ახალი მხატვრული აზროვნების ნაყოფს გვთავაზობს.

ყაზბეგის „ელისო“ ჩეჩენი მოხუცის — ანზორა ჩერბიჯის, მისი ქალიშვილის მშვენიერი ელისოს და მოხვევე ვაჟის ურთიერთობაზეა დაწერილი, სადაც „გაიურების“, ანუ რუსების და ქართველების ვერაგობა და სისხსტიკე ფონად ჩანს. აქ ტრაგიზმის ძირითადი საფუძველი უიბღლო სიყვარულია, ნიკოლოზ შენგელაიას „ელისოში“ კი ამავე ამბის ხედვის და დაკვირვების კუთხე მთლიანად შეცვლილია. აქ უკვე მთავარი ეროვნული უმცირესობის ჩაჯვრის სისხსტიკე და უსამართლობაა, ხალხის, მასის უდანაშაულოდ გათვლის მთელი სამინილეება წინა პლანზე წამოწეული, რასაც თავის მწუხარე შეფერილობას აძლევს ვაჟიასა და ელისოს უიბღლო სიყვარული.

ყაზბეგის „ელისოში“ ძირითადად კონფლიქტის სათავე მოხუცი მამის ქალიშვილისადმი სიყვარულში უცხო ტომის და რეულის ვაჟის მეტოქეობით გამოწვეულ ემოციებშია გამეღანებული, ნიკოლოზ შენგელაიას ფილმში კი მასის თავისუფლების ელემენტარული ნიშნების დათრგუნვაში, ძალადობაში, სისხსტიკეში, დაუნდობლობაში. ხედვის კუთხის ასე რადიკალურად შეცვლამ თავისთავად გამოიწვია სიუჟეტის შეცვლაც. ფილმში მამისა და ვაჟის დაპირისპირება საერთოდ მოისინება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფინალს, სადაც ელისო უარს ამბობს მშობლიურ მთებში ვაჟისათან დარჩენაზე და თავის მამას, თავის ხალხს მიჰყვება უცხოეთში. ესეც კი აქ მასის ტრაგედიის ფონზე მხოლოდ სვედიან დეტალად ჩანს და არა მთავარ სატკავრად, როგორც მოთხრობაშია.

ეს მნიშვნელოვანი განსხვავება მოთხრობასა და ფილმს შორის სწორად შენიშნა კორა წერეთელმა. იგი თავის წიგნში „ქართული სამჭობა კინო“ წერს: „ელისოს“ შინაარსიც აგებულია მაჰმადიანი ქალიშვილისა და ქრისტიანი ჭაბუკის ტრაგედიამზე — შეყვარებულთა შორის აღმართა რელიგიური კონტრწინების ზღუდე. მაგრამ, მოთხრობის აღნიშნულმა სიტუაციამ როდი განაპირობა ფილმის დედააზრი. ფილმის ავტორებს უფრო მეტად აინტერესებდათ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ტრაგიკული შედეგები, ცარიზმისა, რომელიც თვითნებურად წყვეტდა ჩაგრულ ერთა ბედ-იბალებს“ (გვ.27).

აქ ერთი რამ არის დასაზუსტებელი. შეყვარებულთა შორის ზღუდედ იბდნად რელიგიური კონტრწინება არ აღმართულა, რამდენადაც უბედური მამის ბრმა სიყვარული, აღმართა სრული უუფრობობა და სხვადასხვა ეროვნულად შორის ჩამოგდებითი შუღლი და მტრობა. თავად ყაზბეგი წერს „ელისოში“: „უწინდელს დროში რომ მოხმდარიყო ამგვარი შემთხვევა და მაჰმადიანს „მოიღობ“ ქრისტიანი შეყვარებულა, მაჰმადიანის იქაურის ჩვეულებით, სარწმუნოებმა დამარკოლეგელ მიზნად ვერ შეეწყნებოდა იმათი შევერებისათვის, მაგრამ ეხლა, როდესაც ქართველები, ე. ი. ქრისტიანები

„გაიურესს“ ანუ რუსებს წინ მიუძღოდნენ და გზებს უჩვენებდნენ, როდესაც ისინი გაიურებთან ერთად ერთმანეთს და მოყვრებულს მუშობლებს — ესლა, სულ სხვა იყო“.

ანორამს სამი ვაკეცა შეიღო დაკარგა ამ ბრძოლაში, თვიონის სასულიეროებზე გადაჩრა და ოფელდაც მამაცა თანამებრძოლი შამილისა, ასლა დაგრდომილი და გატეხილი, ელისოს ანაბარა დარჩენილა, ესაა მისი ერთადერთი და უკანასკნელი ნუგეში. აი, ამ მძიმე სინამდვილეზე და მძაფრ ემოციებზეცა დაფუძნებული მოხუცი ანზორას სიჯიუტე და ეგოიზმი, როცა იგი ელისოს სიყვარულს წინ აღუდგება.

ასე რომ, მთავარი მოთხრობაშიც რელიგიური ცრურწმენები კი არ არის, არამედ უფრო სოციალური და ეროვნული ჩაგვრით გამოწვეული დაპირისპირება და მტრობა. აი, ამ მთავარს ჩასჭიდა ხელი ნიკოლოზ შენგელიამ და თავის ფილმში იგი მოქაყიაა სურათების ცენტრში. ამ მთავარის გაშლისაკვეთად მისცა მან თავს უფლება ბევრი რამ შეეცვალა ყაზბეგის მოთხრობასთან შედარებით.

ფილმში არც სიყვარულზე დაფუძნებული ანტაგონიზმი და არც მისი ტრადიციული შედეგი, როცა სამივე გმირი მოთხრობისა ტყეებისსაგან დაცხრილული იღუპება. აქ ფილმის გმირები — ასტამირსა (მოთხრობიდან ანზორა), ელისოსა და ვაჟისა (მასხობიდან: ალექსი იმედაშვილი, კირა ანდრონიკაშვილი, კობეცა ყარალაშვილი) შორის არაფიორი უწინააღმდეგობა არ არის და ანტაგონისტურ მხარეებზე ჩვენები და დამპყრობლებზეცა გამოყვანილი. შემთხვევითი არ არის, რომ ანზორას ფილმში პრატიონი ჰქვია. ფილმის გმირს თავისი ლიტერატურული ანტიგონიზმიან არაფერი აქვს საერთო. ასტამირი ბრძენი თავაკაცა სოფლელებისა და არა თავესქნაღლებული მებრძოლი, იგი ვინით ცდილობს ხალხის გადაჩრაება და არა იარაღით. ტრაგიკული ფინალიც ნიკოლოზისა და თავად გმირების დაღუპვით კი არ არის გაპირობებული, არამედ ჩაგრული ტომის იძულებითი გადასახლებით სამშობლო მხარეიდან შორეულ უცხოეთში. თუცა იმედის შუქად გამოკრთის ფილმის ბოლო კადრები, სადაც ხალხის გულგატეხილობა და სიმტკიცე, ჰირსა შიგან გამაგრება ჩანს და კიდევ ის, რომ ჩვენების თავის მეგობარ ვაჟისა ელისოს ხელით მომაყვარად დიდის ანდრძის თანახმად პატარა ბავშვს უტოვებენ. მაშ მანვე უნდა იცხოვროს და იხაროს იმ მიწაზე, სადაც მამა-პაპანი არ დაუტოვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ასე ძირეულად არის შეცვლილი პიროვნულები, ფილმში მაინც მას ეწყარება და იმ მოტივებს აღრმავეს, რომლებიც მოთხრობაში ყრუდ იყო მინიშნულები, აქ კი მთავარ ფუნქციას ასრულებს.

მოთხრობაში ჩვენებიდან მხოლოდ ანზორა და ელისო გადაწყვეტენ სამშობლოში დაბრუნებას. „ამ ადგილების ნაწილინიკი“ თოლმაჯებითა და ყაზახებით გამოეცხადება ჩვენთან ბანაკს და ასე გტყვის: „თქვენ თქვენი სურვილით მიიწადინეთ ოსმალეთში: გადასახლება და ჩვენც ნება მოგვევით. ესლა ჩემს ყურამდის მოაღწია ხმამ, რომ ზოგიერთს ისევ დარჩენა მოუწადინა...“ ო შემცა ამ სიტყვებზე პროტესტს არავინ აცხა-

დებს, ცხადია, თავისი სურვილით არავინ მოინდომებდა შშობლიური მიწა-წყლიდან აყრას და გადასახლება.

ნიკოლოზ შენგელიას ფილმი სწორედ ამ ფრზის მხატვრულ გამოფერას წარმოადგენს. რეჟისორი თავისი საკუთარი, სრულყოფილი და მოკლეფილმი, მის მიერ შენახული სიუჟეტური ხაზებით აღრმავეს სათქმელს და ვრცელად გვიჩვენებს თუ შანტაჟითა და პროვოცირებით როგორ ცდილობენ ვაჟაკები ჩვენების აყრას, მა ვერაგულად, მსაკვრულად, მოტყუებით მოაწერინებენ წერა-კითხვის უცეროდინარ ხალხს ხელს საბედისწერო განცხადებაზე, და როცა ეს გამქვადნდება, რა ერთსულოვანია ხალხის გადაწყვეტილება, რომ სამშობლოდან ფეხი არ მოიკვალონ. მუნჯი კინოსათვის ამ უღრესად დამახული დრამის მთელი სიძლიერით გადმოცემა თითქოს შეუძლებელი იყო, მაგრამ რეჟისორის დიდმა ნიჭმა და ფანტაზიამ საოცრად მეტყველ და ემოციურ გამომსახველობით გადაწყვეტის მიავინ. ვაჟისხელით ის კადრები, როცა ჩვენები ასტამირის მოწოდებით პროტესტს ნიშნად ერთხმად, როგორც ერთი კაცი, მიწაზე დასდებიან და ამხედრებულ ვაჟაკები ცხენებით გათოვლის შიშითა კი ვერ შეახრვინებენ წარბს. ბრწყინვალედ მიგნებული და გადაღებული ეპიზოდი, დაუწვევარი კადრები.

ყაზბეგი წერს: „მაგრამ დაბე იღბალს!... თითქოს განგებ, მეტს სტანჯავდა (ანზორას, გ. გ.), იმის მტრთ ერთს ქალს ჰოხვეე ვაქია უწყყარებოდი!...“

მეზე რა დროს მობრძ და საქმე? როდესაც ის შორდებოდა თავის მამულს, როდესაც უკანასკნელი მშვიდობა უთხრა თავის სახლს და მთითოვარე ხელით, ფერმხიდობა და გულდაწყვეტილი, ცეცხლს უწყვიდა! ამ დროს, ამ მწუხარებისა და ტანჯვის დროს, იმის ქალის, მტრთ ერთი ნუგეშის, გული დაესაკუთრა ქართველს...“

მოთხრობისათვის ეს არტუტ ანშინველოვანი ფრზა, სადაც კვლავ და მერამდენედ ისმის ანზორას უწილი ელისოსა და ვაჟის სიყვარულის გამო, სადაც ამ უწილით არის განსხენებული სახლისათვის ცეცხლის წაკიდებაც, რაც ვაჟაკებისათვის სრულიად უგნებელ საქციელად ჩანს, ფილმში უპრობაზო და ტვიტორთვის კადრებზე არის ქვეყლი. ვკრანზე ელისო ვაჟიარება ბანაკიდან, რათა თანასოფლელებს მტრისათვის დატოვებული სახლ-კარის დარდი არ გაეყოფის და ცეცხლს მისცემს აულს. უსწრაფესი ტემპით და მონტაჟის მოკლე ფრზებით (როგორც ამას კორა წერეთელი შენიშნავს) ბრწყინვალე აზრობრივი და მხატვრული ექვეტია მიღწეული. აღმოდებული აული ხალხის სამართლიანი პროტესტის და ბრძოლის ჟინის საოცრად მეტყველი, ემოციური კინემატოგრაფიული გამოხატულება.

მოთხრობაში კვითხულობთ: „ბავშვები ტირიდან შიშით და სიცივით. მშობიარე დედაკაცები გოდებით წარმოსთქვამდნენ იმათ წყევას, ვინც ისინი მიიყვანა ამ დღემდის. და წყევასთან ერთად ლევდენ სულს. კაცები წარბებზემჭუნვნილი, ხანჯალს ხელავალებულ-

ში ჩუმად იდგნენ და უყურებდნენ თავიანთ დღეს, თითქოს სამართალს ელოდნენ, მაგრამ ვისგან?*

თითქოს სრული უიმედობის, მორჩილების, უნუგეშობის, განწირულობის უკიდურესი გამოხატულებაა ამ სიტყვებში. მხოლოდ „იხანჯალს ხელგაფლებული“ და წარბეშებულს უხეირო კაცები მიგვანინებენ თითქოს რაღაცას და კიდევ — ცოტა ადრე ნათქვამი ფრაზა ანზორასი, რომ „მეზობლებთან ჭირიც ლხინია!.. ავერ ისინი ჭიანჭურს უკრავენ, ლხინობენ.. ხანდის-ხან სტირიან კიდევ...“*

ამ ფრაზებმა და მათში ჩადებულმა განწყობილებამ ნიკოლოზ შენგელაიას, მოთხრობის საკუთარი ინტერპრეტაციის შესაბამისად, ჩააგონა კიდევ ერთი ბრწყინვალე ეპიზოდი, როცა ასტამირი სასოწარკვეთილი ხალხის გასამხნეველად ახლად სულდაღლეული ქალის ცხედრის წინ ცვეკას იწყებს და ნელ-ნელა აიყოლებს ხალხს. მოცვეკავე მიხეუც ასტამირის შემხედვარე მასის თავდაპირველი გაოგნება, შემდეგ კი თანდათან აყოლა, რაც საბოლოოდ თითქმის უაზრო აღტიხნებაში გადადის, სინამდვილეში ხალხის სულიერი მზნებობის მოკრების, მისი სიცოცხლის ჯოტი წყურვილის მხატვრულ დემონსტრირებად აღიქმება. ამ აზრის შემზარავი, მაგრამ უძლიერესი გამოხატულებაა, ხელოვნებისმიერი ფიქსირება ცხედრის და ატარტამებული მასის ხასხასმული, ბევრჯერ გამოვრებული კადრების ექსპრესიული მონაცვლეობა.

ამდაგვარი კინემატოგრაფიული მიგნებები, ნიმუშები ლიტერატურული ნაწარმოების თავისუფალი შემოქმედებით ინტერპრეტაციისა ეკრანიზაციის დროს, ნიკოლოზ შენგელაიას „ელისოსში“ სხვაგვარაა. მაგრამ ისევე გამოიგრძობა საუბარი ამ ფილმშიც. მე ვფიქრობ, მეკატეხება, რადგან ეს იყო პირველი ქართული ფილმი, რომელიც ეკრანიზაციის საუცხოო ნიმუშად გამოადგება მუდამ ქართულ კინოს, და არა მარტო ქართულს.

„ელისოს“ შემდეგ ორნახევარ ათეულზე მეტი წელი გავიდა, ვიდრე ქართული კინოში ახალი საეტაპო მნიშვნელობის მიქნე ფილმი გამოჩნდებოდა. ეს იყო „მაგდანას ლურჯა“, იმხანად ახალგაზრდა რეჟისორების თენგიზ აბულაძის და რევაზ ჩხეიძის სადებიუტო ფილმი. ამ ხანგრძლივ შუალედში, ქართული კინოსათვის ძნელსა და ნაკლებპროდუქტიული პერიოდში, თითო-ორთლას საინტერესო ფილმი, მათ შორის ვკრანისაიცის ნიმუში კი შეიქმნა, მაგრამ ერთგული კინემატოგრაფის შემოქმედებით განახლებას და ახალ აღორძინებას, რამაც შემდგომში ასეთი მშვენიერი ნაყოფი გამოიღო, სწორედ „მაგდანას ლურჯა“ დაუღო სათავე.

აქ ნიკოლოზ შენგელაიასთან შედარებით თითქოს უფრო „მორჩილი“ არიან ფილმის ავტორები, თითქოს უფრო მეტ დეროგულებას იჩენენ ეკატერინე გაბაშვილის ამავე აღმსარებლობის მოთხრობის მიმართ. ამ შთაბეჭდილებას არ ანელებს მათ მიერ ფილმში შემოყვანილი ახალი პერსონაჟები, ვთქვათ, ვაპარ მიტუასი, ან კიდევ მოთხრობაში მხოლოდ ნასსენები მამასახლისის, მოწყვებისა თუ სხვების სორცმუსხმულ სახე-ხედვად წარმოდგენა, არც ისეთი თვალნათლივი გადახვევა,

როგორც მენახშირის მხაგვრილიან ჩაგრულად ტრანსფორმირება.

ერთი შეხედვით ძნელი შესამჩნევია, მაგრამ დიდად საყურადღებოა ის პრინციპული სიახლე, რაც ფილმის ავტორებმა მთავარ გმირს, მაგდანას მიანიჭეს. ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობის გმირი თუმცა გაჭირვებულ ქვერ-ოხურია, მაგრამ თუ დაეუკვირებდით, მას ცუდი ზნის კვალიც ეჩნება: გაძრომ-გამომძრომას და ვაჭრობასაც ეჩვევა, ღიჭინიც ეხერხება, მეწვრილიმანებობასაც კი მიყოფს ხელს. ყველაფერი ეს ავტორებმა მილიანად და საესებით ჩამოაცილეს მაგდანას სახეს, იგი მხოლოდ კეთილი, სუფთა, სათო თვისებების მშობელ და დაჩაგრულ გმირად წარმოვიდგინეს, რადგან მხოლოდ ასეთი მაგდანა მიესადაგებოდა მათ შემოქმედებით ამოცანას. ასე რომ, არც ისეთი „მორჩილი“ აღმოჩნდნენ ფილმის ავტორები, როგორც გვეგონა.

აქ მუნებრივად ისმის კითხვა, რატომ მიმართეს თენგიზ აბულაძემ და რევაზ ჩხეიძემ ეკრანიზაციის მიზნით არცთუ ისე მნიშვნელოვან მოთხრობას და რა შემოქმედებითი ამოცანის გადასატრეოდ დასჭირდათ იგი?

საქმე ის გახლავთ, რომ 50-იანი წლები მთელს საბჭოთა მწერლობასა და ხელოვნებაში მრავალმხრივ იქცა განახლების წლებად, ერთ-ერთი მთავარი სიახლე ის გახლავთ, რომ ხელოვნებამ და ლიტერატურამ მხეი აიღო გამორჩეულ, განსაკუთრებული თვისებების, უნარის, მისიის მიქნე გმირებზე და თავისი ყურადღება ძირითადად უბრალო ადამიანების ყოფაზე, ცხოვრებაზე, განცდებზე, ფიქრებზე გადაიტანა.

ეს სიახლე, ცხადია, კინემატოგრაფსაც შეეხო. თუმცა შეეხო რას მიქცია, როცა შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კინემატოგრაფი აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ძლიერი გამოხმატველი და ტრენდებისა ქართულ საერთოდ. საბჭოთა ხელოვნებაში და უფრო ფართო მასშტაბითაც, იტალიური ნეორეალიზმი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა მოყოფილი კინემატოგრაფიაში, თავისი პრობლემატიკითა და პოეტით სწორედ ამის ძლიერი და მშვენიერი გამოხატულება იყო.

ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“ არ შევცდები, ალბათ, თუ ვიტყვი, თავისი მხატვრული სიძლიერით და ღირსებით კი არ მიიქცია ფილმის ავტორის ყურადღება, არამედ იმით, რომ მათი შემოქმედებითი ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო ამის და განწყობილების შემეცველი იყო. საწყალი ქვერების და მისი მცირეწლოვანი შვილების ღუჭიერი ყოფა, უეცარი სიხარული და შემდეგ მას მოყოლილი განსაცდელი უბრალო, პატარა ადამიანისადმი თანაგრძობის გამოსასატრად მართლაც კარგი მასალა იყო.

ამ მცირე, თითქოს არცთუ მნიშვნელოვან ამბავს რეჟისორებმა ძლიერი მოქალაქეობრივი ეჭვრადობა მიანიჭეს, დიდ განხორცადება მისცეს და უბრალო, მშრომელი, ცხოვრებისაგან დაჩაგრული ადამიანისადმი საოცარი ინტერესისა და თანაგრძობის აღმძვრელ მხატვრულ ფაქტად აქციეს.

მთავარი, რამაც განაპირობა ამ ფილმის წარმატება, მისი დიდი სიმარბოდე და მხატვრულობა იყო. დოკუმენტურად

უსტი და მაყარი ფაქტურა, ყოფითი დეტალებისადმი გამახვილებული ინტერესი, ხასიათების უშუალობა, მხატვრული მთლიანობა და პარმინიულობა ამ ფილმს ქართული კინოკლასიკის როგორ აყენებს.

ამ დღის სიმატილის მოტანაში რეჟისორების დასაყრდენს წარმოადგენენ მთავარი როლების შემსრულებლები, ცნობილი მხახიობი დედუხანა წერეთე, ვინც მართლაც კლასიკურის სახე შექმნა მაგდანასი, და კიდევ ქართული კინოს აღმორჩენა, ბრწყინვალე ბავშვები ნანი ჩიქვინიძე და მიხო ბორაშვილი, რომელთა უშუალობა და ბუნებრივი არტისტიზმი პირდაპირ გასოცარი რამ იყო.

იღის აქტუალობამ და მისმა ზოგადმა, წარუვალმა მნიშვნელობამ, ღრმა და ჭეშმარიტმა პუნანიზმმა, საოცარმა მხატვრულმა სიმატილემ, გამომსახველობითი ხერხების სიმდიდრემ, სამყაროს ერთდროულად მაყარმა და თიბობა ხედვამ, მაღალმა ემოციურმა ძაბვამ, ავტორების მიერ შთაბერილმა პოეტურმა სულმა ამ ფილმს მსოფლიო აღიარება მოუპოვა და ისეთი მაღალი ჯილდო არგუნა, როგორცაა კანის კინოფესტივალის დიდი პრემია. ეს იყო ნამდვილი სენსაცია, თენვის აბულაძის და რევაზ ჩხეიძის ტრიუმფალური დებიუტი, მსოფლიოსათვის ქართული კინემატოგრაფის აღმოჩენა, ქართული კინემატოგრაფისათვის კი, შედევრის შექენასთან ერთად, ახალი ეტაპის დასაწყისი.

„მაგდანას ლურჯაში“ „პირველად განხორციელდა სინამდვილის პოეტურად გააზრების თავისებური მეთოდი. შერწყმა ორი სინარტიკისა, დოკუმენტურ-კინორეკლამი ცხოვრებისეული სიმატილისა და პოეტური განზოგადებისა, შემდგომში იქცა თანამედროვე ქართული კინოსელოვნების ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანდვისებად“¹³. სასებითი საპართლიანი მომსახურება და ამით კორა წყურველობა ხაზს უსვამს თენვის აბულაძის და რევაზ ჩხეიძის პირველი ფილმის მნიშვნელობას არა მხოლოდ ევრანიზების თვალსაზრისით, არამედ საერთოდ საეკაპო მნიშვნელობას ქართულ კინოსელოვნებაში.

დიდმა შემოქმედებითმა სულმა და მაღალმა პროფესიულმა ოსტატობამ ასე აქცია სრულად ორდინარული ლიტერატურული ნაწარმოები კინემატოგრაფიულ შედეგად.

სვათა შორის, ლიტერატურული პირველწყაროსა და მის ევრანულ გამობატულებას შორის ამდაგვარი „ბედნიერი შესაბამისი“ ნიშნები სხვაც ვაქვს. ასე რომ, ქართულ კინემატოგრაფს მარტო იმის სასწუხარო შემოსევეები კი არა აქვს, როცა დიდი ლიტერატურა პატარა კინოსელოვნებად ოამდებულება, არამედ ის სისხარტული მაგალითებიც მოკეობება, როცა პატარა ლიტერატურა დიდ კინოსელოვნებად ამადებულება. ასეთ ფილმებს თანაბარი მნიშვნელობა როდი აქვთ ქართული კინოსათვის, მაგრამ პირველწყაროსთან შედარებით სათქმელის გამაძვრების თუ მხატვრული მიხენების წყალობით ისინი ევრანიზაციის საუკეთესო ნიშნუთა რიგს განეკუთვნებიან.

ასე მაგალითად, ანტონ ფურცელაძის „მაცი ხეცია“, თავისი დროისთვისაც ნაკლებ მნიშვნელოვანი და ახლა კი ჩვენს თანამედროვეთა მიერ არცთუ უსამართლოდ მივიწყებული სოციალური რომანი, გიორგი შენგელიას ამავე სახეწლოვნების სათავგადასავლო ფილმში რეჟისორის იქალი ოსტატობის წყალობით კინოსელოვნების კარგ ნიშნულად იქცა და თანამედროვე მაყურებლის ცხოველი ინტერესი და აღიარებაც დაიმსახურა.

კიდევ უფრო საოცარი რამ დაემართა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობას „უპატრონოს“, რომლის მიხედვითაც გადაილი ალექსანდრე რეხვიაშვილმა ფილმი „ნუცა“. მიხეილ ჯავახიშვილის ეს მოთხრობა ნაკლებ მნიშვნელოვანია თავად მწერლის შემოქმედებაშიც და, მითუვებოდა, საერთოდაც, ქართული მწერლობისათვის. იგი მიხეილ ჯავახიშვილის ადრეულ პროზაულ ნაწარმოებათა რიგს განეკუთვნება და „ჩანჩურის“ გეგრიდით საგაოად უფერულად, უკვე დიდი ხნის ნაცნობად, ძველის გადამღერებდა, სენტიმენტალურად გამოაყურება. ბატონის მიერ სოფელი გოგოს ნამუხის ახდაზე აქამდეც ბევრი რამ წავიციოთხავს და მერე კინოშიც გვიჩაზავს. „ქრისტიანე“ ევრანიზაციის დროს, ოცინა წლებში კიდევ პო, მაგრამ დღეს თითქოს წარმოუდგენელიც კია, რომ ამდაგვარ ლიტერატურაზე კინოვლში შეიძლება იქნას გადაღებული.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტი ჯიუტია, ფილმიც გადაღებულია და, რაც მთავარია, მეტად საინტერესო, მნიშვნელოვანი ხელოვნების ნიშნუც მივიღეთ, ეს დამსახურება მთლიანად რეჟისორ ალექსანდრე რეხვიაშვილის ღრმად ორდინარული კინემატოგრაფიულ აზროვნებას და ხედვას, მის მაღალ პროფესიონალიზმს უნდა მიეწეროს.

ტენვი და რაციონალური მხატვრული აზროვნება, ლაკონიური და მეტყველი კინოსირობა, კინოსახის შესაქმნელად უპირატესად გამომსახველობითი ხერხების მოხმობა, დინამიური და ფიქსირებული სტატეკური კადრების მონაცვლეობა, გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტების გამოცვეთისას მათი სიღრმისეული, სულისმიერი განცდების წვედობა, — აი რამ განაპირობა „ნუცას“ მაღალი დონისებები.

ალექსანდრე რეხვიაშვილმა ბევრი რამ უკუავიღო მიხეილ ჯავახიშვილს ამ ისედაც არცთუ ვრცელი მოთხრობიდან, უარი თქვა ერთი შეხედვით ფილმისათვის თითქოს მომგებიან სიუვეტურ მომენტებსა და პერსონაჟებსზე არა, მას არ დასჭირდა არც მოფუფუველი სოფელების კოლორიტული სახეები, არც კობტა ქალაქელი კნენიების მანჭვა-გუნება, არც გრძელი დიალოგები, არც შეცდენილი გოგოს ვიწვიში და წრიალი, არც ისეთი ტრაგიკული გამობატვა ნუცას უმედურებისა, როგორცაა ქრისის მიერ მისი უკანონო ჩვილი ბავშვის მხეცერი მკველლობა. ეს ყველაფერი ზედმეტი და უსარგებლო აღმოჩნდა მისთვის. რეჟისორის მიზანს არ წარმოადგენს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი დაწერილობით, დეტალურად მოგვითხროს ნუცას შეცდენის მთელი პერიპეტები და მისი ტრაგიკული შედეგები. ალექსანდრე რეხვიაშვილმა ამას ყველაფერს კადრს გარეთ ტოვებს და მხოლოდ სულოერ განცდებზე

13 კ. წყურველი, ქართული საბჭოთა კინო, 1971, გვ. 70.

მიგვაქცევინებს ყურადღებას. ამ გზით გადააქცია მან სოციალური მელოდრამა ფსიქოლოგიურ დრამად.

რეჟისორის ასეთმა მიზანდასახულებამ განაპირობა ფილმის ტუზური და მაკარი სტილისტიკა, ამან კი გმირების მნიშვნელოვან შეცვლა მოითხოვა. მიხეილ ჯავახიშვილის ლეგენდა ბატონის ნაცვლად, რომელიც დიდხანს უწრია-ლებს ნუცას შესაცდენად და ამისთვის ათას ხრიკს მიმართავს, ფილმში მხოლოდ ვენებაძობალეული გმირის აფექტური და ენერგიული ერთბაშად მოქმედების მოქმენი ვხვდებით. თუ ლიტერატურულ პირველწყაროში ნუცას ხვედრისა და განცდების თხრობას სანტიმენტალური ინტანაცია აქვს და გმირიც ახირებულთ ჟინის მარტოვ მსხვერპლად წარმოვიგდება, ენერგიულ ტრაგიკომის შეგრძნებას გოგონას რთული და ამაყი სულის გათელვა იწვევს. ამდენად, თუ მოთხრობამ ნუცას საყოლობით უნდა ავიწყოს გული, ფილმში ადამიანის ღირსების გათელვის გამო ჩვენში აღმფთვთება უნდა გამოიწვიოს.

ალექსანდრე რეჯიაშვილის ფილმში არც გულისამაჩუყებელი მუსიკა ისმის (არადა, თითქოს შეუძლებელი იყო უამისობა) და არც თვითონ ჯავახიშვილისეული პერსონაჟების თავშეკავებული მეტყველება. სიტყვის როლი აქ მინიმუმამდეა დაყვანილი, მხოლოდ სულ რამდენჯერმე გაისმის ეკრანზე და მოკლე ფრაზა. მთავარი ღირსება ამ ფილმის სწორედ მშვენიერად მიგნებული კინოვანაა, რომელსაც რეჟისორი გმირებსაც ვეცხისათებს და მათ სულიერ დრამასაც ვეცხისას.

აქ არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს, რომ რეჟისორის ჩანაფიქრს, სტილს შესანიშნავად ჩაწვდომიან მსახიობები. მარინე ჯანაშიაც და ჯანერ ლოლაშვილიც შესანიშნავად თამაშობენ ამ ფილმში. ჯანერ ლოლაშვილის ენერგიული ნაბიჯები, მისი განზრახვაგარეული ნაბიჯების თანდათან აჩქარებული ტემპი, რომელსაც ყოველგვარ მუსიკაზე უკეთესად ახლავს ჩამოცვენილი ფოთლების აბედილი მარმური, მისი სახის გამომოქცეველმა მთლიანად გვიხისათებს გმირს, როგორც მტკიცე ხასიათის და კოეტი ვენების კაცს, მარინე ჯანაშიას ნუცა, მისი საოცრად დიდი ამოტყველი თვალებით, სადაც უძირო სევდა და არა შიში ამოთიქობება (გავიხსენოთ კადრი, როცა ნუცა კედელსა აკრული, ან კიდევ ფინალური კადრები), მისი საოცარი დინამიკობით და პლასტიკობით გარინდების დროსაც კი, და არა მარტო მომართობისა, ჯავახიშვილისეულ სოფელს დანაგრულ და გაუბედურებულ ტლუ გოგონას კი არ წარმოხსავს, არამედ რაფინირებული და ამაყი სულის პატრონ პიროვნებას, ვინც საკუთარი ღირსებებს და არა სხეულის გათვლებით არის შემრწუნებული.

ალექსანდრე რეჯიაშვილის „ნუცაში“ ერთი ორდინარული, ნაცნობი, გულისამაჩუყებელი პროზაული ამბავი ასე გადაიქცა ეკრანზე ახალ და განუმეორებელ სველიან პოეზიად. ეკრანზეაგონის მნიშვნელოვანი ნიშნავა ვიგორ შენგელაის „ალავერდობაც“, გურამ რჩელიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადაღებული. თანამედროვე

ექვაპე კართულმა კინემატოგრაფმა მარეკალმბრობა და მრავალფეროვნება შეიძინა, მისთვის დამახასიათებელი გახდა ფილოსოფიური აზროვნებაც. ამისი ერთ-ერთი პირველი გამოხატულება იყო გიორგი შენგელაის „ალავერდობაც“. მოთხრობისა და ფილმის სათქმელი იმ საგულისხმო შეგონებაშია, რომ „ვენების სიმძაცფე შენგებაშია და არა აშენებულთ ტემბოში“. ამ დასკვნამდე მოთხრობისა და ფილმის გმირიც მას შემდეგ მდის, როცა ალავერდობის დღესასწაულზე უაზრად მოტორტმანე და ღვინისაგან გონებაგამოთიშულ ბრბოს შეტყურებს. ალავერდის დიდებული ტაძრის გუმბათიდან გადმოჰქურებს გმირი (მსახიობი გვიდარ ფალავანდიშვილი) ამ სიტყვების გაფიქრებისას და თითქოს მისი სახრის ცოცხალ გამოხატულებად დაგას კე ტაძარიც, ხელშეხებით და მშვენიერი ნაყოფი სწორედ შემოქმედებითი ვენებით სავსე ხალხისა და არა ამათაგვარისა, ახლა რომ ღვინის მისცემია მის შემოგარენში. ამ შეგონებამდე გურამ რჩელიშვილისა და გიორგი შენგელაისაგან მოქეფე ბრბოს შემხმავი სახის სანგრძლივი და დეტალური დაკვირვების შედეგად მივყავართ. რეჯისორმა მშვენიერად შესძლო მწველის გულისთქმის ეკრანზე გადატანა. თითქოს ღრუნი ფილმისა და დოკუმენტური სიზუსტე ბრბოს ფსიქოლოგიის გახსნისას, მისი უაზრო გამოხატულებით სავსე იერისა და დაკლილი სულის მეტყველი, მაგრამ თითქოს გატანებული დემონსტრირება მწველისა და რეჯისორის სათქმელის ტყვიელამდე მძაფრად შესაგრძნებდა განზრახ არის მისმოხილი. ეს მსატყველი ხერხია, რეჯისორის მიერ დიდი სიზუსტით მიგნებული და შედეგად მტად მნიშვნელოვანია.

ქართულ კინოში ფილოსოფიური სიღრმეების ძიების, მასშტაბური მსატყველი აზროვნების, სიმბოლური და მეტაფორული განზოგადებისაკენ სწრაფვის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა თენგიზ აბულაძის „ვედრება“, რომელიც თავისი დიდი სათქმელისა და კინემატოგრაფიულა სრულყოფილების გამო სატკაპო მნიშვნელობის ფილმად იქცა საერთოდაც და ეკრანზეაგონის თვალსაზრისითაც ეს ფილმი საოცრებად იქნა აღქმული მაშინვე, პირველი ნახვისთანავე, თუმცა ზოგათათვის მისალბე, ზოგათათვის კი მიუღებელ საოცრებად. ახლა, დღევანდელი სიზორიდან, როცა „ვედრებას“ წლებიც მომეცა და იტალიაში სან-რემოს საერთაშორისო კინოფესტივალზე უმაღლესი ჯილდო განსჯის განპრობი მიენიჭა, როცა დაპირისპირებულ აზრობა შეხლა-შემხოსლის სწავლათაღლებაც დაცხრა და შედარებით მშვიდი განსჯის ანგეზე შედგა განადა, კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა ამ ფილმის წარუვალი ღირსებები, ცხადი გახდა მისი შედეგრულობა. „ვედრებაზე“ უკვე უამრავი რამ არის დაწერილი, ამიტომ მე მხოლოდ ორიოდ ფრაზით შემოვიფარებლები, თან იმასაც დავსძენ სამართლიანობის გრძობის კარნახით, რომ მისი პირველი შემფასებლებისაგან რთული ფილოსოფიური მსატყველი ნაწარმოების ღრმად ჩაწვდომის და ანალიზის შესაშური უნარი გამოიჩინეს ნილარ გურამიანიქმე და გრიგოლ კიკნაქმე, რითაც კარგი სამსახური გაუწიეს ფილმს. (იხ. მათი

წერილები „ლიტერატურულ საქართველოში“ 1968 წ. №33 და 44).

„ვედრებაში“ ახალი ბრწყინვალეობით გამოჩნდა თენგიზ აბულაძის ღრმად ორიგინალური მეტაფორული აზროვნება, ურთულესი პრობლემების საოცარი კინემატოგრაფიული მხატვრული და გაპარებულ კინოსახის ხორცშესახსმელად შესაფერი შემოქმედებითი კოლექტივის, ჭეშმარიტ ხელოვანთა შემოკრების და მათთან გატაცებით მუშაობის უნარი. „ვედრებაში“ ყველა მხატვრული კომპონენტი სრულყოფილებამდე აყვანილი: პირდაპირ გასასოცარი ოპერატორის (ა. ანტიპენკო) და მხატვრის (რ. მირსაშვილი) ხელოვნება, რისი წყალობითაც, შეიძლება ითქვას, ყოველი კადრი ფერწერულ ტილოდ აღიქმება, ასევე არსებითია კომპოზიტორის (ნ. გაბუნია) შემოქმედებითი წვლილიც, მშენიერიც მსახიობთა — სპარტაკ ბაღაშვილის, რამაზ ჩხიკვაძის, რუსუდან კიკნაძის, თენგიზ არჩვაძის, გიგადარ ფალავანიძისგან, ოთარ მეღვინთოსუბუცის, ზურაბ ქავიანიძის, ნანა ქავთარაძის მიერ შექმნილი სახეებიც და მასში გამოყვანილი ტიპაჟიც.

„ვედრების“ ღირსებათა ჩამოთვლაც კი, არამცთუ ანალიზი, შორს წაგიყვანს და ამ შემთხვევაში მიზანს აგვიცდენს. ამჯერად ჩვენთვის ის პრინციპია საინტერესო, რომელიც ირჩია რეჟისორმა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ეკრანზე გადასატანად.

თენგიზ აბულაძემ ამ ფილმში ეკრანიზაციის ყველაზე რთულ სახეს მიმართა, როცა მწერლის ერთი მთლიანი და დასრულებული ნაწარმოების გადატანა კი არ ხდება კინო-ინაჩე, არამედ მთელი შემოქმედებიდან ერთი ეპიზოდული პ.ბ.ბ.ლუმა შეირჩევა და მისი მიხედვით ხდება სხვადასხვა ნაწარმოებთა, სიუჟეტურ ხაზთა, სახეთა მონტაჟი. ერთი მთლიანი მხატვრულ სხეულად გადაქცევა, ანუ, როცა ეკრანიზება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უნდა გაგვოთ, არამედ როგორც მწერლის შემოქმედებითს მოტივეზე დაყრდნობა. სცენარის ავტორებმა (თენგიზ აბულაძემ, რეჟისორმა ვაჟა-ფშაველამ და ანზორ სალუქვაძემ) და რეჟისორმა ბრწყინვალედ გაართვან თავი ამ ურთულეს ამოცანას, რასაც კიდევ უფრო აძვირებდა თვით პოეტის, ვაჟას შემოქმედების მრავალმხრივი და რთული ბუნება.

კრიტიკოსთა დიდი ნაწილის თავდაპირველი გაწინააღმდეგობა იმიტომ აიხსნება, რომ ვაჟას პოპულარობის და ავტორიტეტის გამო ყველას მისეული ხედვა აქვს ამ ღრმა და მწვენიური სამყაროსი, ამინადა, მათი თვალსაზრისი დაშორდა რეჟისორიდან. ამას გარდა, ვაჟასეული ნაწარმოების ერთი წყება მხოლოდ ფართოდ ცნობილი და ამიტომაც მოეჩვენათ ზოგი რამ ფილმში უცხო სხეულად და სხვათა გაღწეით (ბე-რგანს, ფელისის თუ სხვებს იხსენებდნენ) შემოტანილად სინამდვილეში კი „ვედრებაში“ ყველაფერი მხოლოდ ვაჟას ნაწარმოებებიდან მოდის, თუცა ზოგი რამ (ღვთისათა ქალი-იდალის და მაცილის სახეები თუ ამასთან დაკავშირებული სიუჟეტური სახეები) არაქრესტომათიულიდან და ნაკლებ ცნობილიდანაა აღებული (მოთხრობები „მოწივება“, კიდევ სხვა „მოჩვენება“, „ოცნება“ და სხვა). ამ შემთხვევაში რე-

ჟისორული ცოდნა და წვდომა ვაჟას სამყაროს ბევრად უფრო ღრმა, ვიდრე მისი გასაწივებელი ოპონენტებისა.

ისიც ვინაა ვაჟასწინებელი, რომ ვაჟა-ფშაველას „შემოქმედება არ ხასიათდება ისეთი სიმარტივით და „სწორ-ხაზოვნებით“, როგორც ბევრი სხვა მწერლისა. ამიტომ ვაჟას შემოქმედება სხვა სურათს ხელოვანთათვის ბოროტი ააბა. თანამედროვე შემოქმედის კავშირი ვაჟასთან იმას გულისხმობს, რომ მის შემოქმედებაში ბევრი რამ დაინახოს, გაიზიაროს და შეაფასოს საკუთარი ტკივილებისა და ფიქრების შესაბამისად, ანუ ვაჟა აქციოს საკუთარი გრძობა-გინების საკუთრებად.“¹⁴

ამას გარდა, ფილმის ადრეულ ოპონენტთა შეცდომის სათავე იცვ იყო, რომ მათ არ გაითვალისწინეს ამგვარი ეკრანიზაციის პრინციპები და დანიშნულება. „ვედრება“ სულაც არ ისახავს მიზნად ვაჟას მთელი შემოქმედების თუნდაც მხოლოდ უმთავრესი პრობლემების დატყვას.

„ვედრებას“ ვაჟას შემოქმედების ერთი უმთავრესი პრობლემა და საწუხარი უღედს საფუძვლად, რომელსაც ზოგადად სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება, ბრძოლა, შეთანხმებლობა შეილება დაგარქვას. ეს საერთო მნიშვნელოვანი მისა ყველა სიუჟეტურ მონაკვეთში აშკარად ჩანს, მის საფუძვლად წარმოადგენს, თუცა თითოეულ მათგანს თავისი კონკრეტული დატვირთვაც აქვს. ვთქვათ, ღვთისათა, მაცილის, ქალი-იდალის სიუჟეტურ ხაზში ეს არის ამ ზოგად იდეების ერთდროულად სიმბოლური და პერსონიფიცირებული სახეები, ალუდა ქეთულაურის სიუჟეტურ მონაკვეთში პიროვნების სა-ზოგადოებრივი ამაღლების, მისი სულიერი განწმენდის და გაკეთილშობილების მოტივთან დაკავშირებით ხდება მთავარი იდეის მხატვრული ინტერპირება, ჯოყილა-ზვიადურის ამბავთან დაკავშირებით კი მთავარი სათქმელი ახლა უკვე პირობული ღირსების დაცვის გამო გმირისა და თემის დაპირისპირების მოტივითა გამჟღავნებული.

ასე რომ, „ვედრებას“ თავისი მტივიც ჩარჩო, სიუჟეტური ღერძი და ერთი მთავარი სათქმელი აქვს. დას, მთავარი, მაგრამ მაინც ერთი, რომელიც არ ამოწურავს და ვერც ამოწურავს ვაჟას შემოქმედებით სამყაროს. ფილმს ეს ფუნქცია არ აკისრია.

ამიტომაც, ვაჟას შემოქმედებით მოტივზე არა ერთი და ორი ფილმის გადაღება შეიძლება კიდევ. აკი კიდევ გადაიღონოდარ მანაკაქემ მშენიერი ფილმი „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, (სცენარის ავტორები ერთლმ ახვლედიანი და დანი ქავაშიშვილი), ვაჟას ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით. ეს ფილმიც ვაჟას მოტივებზეა გადაღებული, რადგან პოემის მხოლოდ ერთ ნაწილს ცურდნობა, მხოლოდ გარკვეულ განწყობილობას იყენებს და სხვას სტოვებს, ამავე ბევრი რამ არის შეცვლილი და გაფერცობილი, მაგრამ ქაიცი ყველაფერი ვაჟასეული სტულისა და სამყაროსია. ამ ფილმს არ

¹⁴ გრ. კიკნაძე, „ჩვენი სიუჟეტული ვაჟა-ფშაველა“ „ლიტერატურულ საქართველო“, 1968 წ. № 44.



აკისრია ისეთი ღრმა აზრობრივი დატვირთვა და არც განზოგადების მასშტაბები აქვს იმეღა, რაც „ვედრებისა“, მაგრამ ესეც ხომ ვაგას შემოქმედების გვიხნის სხვა კუთხით. თენგიზ აბულაძის, როგორც თავად გაუმხალა მან მკითხველს, განზრახული აქვს „ბახტრიონის“ გადაღება და ეს ფილმი უკვე დაგეგმება კიდევ კინოსტუდიის. აქ, ალბათ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ვაგასეული მოტივი პოპების ეკრანულ გამოსატლებებს, მაგრამ, საბედნიეროდ, არც ამით ამოიწურება მწერლის შემოქმედებითი სამყარო: ასე რომ, ვაგა კიდევ დიდხანს დარჩება კინოხელოვნება შთამბეჭებელი ძალად.

ეს რა ვაგასკერია, როცა გიორგი ლეონიძის ერთი წიგნი, მოთხრობათა კრებული „ნატვრის ხე“ უკვე ორი ფილმის წყაროდ იქცა. ლევან და ბუბა ხოტივარებმა ამას წინ გადაინდგეს სასუბორო ფილმი „ჩირიკი და ჩიკიტლა“ (სცენარის ავტორი რევაზ ინანიშვილი) ამხვე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. მწერლის მცირე, კოლორიტული, სველიანი შეფერილობის მოთხრობა ფილმის ავტორების წყალობით გადაიქცა დრამად, სადაც ერთი შეხედვით კომიკურ სიტუაციებში დიდი ვნებებია ერთმანეთის შეჯახებული.

ახლა კი თენგიზ აბულაძემ დაამთავრა ფილმი „ნატვრის ხე“ (სცენარის ავტორები თენგიზ აბულაძე და რევაზ ინანიშვილი), რთაც კიდევ ერთი ბრწყინვალე ფილმი შემატაქართული კინოხელოვნების საგანძურს.

ამ ფილმისთვისაც უშუალოდ მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა გამოყენებულა — „ნატვრის ხე“, „ფუფალა“, „სოფლის შარაზე“, „ციციკორე“, „მარტიკა“, „ჩორეთი“; — საერთოდ კი მთელი წიგნიდან არის მოხსობილი ცალკეული დეტალები, მხატვრული სახეები, განწყობილება. აქაც ყველაფერი, მთლიანად ყველაფერი, ჭეშუმას ყელისანი ფუნქციონის შუაზე გასვლილი, ჭეშუმის კი გიორგი ლეონიძის პირველწყაროდან მოდის, მაგრამ რეჟისორის მხატვრული აზროვნების ძალით სათქმელი ისეა გამამაგრებული, რომ ეს წიგნისათვის ეკრანზე მნიშვნელოვან ახალ სიციხესაც კი არ ნიშნავს მხოლოდ, არამედ ახალი სიღრმეების და ძალის მიანიჭებდას. ლირიული მოთხრობების კრებული ეკრანზე გადაიქცა მძაფრ ტრაველიად.

აქ ჯერ სცენარის ავტორების ნამუშევარი გვანცვიფრებს. რამდენიმე მოთხრობა ისე ორგანულად არის ერთმანეთთან შერწყმული მთლიანი სიუჟეტით, ხასიათების დაპირისპირებით, მოქმედების ერთიანობითა და მათგან, დინამიური განვითარებით, დაბოლოს ფინალში, არამცთუ მთავარი სათქმელის, ყველა მოტივისა და სახის ლირიული მხატვრული წერტილით, რომ დაუჯერებელი ხდება სცენარის მონტაჟური ხასიათი და იგი თავიდანვე ერთ მთლიან, მაყარად გააზრებულ, შერეულ და ორგანიზებულ მხატვრულ ნაწარმოებად წარმოგვიდგება. ამასთან ერთად თუ იმასაც დავსძენთ, რომ სცენარის ბრწყინვალე ერთი არის დაწერილი, შეფვიდვია განვაცხადოთ: „ნატვრის ხე“ ჭეშუმარტად კლასიკური სიძლიერის კინორეჟისურის ნიმუშია.

თენგიზ აბულაძე აქაც ეკრანისაგან იმავე მეთოდს იყენებს, რასაც მან „ვედრებაში“ მიმართა, მწერლის სათქმელიდან მხოლოდ ნაწილს, მისთვის საინტერესოსა და მნიშვნელოვანს იღებს და მას ეკრანზე უკიდურესად ამძაფრებს. ზოგადი თვალსაზრისითაც, „ნატვრის ხე“ ეროვნულად აგრძელებს „ვედრების“ პათოსს. აქაც სიკეთისა და ბოროტების შეუთავსებლობაა, სამკედრო-სასიციხესლო ბრძოლაა მთავარი, თუმცა, ცხადია, სულ სხვა სიმეტურ ქსოვილიმ, მასალასა და

სახეებში ვაცხადებული. მხატვრული აზროვნების თვალსაზრისითაც აქვს საერთო ამ ფილმებს. დეტალებზე რომ აღმარადი ვთქვათ, მთხოლოცა და მეტაფორულიცა საგანძობლად აახლოებს მათ. „ნატვრის ხე“ მარტო სოციალური ან ფსიქოლოგიური ხასიათის მხატვრული ტილო არ არის, იგი, ამასთანავე, ფილოსოფიური კინემატოგრაფის ჟანრსაც განეკუთვნება, სადაც ამ ორი საწყისის, ბოროტისა და კეთილის ბრძოლა ახალისა და ძველის შეჯახებაში, ტრადიციული ნიღბის ქვეშ პიროვნების სულიერი თავისუფლების დათრგუნვაში და აქედან თავის დაღწევის დაუთკებელ სწრაფვაში გამომატება.

ფილმის პროლოგის ლამაზი ფაქტურა, შშითა და სინათლით განახსახებული ეკრანი, მობობინე ველი და გარინდებული სიმძებრე თითქოს იდილოურ განწყობილებას გვიქმნის. მაგრამ ამ სილამაზეცა და სიმუხროვანი დათხეული სისხლი ცხენისა და დროდადრო ცის სიკაშკაშეში მოტივიცეცქერას ავებდითი ყიფილი მშფოთვარე წინათგრძნობით გვავესებს. სხვათა შორის, ზოგიერთ დეტალზე შეიძლება პარალელის ვაგლება „ნატვრის ხე“ და „ვედრების“ შორის. ვაგვისენით თყოლასა და ზვიადურის შეხვედრა თოვლიან ქაქთაბა სთიურეში და მდუმარებაში, უსულოდ განარბმული ჰახების და დაღვრილი სისხლის დანახვა იქაც ვაგაზღაგება ტრაგიკულის განცდისათვის. სულთმობრძავი ცხენის ორგველი მდგარი ვედია, ციციკორე და ბაგვი, მერე კი დანთხეული სისხლი, რომელიც მთელ ეკრანს ღებავს წითლად, ასევე ვაგარბმობინებს, რომ აქაც ეს სილამაზე მოჩვენებითია და სულ სხვა, მწვავე განცდებს უნდა ვუზიაროთ.

ფილმის პროლოგში ამ ავადმანიშნებელი სიმბოლიკის შემდეგ საკუთრე მოქმედება ისე ვითარდება, რომ დიდხანს მიგვეგება ლაღი განწყობილება. მიუხედავად ანარქისტული ორანგის (კახი კავასძე) ბობოქრობისა, რეკლუციის და განახლებების მოლოდინით რომ ცოცხლობს და ამ ემოციებს სხვასაც ვაგასტყუებს, ბუნებრივად (ერის მანჯგალაძე) ტირადების საქარბეულის შშის ჩახვეინებაზე, სოფლის საერთო გასატრისა და სხვა ამგვარისა, ფილმი აგარბდ კომედიურ შთაბეჭდილებას გვიქმნის, მითუმეტეს, აქ ამ ჟანრის ისეთი ტრადიციული სახეებია, როგორცა, ვთქვათ, მღვდელი ომრობინე (რამაზ ჩხიკავაძე), დიაკვანი, სოფლის ჭორიკანა დედაკაკელი, ლაზარდნარა ახალგაზრდები თუ სხვა. მაგრამ ეკრანზე ელითის (ოთარ მელენიუხუცეიძე) და ფუფალას (სოფიო ქიაურელი) გამორჩევა, მათ მიერ თან მოტრანილი სვედა კვლავ დაგვეცხვებს, რომ აქ ყველაფერი მშფიდად არ შეიძლება და-მთავრდეს, მითუმეტეს, როცა სოფლის ადაოს, წესს, ყოფას ისეთი კიუტა, უტეხი ნების კაცე დარავის, როგორცა ციციკორე (კოტე დაუშვილი).

მარტაც (ლიკა ქავარაძე) გამორჩენის შემდეგ უკვე აგვარა, რომ ეს დღეებრივი სილამაზისა და სულის ქალიშვილი უნდა გახდეს ღვინათვითი ნიღბის მიხედვით. მიუხედავად ჩვენი ამ წინათგრძნობისა და შეშხადებისა, რასაც კიდევ უფრო ამამაფრებს კოკისპირული წვიმის თუ წარღვნის შორსარეკადრებში მარტაცისა და დედიას გამორჩევა, ან კიდევ ორანგის ისტერიული ყვირილი, მაინც მოულოდნელა და თავზარდამცემი ფილმის ფინალი.

„ნატვრის ხეში“ ყველა და ყველაფერი დიდებულა, ჭეშუმარტი ხელგონების, მართლაც მშვენიერების სიმადლზევა. ლომერ ახვლედიანმა კიდევ ერთხელ და უფრო ღრმად განგვიმტკიცა იმის რწმენა, რომ ერთ-ერთი უნიჭიერესი ოპერა-



ტორია. რ. მირზაშვილმა აქვე დაგვიდასტურა, რომ შესანიშნავად ესმის თენგიზ აბულაძის რეჟისორული ჩანაწერი და მხატვრის ხელოვნება საოცრად ესმარება კინემატოგრაფიულ სახეობა სისტემის შექმნას, ფილმის საერთო მიზანდასახულებას. და კიდევ, ამ ფილმშიც თენგიზ აბულაძემ არა მარტო მუყარა თავი შესანიშნავ მსახიობებს, არამედ კიდევ შთააგონა მათ თითოეული მხარე არსი და მნიშვნელობა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, უკლებლევ ყველა გმირმა თუ პერსონაჟმა ვერანაშუ საოცრად დრომ და მეტყველო გამოხატულმა ჰპოვა. და თუ ზოგიერთ მსახიობს მაინც გამოვარყვე, ეს იმიტომ, რომ მათ გმირებს განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭებათ ფილმში.

სიფთო კითხვების ფუფალა ტრაგიკომიკური სახეა და ეს განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნობ მსახიობს, რაც დიდი ხელოვნებით დასძლია მან. ფუფალს გარეგნული იერი, ქვეყა თუ მეტყველება კი თითქოს მხოლოდ ღიმლის მომგვრელია, მაგრამ მისი მარტოსულობა, მიუხაფრება, სულიერი უზინაწირობა, შინაგანი სიკეთე და, რაც მთავარია, ლამაზი ედიღის წყურვილი ჩვენში დიდ თანგაზრობას და სევდას იწვევს.

ოთარ მეღვინეთუხუცესმა დადგარაწმუნა, რომ მისი აქტიორული შესაძლებლობა ჭეშმარიტად ამოუწურავია. მისი ელიოზი, ადამიანის კეთილდღეობისა და სილამაზის გულუბრყვილო, შეოცნებე მაძიებელი, თავისი უნაწარმოთა და კეთილშობილებით, შინაგანი რწმუნითა და სინათლით კიდევ ერთი ტრაგიკომიკური პიროვნებაა ფილმში.

ფუფალაცა და ელიოზიც მსხვერპლი არიან იმ ერთი შეხედვით ლდი და მხარარული, მაგრამ სინამდვილეში მკაცრი და დამაყვებელი ცხოვრებისა, რომელსაც ფილმში ვხედავთ და რომლის დარაჯადაც დამდგარა ციცოკორე, ეს ჯიუტი და ბოროტი მიხეობ, ვის სახესაც დიდი ისტატობით ანსახეირებს კოტე დაუშვილი.

ფუფალა, ელიოზი, იორამი თუ სხვები გვაშაადებენ იმ ტრაგედისათვის, რომელიც ჩვენს თვალწინ უნდა დატრიალდეს და რომელსაც უნდა ემხარებოდეს მარტისა და გედისა (სოსო ჯაჭვლიანი), ამ ორი მშვენიერი ახალგაზრდის წრფელი სიყვარულიცა და სიცოცხლეც. ფილმის ფინალი თუმცა სიტყვასტყვით მისდევს გიორგი ლეონიძის ტექსტს, მაგრამ ისეა აქ გამაფრებელი ვნებები, გამოშვლებული ხასიათები და იმდენად ძლიერი ტრაგიკოსის შეგრძობობა, რომ ასე გვერნებათ, თითქოს ყველაფერ ამას პირველწყაროსთან პირობითი კავშირი აქვს.

თვალაფასისმგელად სახედარზე უკვლამა შესული მარტია და მისი თანხლები სოფელეები ციცოკორეს მეთაურობით, ვითომდა სინდისის და პატრიონების ქომოგენი, ორ დაპირისპირებულ მალას — სილამაზსა და სიმინაძეს, სიკეთესა და ბოროტებას რომ განასახიერებენ, დიდხანს, ძალიან დიდხანს მიღიან ჩვენს თვალწინ ვერანაშუ და ამ ისედაც შემზარავ სურათს კიდევ უფრო ამწურხრებს ჩამოქეხებული, ჩაყამული გარემოს ფონი და ატალახებელი შარავნა.

ქავეარაძის მარტია ფილმში მართლაც სიმბოლურ სახედ იქცა ამქვეყნიური სილამაზისა, სიკეთისა, სუფთა და პოეტური ბუნებისა. ფინალშიც მისი უბედურებისაგან გარინდული, მაგრამ ამაყი სახე მარტისა სულიერ გაუტყვობობაზე მიგანისშნებს. ასევე ჯიუტად ერთგულია თავისი ბოროტი საწყისისა ციცოკორეც, მისი სასტიკი და უღმობელი გამოიმეტ-

ყველება საკუთარი სიმართლის რწმენის და შეუვალლობის გამოხატავს.

ფილმის ამგვარი შემადრწუნებელი ფინალი კიდევ უფრო მამაფრად გვაგრძნობინებს და განგავადებინებს რეჟისორის სათქმელს, კიდევ უფრო აქტიურად განგავწყობს ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან ჩვენს თვალწინ იღუპება სილამაზე და სიკეთე, შეუდრეკელი ბოროტება კი ყავარჯანზე ძლიერად დაყრდნობილი გორნოზად დასრულებია ლაფში დაგდებულ მშვენიერებას. ამ კადრსაც აქვს თავისი დრამატი სიმბოლური ელენაობა.

ერთი კია, დამარცხებული სიკეთე და სილამაზე თუმცა ატალახებულ შარავნე გედია, მის მშვენიერებას მაინც არაფერი აკლდება და ძირს განრთხმული მსხვერპლი თითქოს ზემოდან დასყურებს ჯალათებს. განუმოგრებელია ეს კადრი, და კიდევ სესილია თაყაიშვილის მარადიანი უხმო ეპიზოდი, სადაც სასოწარკვეთილი მოხუცი ქალი, თავზარისაგან მუხლმოკვეთილი და ტალახში ჩამდარი უწყოდ შეპყურებს ამ უბედურებას, თითქოს რაღაცის თქმა უნდა და ხმა წართმევიანა. ან რა საჭიროა აქ რაიმეს თქმა, თავად დატრიალებული ტრაგედია და სესილია თაყაიშვილის მიერ, მე ვიტყვი, გენიალური სიმბოლური გათამამებელი ეს ეპიზოდი უხმოდაც ლაღად.

გული სიამაყით გვეცება კაცს, როცა ქართული მწერლობის და ქართული კინოხელოვნების ისეთ ერთობლივ ზეიმს შეპყურებ, როგორიც „ნატერის ხეა“.

მწერლობისა და კინემატოგრაფის შემოქმედებით თანამშრომლობას წინ მხოლოდ სასიკეთო პერსპექტივები აქვს. ამიხი დამადასტურებელია დიდი ტრადიციებიც და სულ ახალი ფილმიც თენგიზ აბულაძისა „ნატერის ხე“, გიგა ლორთქიფანიძის და გიზო გაბეჟკიასის „დათა თუთაშვილი“ ჭაბუა ამირჯიბის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით, რომლის შვიდი სერიიდან ოთხი უკვე მზად არის და ახლავე, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს კიდევ ერთ სისარულს მოგვიტანს, აგრეთვე ელდარ შენგელიას „სამანიშვილის დეინაცვალი“, რომელსაც სულ მალე ვიხილავთ დამთავრებულს და, ეჭვიც არ არის, ქართული კინოს შენაძენი იქნება, ამისი საწინადარის შემოქმედებითი ატმოსფერო და ქართული მწერლობისადმი დიდი გულისყური, რაც კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ თვალნათლივია.

გასაკუთრებელი კი ბევრია, რადგან ეკრანიზაციის თვალსაზრისით ქართული კლასიკიდან, შეიძლება ითქვას, ჯერ მხოლოდ ვაკას, ყაზბეგს, დავით კლდიაშვილს გაუიბა ბედმა. კლასიკისათვის ერთად მოეცა საუკუნის ქართული მწერლობაც კინოსათვის მდიდარი, ბევრწილად ხელშეუხებელი საგანმუხრია. ეროვნული კინოხელოვნების მაღალი დონეც და გადასაღები ფილმების ოდენობის თანდათანობით საკრძოში ზრდაც იმის იმედ იძლევა, რომ თანამშრომლობა ქართული კინოსა და მწერლობას შორის ახალ გამარჯვებებს მოგვიტანს.

ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა

საზოგადოების ისტორიიდან

გიორგი თაქთაქიშვილი

ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოებას მიზნად ჰქონდა დასახული ხალხური სიმღერების შეგროვება, მაგრამ ამ მიზნის განსახორციელებლად სახსრები არ გაგვანდნა. საჭირო თანხის შესაგროვებლად, სხვათა რჩევით, დავაარსეთ კინოთეატრი „აისი“.

ყოველივე ეს 1924 წლის დეკემბერსა და 1925 წლის პირველ თვეებში მოხდა, ჯერ კიდევ მუნჯი კინოს პერიოდში. იმ დროისთვის ჩამოყალიბებული გვექონდა მცირე სიმფონიური ორკესტრი და გადავწყვიტეთ კინოსაფანსებში სიახლის შემოტანა — ფილმების თანსვლა კარგად შერჩეული მუსიკით, რომელსაც ორკესტრი შესარულებდა. იმ დროის საუკეთესო და ყველაზე დიდ კინოთეატრებში „აპოლოსა“ („ოქტომბერი“) და „აპოლასში“ („ამირანი“) უკრავდნენ ანსამბლები ხუთი-ექვსი კაცის შემადგენლობით. ფილმისათვის მუსიკის შერჩევა არტუდ იოლი იყო. გამიფრთხილებდა მუსიკოსთა ჯგუფი, რომელიც მონადირეობით შეუდგა ამ საქმეს. გავიდა დრო და მასურებლები გამოვიკეტე, რომ ჩვენს კინოთეატრში უფრო მუსიკის მოსასმენად მოდიოდნენ, ვიდრე ფილმის სანახავად. ბატონ ივანე ფალიაშვილს არ ვაწუხებდით. ორკესტრს დირიჟორობდნენ ფ. ულუფთური, შ. თაქთაქიშვილი. პირველად სწორედ ჩვენს კინოთეატრში გამოცადეს თავი შემდეგში ცნობილმა დირიჟორებმა — ე. მიქელაძემ, ს. ჩარქველმა, შ. ახ-

მაფარაშვილმა. ჩვენი მთავარი მექანიკოსი კომპოზიტორი გრ. კილაძე გახლდათ.

კინოსაფანსებს კონსერვატორიის დარბაზში ემართავდით, ვუჩვენებდით პოპულარულ ფილმებს „მარაგდა ნაბურენს“, „ქაიხხალს“, „ნავთობის კარიერას“, „ორულს“ და სხვ.

იმ დროისათვის კოტე მარჯანიშვილმა დაასრულა ფილმი „ქარიშხლის წინ“ და შემოგვთავაზა კიდევ საჩვენებლად. გულახდილად რომ მოგახსენოთ, ფილმი არ მოგვეწონა, მაგრამ ამ საქმეს მაინც მოვიკიდეთ ხელი. ორკესტრის წევრებმა გულდასმით შეარჩიეს მუსიკა, უპირატესად ქართული, გააორკესტრეს მთელი რიგი სიმღერები („არსენა ჯორჯიაშვილი“, „გარშაიანკა“), ჩაატარეს რეპეტიციები და ფილმი გარანზე გაუშვეს.

პირველ დღეს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ასე რომ, მილიციის გამოძახებაც კი დაგვეორდა წესრიგის დასაცავად; მეორე დღეს მასურებელმა მხოლოდ ნახევარი დარბაზი შეავსო, მესამე დღეს კი სა-მიოღო კაცი გვესწრებოდა. მასურებულმა ფილმი არ მიიღო ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა: ზოგს მიაჩნია, რომ თუმცა ფილმმა წარმატება ვერ მოიპოვა, მასში მაინც არის მღერის რამ ახალი და საინტერესო. მაგრამ საქმე მხოლოდ მარჯანიშვილის ფილმის წარმატება-წარუმატებლობაში როდია. მოხდა ისე, რომ

ამის შემდეგ ჩვენს კინოთეატრში ვუჩვენეთ კიდევ რამდენიმე სუსტი სურათი, რის გამოც მასურებლის ნდობა დაკვარგეთ. მანაც უკლე სიარულს და საბოლოოდ ჩვენმა წამოწყებამ მარცხი განიცადა.

თუმცა წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით ამ „კინოეპოპეამ“ უდავო სარგებლობა მოგვიტანა. ჯერ ერთი, გაცეანათ უზარმაზარ რეპერტუარს ბახითა და ვივალდით დაწყებული ოფენბახითა და ვალდტიგელით დამთავრებული (თითოეული კინოსურათი ხომ თექვსმეტამდე მუსიკალური ნაწარმოების მომზადებას მოითხოვდა), მეორე მხრივ, ვისწავლეთ ჩინებული კითხვა ფურცლიდან. ყოველივე ძალიან დაგვეზარა ჩვენს შემდგომ შემოქმედებით საქმიანობაში. ისიც არ უნდა დავვიწყოთ, რომ, როგორც მოგახსენეთ, სამმა სახელოვანმა დირიჟორმა თავისი ძალა პირველად სწორედ კინოთეატრ „აისიში“ სცადა.

ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმფონიური ორკესტრი აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიდ, სამეურნეო მნიშვნელობის მოვლენებთან დაკავშირებულ კონცერტებში. მხედველობაში მაქვს კონცერტები ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, ზაპსის, ანტურისტის ტიპის სასტუმროს გახსნაზე, აგრეთვე საქველმოქმედო კონცერტები გეოგრაფიული საზოგადოების,

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვათა სასარგებლოდ.

ყველაზე დიდი მოვლენა, რომელზედაც აუცილებელი იყო გამომხრუნება, გახლდათ „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა და მასალების ამიერკავკასიის გამოფენა“, რომელიც 1926 წელს ჩატარდა თბილისში. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები, აგრეთვე ევროპის მთელი რიგი ქვეყნები.

ეს გახლდათ ამ სახის პირველი გამოფენა. გამართა იქა თბილისის ტერიტორიაზე, ყოფილ დიდუბის იპოდრომზე. აქვე 1926 წლის 15 მაისიდან 1 ივლისამდე ტარდებოდა „საზოგადოების“ სიმფონიური ორკესტრის კონცერტები. ხელმძღვანელი ორგანოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გამოფენას, რომელიც ერთლაც რომ საჭირო და საყურადღებო მოვლენა იყო და საყოველთაო ინტერესს იმსახურებდა.

კონცერტები ტარდებოდა თითქმის ყოველდღე სამ დიდ განყოფილებად. ორკესტრს დირიჟორობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ივანე ფალიაშვილი. საკონცერტო პროგრამა შედგენილი იყო იმის გათვალისწინებით, რომ გამოფენას ესწრებოდნენ წარმომადგენლები სამეცნიერო კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან და საზღვარგარეთის ქვეყნიდანაც. პროგრამაში იყო ევროპული და რუსული კლასიკა, თანამედროვე მუსიკა, ამიერკავკასიის კომპოზიტორთა და საერთოდ, პოპულარული ნაწარმოებები. კონცერტებზე შევასრულეთ იპოდრომ-ივანოვის „კავკასიური ესკიზები“, სპენდაროვის „ყირიმის ესკიზები“, ზ. ფალიაშვილის „ლუკური“ და „მირზაია“ ოპერებიდან „აბესალომ და ეფრეი“, „დაისის“ უვერტურა, გლაზუნოვის „დიდი საკონცერტო ელსია“, ჩაიკოვსკის სიუიტა „გოდის ტბა“ და „იტალიური კაპრიჩიო“, გრიის სიუიტა „პერ-გიუტნი“, სენსანის სიმფონიური სურათი „ფაეტონი“, სვედსენის „პარიზის კარნავალი“, გუნს ფანტაზია „ფაუსტი“, მანსეს „ნეპოლიტანური ცეკვები“, ვაგნერის „ტანჰაიზერის“ უვერტურა, პონციკლის „საათის ცეკვა“ ოპერებიდან „ჯოონდა“, შეიგერტის „საზეიმო მარში“, არენის უვერ-

ტურა, ლისტის რუსული № 2, ბალაირევის „უვერტურა რუსულ თემებზე“, დრიგოს „სერენადა“, გოლდმარკის „საქორწილო სვლა“, ოპერინი „ნაბის ელდოვალი“, ლი-ადოვის პოლონეზი, რისინის, რიმსკი-კორსაკოვის, შუბერტის და სხვა-ნა ნაწარმოებები. სრულდებოდა ახალგაზრდა ქართველ ავტორთა ნაწარმოებებიც, მათ შორის გრ. კლავის „ქართული სიუიტა“ სამ ნაწილად. (თუ შესიერება არ მიაღწივს, ეს შესანიშნავი ნაწარმოები სწორედ ჩვენი გამოსვლების პერიოდში დაიწერა). სრულდებოდა აგრეთვე შ. თაქთაქიშვილის „სვედა“,



ბეთოვენის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტის აფიშა.

ვ. გოციელის „ფოთოლცეკვა“ — შესანიშნავი ლირიკული მინიატურა, თუნდა ჩაიკოვსკის დიდი გავლენით აღბეჭდილი. რატომღაც რამდენიმე წლის შემდეგ ავტორმა უარი თქვა ამ ნაწარმოებზე და გაანადგურა იგი. აუდიტორია გვისმინდა ყურადღებით, სერიოზულად, კმაყოფილება-საც გამოთქვამდნენ და დასწრებიც არ იყო ურუგო, მაგრამ ჩვენთვის სასურველ წარმატებას, სიმართლე რომ ვთქვათ, ვერ მივაღწიეთ... ეს გასაგებობაა, თუ გაითვალისწინებთ აუდიტორიის ნაირგვარონებას, რომელიც უფრო გამოფენით იყო დაინტერესებული. თითქმის მაღალი იყო ორკესტრის საშემსრულებლო დონე... ასეა თუ ისე, კეთილსინდისიერად ვასრულებდით ჩვენს მისიას და საგამოფენო კომიტეტის მაღლო-

ბაც დაემისახურეთ. საერთოდ, წარმატების ასხნა უფრო ადვილი, ვიდრე წარუმატებლობისა.

სიმფონიური ორკესტრის გამოსვლა გამოვლენაზე, თითქმის თვენახევრის განმავლობაში, ახალგაზრდა მუსიკოსებისათვის სერიოზული გამოცდა იყო. გაავარაუდეთ რეპერტუარი, შევიძინეთ გამოცდილება და ნაირგვაროვანი აუდიტორიის წინაშე გამოსვლით (რაც შეადგენდა ერთ-ერთ ჩვენს ამოცანას) მნიშვნელოვნად გავზარდეთ ჩვენი გამოსვლების რაღიუტი. ამიტომაც შედეგების შეჯამებისას დადებითად შევაფასეთ ჩვენი მოღვაწეობის ეს პერიოდი.

შეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი კოლექტივის ისტორიაში გახლდათ კონცერტი ზემო ავჭალას ზინდოულექტროსადგურის გახსნასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ ზაქაძე იყო არა მარტო ქართული, არამედ საკავშირო ელექტროფიკაციის ერთ-ერთი პირველი მძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მოვლენას. გახსნის დღეს (1927 წლის ზაფხული) დიდძალმა ხალხმა მოესწრა თავი. მიტინგზე მისასაღმებელი სიტყვით გამოვიდა ამ დღისათვის სავანებოლო ჩამოსული მიხეილ ივანეს ძე კალინინი, რომელმაც მიულოცა საქართველოს ეს დიდი მიღწევა. სიტყვებით გამოვიდნენ ფილიპე მასარაძე და სხვა ამხანაგები.

ამ დიდ მოვლენას მელოტონ ბალანჩივაძემ უძღვნა კანტატა „დიდება ზაქაძეს“. კომპოზიტორმა გახსნამდე რამდენიმე ხნით ადრე განასრულა ეს ნაწარმოები და მისი შესრულება ჩვენ დავგვევალა. ვადა ძალზე მოკლე იყო, მაგრამ ივანე ფალიაშვილმა ჩვენთან ერთად თითავა კანტატის მომზადება.

ორკესტრი მთელი დატვირთვით ატარებდა რეპერტიციებს. თავდადებული შრომის წყალობით მართლაც ჩავეციეთ განსაზღვრულ დროში და საკმაოდ კარგად გავართვით თავი ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანას. ყოველ შემთხვევაში, ავტორმა კმაყოფილება გამოთქვა.

კანტატა ელექტროსადგურის გახსნის დღეს შევასრულეთ. ეს კონცერტი ჩავატარეთ ურვეულო ვითარებაში — გამოვდიოდით პაერზე, ღია



ცის ქვეშ, დიდძალი, აღუღებელი ხალხის წინაშე და ამასთანავე, ვასრულებდით ჩვენთვის სრულიად ახალი ჟანრის ნაწარმოებს — კანტატას. უნდა ითქვას, რომ მესრულელებელთა მიერ სათანადოდ იქნა გახსნილი ნაწარმოების შინაარსი და სავანტებოდ ხაზგასმული სახეობი ხასიათი, რაც შესანიშნავად ესადაგებოდა იმ საერთო განწყობილებას, იმ დღეს რომ სუფევდა. ორკესტრი უკრავდა საოცარი გატაცებით, აუბაზღვრებით. ივანე ფალიაშვილი, როგორც ყოველთვის, სათანადო სიმძლავრე დიდა და კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი მაღალი ისტატუსი.

დამსწერ საზოგადოებამ კმაყოფილება გამოხატა, ავტორი ვერ მალავდა სინარულს და საჯაროდ მადლობა გამოუცხადა ორკესტრსაც და დირიჟორსაც.

ამგვარად, ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმფონიურმა ორკესტრმა თავის აქტივში ჩაწერა მისთვის (და საერთოდ ქართული მუსიკისთვის) ახალი ჟანრის — კანტატის შესრულება.

არასასიამოვნო იყო ჩვენთვის სახალწლო გაბოჰსვლა (1927 წ.) სასტუმრო „ინტურისტის“ გახსნასთან დაკავშირებული კონცერტზე.

იშვიათად გამოვიდოდი ასეთი მოუდნებლობით. ძალზე დიდი იყო სხვათა სერიოზულ პროგრამასა (შუბერტი, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი და სხვ.) და დამსწრეთა განწყობილებას შორის. ვერ გვიშველავრც წარწერამ პროგრამაზე: „ნაწარმოების შესრულების დროს გთხოვთ დაიცვათ სიჩუმე“. ეს მით უფრო სამწუხარო იყო, რომ კონცერტში მონაწილეობდნენ სახელოვანი მომღერლები: ოლბა ჭელბურტი, ნიკო ქუჩიაშვილი, გრიგოლ ვეჩიძე და სხვ. თუმცა, აუდიტორიის ასეთი განწყობილება გასაგებიცაა: ყველა მოუთმენლად ელოდა ახალი წლის დანდგომას, ჩვენ კი მიერბერის „წინასწარმეტყველის“ და პუჩინის „ტოსკას“ მოსმენა ვაძიულე!

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ორკესტრის გამოსვლებზე საქველმოქმედო მიზნით, როგორც მაშინ ამბობდნენ „სახსრების გასადიდებლად“. ვმართავდით კონცერტებს „ღარიბთა ებრაული კომპლექსის“, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების,

გეოგრაფიული საზოგადოების სასარგებლოდ. ამ კონცერტებისათვის პროგრამის შედგენისას ვცდილობდი აუდიტორიის კონტრანგენტის, მისი ღირის გათვალისწინებას. ზოგჯერ ეს გამოვდიოდა, ზოგჯერ არა — ამაზე იყო დამოკიდებული კონცერტის წარმატების ხასიათიც. სადირიჟორი პულტთან უშუქესწილად ივანე ფალიაშვილი იდგა. დროდადრო მას ფ. ელგფუერი, შ. თაქთაქიშვილი, გრ. კილაძე, ჩ. ჩარჭიავივი ეხლდნენ.

ახლოვდებოდა ღირსშესანიშნავი თარიღი — ბეთოპოვენის გარდაცვალების ასი წლისთავი. მთელი ცივილიზებული სამყარო აღნიშნავდა ამ თარიღს, მათ შორის საბჭოთა კავშირიც. საყოველთაო ზეიმიში ჩაება ჩვენი რესპუბლიკაც.

ბეთოპოვენის დღეების საორგანიზაციო კომისიამ განათლების სახალხო კომისიის და კანდელაკის თავმჯდომარეობით შეადგინა საზეიმო საღამომების ჩატარების გეგმა 1927 წლის 26 მარტიდან 4 აპრილამდე. ამ დღეებში შესრულდა მეცხრე სიმფონია, მესამე „გმირული“ სიმფონია, უფერტიუნა № 3 „ლონორა“, საფორტეპიანო კონცერტი № 5 სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, საყოლიონო კონცერტი რე-მაჟორი, მეცხრე, მეათე და მეოთხემეტე სიმფონიანი კვარტეტები, რამდენიმე საფორტეპიანო ტრიო, მთელი რიგი საყოლიონო სონატები, ვოკალური ნაწარმოებები. ჩატარდა ლექცია-მოსხენებები. ძირითადი მოხსენება გააკეთა ცნობილმა მელოკვარმა ვევენი ბრანდერმა, საკვარტეტო ნაწარმოებები შესაწავლა სტრადივარიუსის სახელობის კვარტეტმა.

არ მოგაწყენთ ყველა იმ ღონისძიებაზე საუბრით, რომელიც ფართოდ ჩატარდა რესპუბლიკის მასშტაბით. შეგჩრდები მხოლოდ მეცხრე სიმფონიაზე, რომელიც შესრულდა დასკვნის საღამოზე 4 აპრილს საოპერო თეატრში. (ამ საღამოს ორგანიზაციას დიდი ძალ-ღონე მოახმარა კონსერვატორიის ყოფილმა პრორექტორმა ლარისა ქეთათელაძემ).

როდესაც მეცხრე სიმფონიის შესწავლას შევედგებით და ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით ჩავა-

ტარეთ პირველი ჯგუფური მცდრება-ნიშები, ყოველ ჩვენგანს შეგებულ კომონდა სიდიადე ამ ქმნილებისა, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებით აღმატება ბეთოპოვენისავე რვა წინამორბედ სიმფონიას და ამ ჟანრის ყველა ნაწარმოებს, რომელიც ოდესმე დაწერილა კომპოზიტორების მიერ. მაგრამ, როდესაც ერთმანეთს მივკვა ორკესტრის სრული შემადგენლობის რეპეტიციები გუნდთან და სოლისტებთან ერთად, რსულყოფილად მხოლოდ მაშინ შევიგრძენით ამ ქმნილების მთელი გრანდიოზულობა, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრნდა.

მეცხრე სიმფონიის მომზადება მღელვარე შემოქმედებით ატვისფეროში მიმდინარეობდა, ორკესტრის მუშაობდა ძალების მიეღი დაძაბვით. ნაწარმოები ერთბაშად არ თავსდებოდა ჩვენს ცნობიერებაში, ერთბაშად ვერ პოვდა საჭირო ელემენტებს, სინქრონულობა, დინამიკა. ბევრს შრომა დაგვიტარდა საჭირო შტრიხების მისაგნებად.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შილერის „ოდა სინარულს“ სრულებდებოდა ქართულ ენაზე, რაც ასევე უდიდესი კულტურული მნიშვნელობის ფაქტი გახლდათ (შილერის ამ ქმნილების თარგმანი გერმანულადან საზეიმო დღეებისათვის გააკეთა „საზოგადოების“ წევრმა ნიკოლოზ (ქუჯი) ძიძიშვილმა).

დასკვნითი კონცერტის ესტრადიდან ატლრდა აგრეთვე უფერტიუნა № 3 „ლონორა“ და საფორტეპიანო კონცერტი № 5 შესანიშნავი პიანისტი — ანასტასია ვირსალაძის შესრულებით. მასთან ჩვენმა საზოგადოებამ მრავალი წლით დაამყარა შემოქმედებითი კონტაქტი.

საქართველოში მეცხრე სიმფონიის შესრულება და საერთოდ, ბეთოპოვენის საიუბილეო კვირეულის ჩატარება იყო უდიდესი მოვლენა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. პრენის სისტემატურად აღუქვებდა ბეთოპოვენის დღეებს, რაც ამ დღებულ ზეიმს კიდევ უფრო მეტ პოპულარობას ანიჭებდა.

გთავაზობთ ამონაწერს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ (1927 წ. 6 აპრილი, № 1444) დაბეჭდილი რეცენზიიდან „ანთეს“ (იმ დროის ცნო-



ბილი რეცენზენტი ანანოვი) ხელმოწერით:

„მეცნეუ სიმფონია ბეთოვენისადაში მიდღენილი ზვიმის კულმინაციად იქცა. თბილისში მისი პირველი შესრულება თავისთავად საზეიმო მოვლენაა დედაქალაქის მუსიკალური ცხოვრების ისტორიაში. ივანე ფალიაშვილის კონსერვატორიის („საზოგადოების“) ორკესტრის, ოპერისა და კონსერვატორიის გაერთიანებული გუნდის მგზნებარე ენერჯითა და იდეისადაში ერთგულებით სულადგმულ შრომას უნდა ვვმადლოდეთ იმას, რომ ბეთოვენის მომდევნო საიუბილეო თარიღის ლოდიანი აღარ დაგვირდება ამ უდიდესი ქმნილების მოსასმენად... ყველაზე მკაცრმა მსაჯულმაც კი უნდა აღიაროს, რომ გრანდიოზული პარტიტურა შესრულდა უხარვეზოდ, რომ

მშფოთვარე პირველი ნაწილისა და ჭირვეული რიტმის მქონე სეკრცოს შესრულებისას ივ. ფალიაშვილი ჩინებულად გაუძღვა ორკესტრს და აიყოლია იგი, რომ სიხარულის თემის პირველმა გავლევებამ დიდებულ უნისონში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩელოებისა და კონტრაბაების ნატიფი მღერადობით, რომ გუნდი (120 ხმა) ეღერდა დამაჯერებლად და იშვიათი სისავსით, რომ ფინალში შემსრულებელთა მასამ მიაღწია ტემპარატად საორიანო ეღერადობასა და საოცარ აღმავრუნას. რა დიდ სირთულეებს უსახავს პარტიტურა ვოკალურ კვარტეტს (შემსრულებლები ჰელბერტი, მკაყაშვილი, ქუშიასვილი, ქარცივაძე)!.. იმ გრანდიოზულმა შთაბეჭდილებამ, ფინალის მოსმენამ რომ აღძვრა ჩვენში, უნებლიეთ გავგახსენა ა. ლუნაჩარსკის სიტყვები, რომ ბეთოვენის მუსიკა „თავისი უდიდესი გამაკეთილმობილებელი ძალით აგვაზადლებს“. სიმფონიის ტექსტი სრულდება ქართულად დამთავრების შემდეგ. ი. ფალიაშვილსა და ყველა შემსრულებელს მხურვალე უბვიკა გაუპართეს“.

სხვა ნაწარმოებების შესახებ „აინო“ წერდა: „კონცერტი იწყება ოპერა „ფიდელიოს“ უვერტურის („ლეონორა“ № 3) მკაფით და თანხმიერად შესრულებით. სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა ა. ვირსალაძემ შესასრულა მეხუთე საფორ-

ტპიანო კონცერტი... პროფ. ვირსალაძეს (ა. ესპიოვას სკოლა) შესრულების აკადემიურ ჩარჩოებში შემოაქავეს რომანტიკული ელფერის მქონე ემოციური გამომსახველობის ელემენტები. ესპიოვას სკოლამ იჩინა თავი პიანისტის შესანიშნავ საფორტეპიანო სტილში, მის მხატვრულ და ტექნიკურ სტატუსში“.

1927 წლის 6 აპრილის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ რეცენზენტი ს. ბეგი (მუსიკალური მოღვაწე სოსო ბეგიაშვილი) ახვედდა დიდიხად აფასებს დასვენით კონ-

პრების სხვა ორგანოებმაც: „რაბოთია პრავდა“, ეურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ და სხვ. აღნიშნავენ, რომ ამ დღეს ჩვენმა ახალგაზრდობამ საჯაროდ დაამტკიცა, რომ წარმოადგენს მძლავრ მუსიკალურ ძალას, რომელსაც არა მარტო ოპერების შესრულების უნარი შესწევს, არამედ ბეთოვენის უფისულები პარტიტურისაც. პრესა ერთსულოვანი იყო თავის შეფასებებში.

შამენელთა რეაქცია საგვებით შემსამბობდა კრიტიკის აზრს, ისინი უშუალოდ გამოთქვამდნენ თავიანთ



ბეთოვენის მე-9 სიმფონიის შესრულებული

ცერტს. იგი წერს: „დიდი ხანია თბილისის საზოგადოებას არ მიუღია იმდენი სიამოვნება, რამდენიც მან იგრანო მეცნეუ სიმფონიის მოსმენის დროს... რაც შეეხება მის შესრულებას, უნდა ითქვას, რომ სახალხო არტისტი ივ. ფალიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით გამადიდებულმა ხორბო, ორკესტრმა და სოლისტებმა გადააჭარბეს ყოველივე მოლოდინს. განსაკუთრებით ახალგაზრდობის ორკესტრმა გამოიჩინა იმდენი ოსტატობა, იმდენი ერთსულოვნება და არტისტიზმი, რომ ყოველივე ეჭვის გარეშე დასტოვებს მათი დიდი ღირსების მტკიცების საჭიროება“.

„ცნეზები ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახებ გამოაქვეყნეს

კმაყოფილებას არა მარტო იმიტომ, რომ ეღირსათ აქამდე მხოლოდ ლეგენდად არსებული სიმფონიის მოსმენა, არამედ ამ ნაწარმოების ჩინებულ შესრულების გამოც.

ასეთი იყო ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების მონაწილეობა ბეთოვენისადაში მიდღენილ ზვიმში — ეს იყო ამ საზოგადოების ისტორიის ერთ-ერთი ღირსსახსვარი ფურცელი. მხოლოდ სინანულია დამარჩენია იმის გამო, რომ მეცნეუ სიმფონიის შესრულება მხოლოდ ერთხელ მომიხდა. ძნელად თუ მოიტყნება მსოფლიო მუსიკალურ ლიტერატურაში მისი ტოლფასოვანი ნაწარმოები, ესოდენ ძვირფასი ჩვენი მსმენლისათვის.

ფიზიკის

საქართველოს

ლონდა მდივანი

ჩემნი საუკუნის ოცდაათიან წლებში მსოფლიომ აღიარა ახალი დარგი — „ინდასტრიალ დიზაინი“, რომელიც გულისხმობდა სამრეწველო წარმოების ნაკეთობათა პროექტირებას!

დიზაინის აუცილებლობა, მისი მნიშვნელობა და აქტიულობის ნათელი გახდება მხოლოდ მის შემდეგ, როცა ზოგადად მაინც იქნება განსაზღვრული იმ პრობლემათა რიგი, რომელსაც იგი გულისხმობს, გარკვეული იქნება დიზაინის რობა.

რა წარმოადგენს ამოსავალს დიზაინისათვის? რა არის ის ძირითადი და აუცილებელი, რაც გაამართლებს როგორც დიზაინის არსებობას, ასევე მის უფლებამოსილებას?

ნებისმიერი საკითხის კვლევა უნდა წარიმართოს საზოგადოების განვითარების კანონების გათვალისწინების საფუძველზე. მარქსი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ სინამდვილის როგორც მენეიერული, ისე მხატვრული ასახვის წარმომართება და განვითარების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოება. სწორედ წარმოების წესი უდევს საფუძველს საზოგადოების სულიერ ცხოვრებას, საზოგადოებრივი წარმოება უნდა იყოს ამოსავალი საზოგადოებრივ მოვლენათა ყოველი სახის გასაგებად და ასახვად.

დიზაინის წარმოშობა, მისი არსებობა და შემდგომი განვითარება განისაზღვრება საზოგადოებრივი ცხოვრებით. დიზაინი, საბოლოო ჯამში, განსაზღვრულია საზოგადოების ისტორიული განვითარებით. აი, რას ამბობს ამის შესახებ იტალიის მხატვარი კონსტრუქტორების ასოციაციის გენერალური მდივანი მარი-ანჟელა ასტი: „მხატვარ-კონსტრუქტორის მიერ შექმნილი ნაკეთობა... გამოხატავს საზოგადოე-

ბისა და ისტორიული ეპოქის სულს, რომელშიც შექმნილია.²

ლიზაინი საზოგადოებით, ადამიანთა პრაქტიკული და სულიერი მოთხოვნილებებით არის განსაზღვრული.

მარქსი, თავის თეზისებში ლუდვიგ ფეიერბახის შესახებ, როცა ახასიათებდა მარქსამდელი მატერიალიზმის ნაკლს, აღნიშნავდა, რომ მარქსამდელი მატერიალიზმი უარყოფდა სუბიექტის პრაქტიკულ, რეკოლუციურ როლს; რომ პრობლემა დგება არა სინამდვილის ახსნის, არამედ სინამდვილის გარდაქმნის შესახებ. ადამიანი პირველ რიგში არის პრაქტიკული არსება, მას აქვს უნარი გარდაქმნას სინამდვილე თავისი მოთხოვნილებებისა და ინტერესების შესაბამისად.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ გარკვეული დასკვნა, — ადამიანის დამოკიდებულება გარე სინამდვილესთან საერთოდ, და კერძოდ, დიზაინერისა, აქტიური მოქმედებაა, ძიებაა, შემოქმედებაა, რომელიც ემსახურება საზოგადოების მაღალ მოთხოვნებს.

მარქსი აღნიშნავდა, რომ ადამიანის მიერ სინამდვილის შექმნების პროცესში საგნები წარმოადგენს მის (ადამიანის) საგნებს. „საგნობრივ სამყაროში ადამიანი მკვიდრდება არა მხოლოდ აზროვნების მეშვეობით, არამედ თავისი გარემოების მეშვეობითაც“. ადამიანი მის მიერ შექმნილ საგნობრივ სინამდვილეში შეიცნობს თავის თავს. მის მიერ შექმნილ საგნებში შესანიშნავად ვლინდება ადამიანის საზოგადოებრივი ბუნება, ადამიანისა, რომელიც გარდაქმნის რა სამყაროს, „აადამიანურებს“ მას. სხვაგვარად, ადამიანის მიერ შექმნილ პროდუქტს აზრი და მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ადამიანისათვის. იგი არის სუბიექტივირებული პროდუქტი. მისი სუბიექტური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი აკმაყოფილებს ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებებს.

როცა დიზაინის შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს, პირველ რიგში, ადამიანის მიერ გარემოს პრაქტიკული და ესთეტიკური ათვისება. გარემომცველი გარემო, შრომის პროდუქტები, ნივთები და საგნები, რომლებიც სარგებლობენ ადამიანები, რაც შეიძლება უკეთ უნდა ემსახურებოდეს მათ.

ტექნიკის განვითარებამ, ნაკეთობათა სერიულმა წარმოებამ წარმოშვა ტექნიკის ე. წ. „გაადამიანურების“ აუცილებლობა.³

დიზაინის მთავარ მიზანს შეადგენს სწორედ საგნობრივი სინამდვილის კუმინიზაციის საკითხი, ე. ი., საგნობრივი სინამდვილის გარდაქმნა ადამიანთა ინტერესების შესაბამისად. დიზაინის ხედვის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, მთავარად ადამიანი თავისი საზოგადოებრივი ინდივიდუალური მოთხოვნილებებით, რომელიც ღრმა ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დიზაინის სოციალური არსისა და, საერთოდ, დიზაინის პრობლემათა სწორი გადაწყვეტა. დიზაინის მიზანს შეადგენს შექმნას ადამიანსა და საგნობრივ სინამდვილეს შორის მაქსიმალური კარმონია, შრომის, ყოფისა და დასვენების ოპტიმალური პირობები, შრომის ნაყოფიერების შესაძლებლობათა გაზრდა, მაღალი ესთეტიკური გემოვნების განვითარება. დიზაინის სფეროში შემოდის აგრეთვე ისეთი საკითხები, როგორცაა: დაზვადანადგარების კონსტრუქციული სრულყოფის, წარმოების პროდუქტთა ესთეტიკურობის, წარმოების ორგანიზაციის ეფექტურობის, ფერის, განათების, სივრცითი კომპოზიციის,



დეკორატიულობის, სტანდარტის, ასორტიმენტის, ხარისხის და სხვა საკითხები. დიზაინი მოწოდებულია სწორედ იმი-საბოის, რათა შექმნას შრომის ისეთი პირობები, რომელიც წარმოებას უზრუნველყოფს, შრომას შემოქმედების და საყოფიერის გახდის, ამაღლებს წარმოებისა და ყოფის კულტურას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი სოციალური ხასიათისა და მათი ხარისხი გადამტარებს ექსპერტები, პირველ რიგში, სოციალურ პროგრესს, ამიტომ, სოციალური პროგრესულობის თვალთახედვიდან უნდა იქნეს განხილული და შეფასებული დიზაინის დანიშნულება. იმისათვის, რომ დიზაინმა წარმატებით შეასრულოს თავისი ფუნქცია, აუცილებელია, პირველ რიგში, მოსახლეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინება საგანთა მიხმარების სფეროში. ამ მხრივ უნდა იქნეს შესწავლილი და გადაჭრილი შემდეგი პრობლემები: არსებულ მოთხოვნილებათა ადგილი და როლი საზოგადოებრივ წყობაში, მოთხოვნილებათა განვითარების კანონზომიერებანი და ტენდენციები, არსებულ მოთხოვნილებებზე საზოგადოებრივი პროცესების გავლენა და მათი განხორციელების საქმეში კონკრეტული საგნობრივი გარემოს როლი, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სფეროში ძირითადი მიმართულებების არსებობა, პირად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ურთიერთობა, მოთხოვნილებათა პერსპექტივების განსაზღვრა და სხვა.

დიზაინის არსის გაგების საკითხში უდავოდ ანგარიშსებასა-წყობა გერმანელი დიზაინერის ჰანს მიჰერის შესვლილება. ჰანს მიჰერი აღნიშნავდა, რომ „შენება და გაფორმება ერთია, ერთიც და მეორეც წარმოადგენენ სოციალურ ფაქტორებს... ჩვენ მთელ ძალღონეს მივმართავთ ხასიათს ცხოვრების დაკვირვებისაკენ, ხალხის სულის შესწავლასა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა შემქმნებისკენ“.

ასევე საინტერესოა, თუცხ თვისებური, სირაკუსის (აშშ) უნივერსიტეტის კონსტრუქციული მუშაობის პროფესორის არტურ პოლისის აზრი დიზაინერის შესახებ. პოლისი აღნიშნავს, რომ დიზაინერი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მისცეს საზოგადოებას ოპტიმალური საკეთიბა. მისი პროფესიული ეთიკა ავალებს შესწავლის საგნად გაიხადოს ადამიანი და რომ, ამ აზრით, თანამედროვე დიზაინერი წარმოადგენს ჰუმანიტარულ საწყისის წარმოებაში.

დიზაინის დანიშნულების, მისი მიზნის სახეობით სწორი გაგებას იძლევა თამარ მალფორმა. „დიზაინში იგულისხმება შემოქმედება, რომლის მიზანია წარმოების საგანთა ფორმალური თვისებების განსაზღვრა. ფორმის თვისებები მიიწერება არა მარტო გარეგან მხარეს, არამედ ძირითად ხასიათს სტრუქტურას და ფუნქციონალურ მიმართულებებს, რომლებიც გარდაქმნიან სისტემას მთლიანობაში, როგორც წარმოების, ისე მიმხმარების თვალსაზრისით. დიზაინი მისწრაფებს იქითაკენ, რათა მოიცავს ადამიანის გარემომცველი გარემოს ყველა ასპექტს“.

ამრიგად, დიზაინის უმთავრეს მიზანს შეადგენს საგანთა სწორი პროექტირება, რაც უზრუნველყოფს ოპტიმალური საგნობრივი გარემოს შექმნას ადამიანისათვის.

„ადამიანი — საგანი“ ქმნის გარკვეულ სისტემას, განსაზღვრული კავშირებითა და მიმართებებით.

ამ სისტემის ყოველი ელემენტი უნდა განვიხილოთ არა იზოლირებულად, სისტემის სხვა ელემენტებისაგან მოწყვეტილად, არამედ როგორც აუცილებელი შემადგენელი ელემენტი

რთული სისტემისა — „ადამიანი — საგანი“. ეს სისტემა ქმნის ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ადამიანი უნდა იქნეს გარკვეულ მატერიალურ გარემოს, ე. წ. გაადამიანურ გარემოში. სოციალური მოთხოვნა ამ საგნობრივი გარემოს მიმართ ნიშნავს მის შესატყვისობას საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან.

დიზაინისათვის არსებითი და სპეციფიკურია ადამიანთა მოთხოვნილებებთან დიზაინერულ ნაკეთობათა მიმართება, უფრო სწორად, მათი შესაბამისობა საზოგადოების მოთხოვნილებებთან და მათი (მოთხოვნილებების) მაქსიმალური დაკმაყოფილება.

დიზაინში უნდა ვიგულისხმობთ არა მარტო დიზაინერული პროექტირება, არამედ გარკვეული სპეციალური საზოგადოებრივი მექანიზმი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მოსახლეობის განსაზღვრულ ჯგუფებს, რომლებიც საჭიროებენ დიზაინერულ ნაკეთობებს, ნაკეთობებს, როგორც აუცილებელ საშუალებებს თავიანთი სოციალური ურთიერთობისათვის. ამდენად, დიზაინი შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალური ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა. ჩვენ სასურველი ვეთანხმებით ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანონდაცხვ. კონტორს, რომელიც აღნიშნავს, რომ დიზაინი წარმოადგენს სოციალურ მოვლენებს მექანიზმს საზოგადოებრივ სისტემაში, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფებს.

აუცილებელია აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, სახელობრივ ის, რომ დიზაინერი კარგად უნდა იცნობდეს არა მარტო იმ საზოგადოებას, რომელშიც მოქმედებს და არსებობს დიზაინი, მან უნდა იცოდეს თუ მიმხმარებელთა რაიმე ჯგუფზე, როგორ მიმხმარებულეს მისი გამიზნული მის მიერ შექმნილი ნაკეთობა, როგორ იქნება ამ ნაკეთობის გავლენა და მოქმედება მომავალში, როგორია ნაკეთობათა განვითარების ტენდენციები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაკეთობათა გარკვეული სახეობის განუსაზღვრელი რაოდენობით გამოშვება საბოლოო ჯამში იწვევს ამ ნაკეთობისადმი გულგრილობას და იგი უკვე ვეღარ იძლევა სასურველ შედეგს. დიზაინის მიზანია დააკმაყოფილოს ახალი მოთხოვნილებანი საგნებზე. დიზაინი, თუ შეიძლება ითქვას, იღებს შეკვეთას; ნაკეთობა, რომელიც შექმნილია დიზაინერული პროექტით, ხასიათდება ნაკეთობის მიზანგადა და გარეგანი ელემენტების ორგანიზაციითა და მთლიანობით.

დიზაინერთა ბიუროში შედიან ინჟინრები, მხატვრები, ენგინიერისტიები, სოციალუგები, კონომისტები, ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ესთეტიკოსები და სხვ. ბიუროში მიდის ინფორმაციები სხვადასხვა სფეროდან... ინფორმაციის ღრმა შესწავლის, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე იქმნება დიზაინერული პროდუქტი, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნილებანი, გააზრდოს და დახვეწოს ესთეტიკური გემოვნება. გარკვეული აზრით, დიზაინი არა მარტო პასუხობს და აკმაყოფილებს, არამედ წინ უსწრებს კიდევ მასობრივ დონეს და ქმნის პროდუქტს მისი (პროდუქტი, საგნები) და მოთხოვნილებათა განვითარების ტენდენციის გათვალისწინებით.

დიზაინერული კონსტრუირების მეტად პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სწორედ ფუნქციისა და ფორმის საკითხი, და შემთხვევითი არ გახალბოთ ის ფაქტი, რომ აზრთა



სხვადასხვაობა და კამათი ძირითადად ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებს. ეს არის ფუნქციისა და ფორმის მიმართების, მათი კავშირის საკითხი. როგორ უნდა გავივით ეს კავშირი? რა უნდა წარმოადგინოს აქ მთავარი მოთხოვნა?

მთავარი აქ ის არის, რომ პროლეტკიის (სულ ერთია, იქნება ის რომელიმე დაზგა-დანადგარი თუ საოჯახო ნივთი) ფუნქციონალური დანიშნულება ნათლად შეესატყვისებოდა პროლეტკიის ფორმას. მაგრამ ეს მოთხოვნა, უფრო სწორად, ეს განცხადება, რომელსაც ხშირად შეგვგვდებიან სპეციალურ ლიტერატურაში, ჯერ კიდევ არაფერს ამბობს თვით ნაკეთობის ფუნქციისა თუ ფორმის შესახებ.

რა იგულისხმება ფუნქციამ? უფრო სწორად, როგორ წარმოვიდგინო ფუნქციის ცნება მხატვრულ კონსტრუირებაში?

საკითხის ასეთ ასპექტში დაყენება, ვფიქრობთ, ლოგიკურია, რამდენადაც ამ საკითხის შარტებული გადაწყვეტა საშუალებას გვაძლევს ჯერ ერთი, განვეყვეთ თუ რა როლი იტვირთავს ფუნქციას მხატვრულ კონსტრუირებაში საერთოდ, მეორე, — სწორად ავხსნათ ფორმის საკითხი დინამიურ კონსტრუირებაში და, შესაძლოა, მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ ნათლად წარმოვიდგინოთ ფუნქციისა და ფორმის შესატყვისობის საკითხი.

ფუნქციის ცნებაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ნაკეთობის დანიშნულება, მისი პრაქტიკული მოთხოვნის აუცილებლობა საერთოდ. როდესაც ვსაუბრობთ ნაკეთობის ფუნქციის შესახებ, პირველ რიგში, უნდა გვეხსიოდეს ნაკეთობის საზოგადოებრივი დანიშნულება, მისი საზოგადოებრივი სატვირთობა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სწორად განისაზღვროს მისი ასორტიმენტა, საზოგადოების რომელი ჯგუფისათვის არის იგი გაკეთებული და რაც მთავარია, რა ფუნქცია უნდა შესასრულოს ნაკეთობამ საერთოდ.

ნაკეთობის ფუნქცია, ანუ დანიშნულება წარმოვიდგინო როგორც მთელ რიგ მოთხოვნათა გარკვეული კომპლექსი. იგი გულისხმობს კომპონენტთა მთელ რიგს; იქნება ეს წმინდა ტექნიკური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური, ესთეტიკური თუ სხვა. მხატვარმა-კონსტრუქტორმა უპირველეს ყოვლისა, უნდა გააანალიზოს ყველა ეს კომპონენტი, მიძინოს მთავარი და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინოს მათი ერთგვარი სინთეზი, გაერთიანონება. სწორედ ეს გაკეთ-მთლიანობა, ფუნქციის ელემენტთა გარკვეული ორგანიზაცია, არის ფორმა. მაგრამ როგორ არის შესაძლებელი ეს სინთეზი, ფუნქციის კომპონენტთა ორგანიზაცია? სწორედ ეს მომენტი არის გადამწყვეტი ფუნქციისა და ფორმის მიმართებაში, და საერთოდ, მხატვრულ კონსტრუირებაში. ფორმა თუ შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად უნდა გამოხატავდეს საგნის ფუნქციის დანიშნულებას. ნაკეთობის ფორმის განხილვა, მისი დახასიათება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ნაკეთობის დანიშნულების თვალსაზრისით, საგნის არსებობის მჭიდრო კავშირში.

მხატვრული კონსტრუირებით მიღებული ნაკეთობის ფორმა ყოველთვის უნდა იყოს მისი ფუნქციის, დანიშნულების შესატყვისი. ყოველი მიზანშეწონილება, შეიძლება ვიმხაროთ ასეთი გამოთქმა — „ყოფიერების ფორმაში“ განხორციელებული, წარმოადგენს თავის მხრივ ამა თუ იმ ფორმით განხორციელების აუცილებელ ფაქტორს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1964 წელს, მხატვარ-

კონსტრუქტორთა სიმპოზიუმზე წამოყენებულ იქნა დღევანდელი „მხატვრული კონსტრუირება — ეს არის რაციონალიზმი, ხილულ ფორმაში განხორციელებული“. უფრო მეტიც, ხშირად ფორმის ესთეტიკური სრულყოფილების ხარისხით ფასდება შესწავნილი ტექნიკურბა. ასე მაგალითად, როდესაც ცნობილმა ინჟინერებმა ფიციკოსმა პოლ დირაკმა აღმოაჩინა პოზიტიონი, მან ასე განამარტა ეს ფაქტი: „იმდენად ლამაზია ფორმულა, რომ არ შეიძლება იგი სწორად არ იყოს“.

ყოველი ნაკეთობის მხატვრული კონსტრუირების დროს, დინამიკური უნდა ცდილობდეს მისცეს მას ისეთი ფორმა, რომელიც უნდა შეიძლება უკეთ გამოხატავდეს მის დანიშნულებას, იმ ფუნქციას, რომლის გადმოსაცემად იგი არის მოწოდებული, რაც უფრო მარტივი, მოქნილი და ლაკონურიცაა ამ ფუნქციონალიზმის გამოსატყვის საშუალებანი, რაც უფრო თვალსაჩინო და გონებამახვილურია კონსტრუქტორების იდეის განხატვა და გადაწყვეტა, მით უფრო გამართლებულია ფორმის თვალსაზრისით ესა თუ ის საგანი. მხატვარმა-კონსტრუქტორმა უარი უნდა თქვას ყოველგვარ გაუმართლებელ საბრუნებებზე, რომლებიც ხელს უშლის ფორმის გატეხვას და საბოლოო ჯამში თვით საგნის ფუნქციის გამოვლენას.

ასე და ამრიგად, ფუნქცია განსაზღვრავს ფორმის სრულყოფილებას, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გამოდის როგორც ამ ფუნქციის სისწორის მაჩვენებელი და დამადასტურებელი.

ვამბობთ, რომ ფორმას ყოველთვის უნდა განსაზღვრავდეს ფუნქცია, მიზანშეწონილობა, წინააღმდეგ უმთხვევავში. იგი ფორმაც არ იქნება. ასე მაგალითად, თვითმფრინავს განისიზნაულ ფორმას იმიტომ აძლევენ, რომ იგი ზუსტად პასუხობდეს აეროდინამიკის კანონებს; ფორმა არ არის მარტოოდენ მანქანის კონსტრუქცია, ამა თუ იმ ინტერიერის ფერი თუ რომელიმე დაზგა-დანადგარის მოპირკეთება. ფორმა, უპირველეს ყოვლისა, არის ფუნქციის ელემენტთა, კომპონენტთა ორგანიზაცია, სტრუქტურა. მხოლოდ ფუნქციის ელემენტთა და მათი ორგანიზაციის საფუძვლიანი ანალიზი იძლევა იმის შესაძლებლობასა და გარანტიას, რათა სწორად იქნეს გატეხული ფორმისა და ფუნქციის შესატყვისობის საკითხი.

აქედან ნათელია, რომ ფორმა, როგორც ასეთი, არ უნდა იყოს განყენებული, არამედ იგი თვით ნაკეთობის შინაგანი, ფუნქციონალური მოთხოვნადაც უნდა წარმოიქმნას, იგი ხელოვნურად კი არ უნდა მიეყენებინოს ნაკეთობას, არამედ ნივთის თავდაპირველ გააზრებიდანვე უნდა იქნას გათვალისწინებული. ფორმა და უნდა წარმოვიდგინოთ როგორც რაღაც შუა, სტანდარტული რამ, რომელიც შეიძლება მიუდგეს ან არ მიუდგეს გარკვეულ ნაკეთობას.

ამ საკითხთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავდა ოლივეტი, რომ „ფორმა არ უნდა ნიღბავდეს, არ უნდა „ამეღვას“ ნაკეთობას, რათა, იგი გახდეს უფრო მოსაწონი მომხმარებლისათვის“.

დინამიკისათვის არ არსებობს წმინდა ესთეტიკური ამოცანა, და თუ ასეთი რამ არსებობს, მაშინ იგი არა მხატვრული კონსტრუირებაა, არამედ მხატვრული თვითნებობა, ე. წ. სტალინიტი. მხატვრული კონსტრუირება არ უნდა გავყოთ როგორც კოსმეტიკა; ფუნქციის ცნებაში იმთავითვე იგულისხმება ესთეტიკურის მოთხოვნა; ნაკეთობის ესთეტიკური მხა-



რე უნდა ვეძებოთ არა მის ზედაპირზე, არამედ ფუნქციონალურ დანიშნულებაში, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ტექნიკურის, ესთეტიკურის და სხვა მხარეთა ერთობას.


ველა, ვინც დიზაინს განიხილავს, როგორც წინადაც გაფორმებას, გალამაზებას, უდავოდ ცდება. ცდება, სამწუხაროდ, ბევრი, ასე მაგ., ავად. როდესაც ტექნიკური მხატვრული კონსტრუქციების მიზანს ხედავს მხოლოდ მხატვრული ამოცანის გადაჭრაში.⁷ ასევე აღიზიანებს, არასწორად მსჯელობს. იგი სტატიაში — „რამი მდგომარეობს მხატვრული კონსტრუქციების სპეციფიკა“ — აღნიშნავს, რომ მხატვრულ-კონსტრუქციურმა უნდა შემოიხილოს თავისი შემოქმედება მხოლოდ ფორმის შექმნით.⁸

დიზაინის ასეთი გაგება, თუკი იგი გაგებდა შეიძლება ჩაითვალოს, სრულიად გაუგებარს ხდის თვით მხატვრული კონსტრუქციების ფაქტს, ვერ არჩევს მის სპეციფიკას, პირიქით, ამახინჯებს და აყალბებს მას.

რას ნიშნავს გამოთქმა — „შემოიხილოს მხოლოდ ფორმის შექმნით“? გამოთქმაში — „ნაკეთების გაფორმება“ — ნათლად ჩანს ის არასწორი დამოკიდებულება, რომელსაც ბევრი ავტორი იღებს ფორმის მიმართ, სახელდობრ, ფორმა მათთან სრულიად დამოუკიდებელი საგნის დანიშნულებისაგან. ეს იქ სხვა არავფერია, თუ არა ფორმალისმი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მხატვრულ კონსტრუქციებსა. სინამდვილეში კი მხატვრული კონსტრუქცია იძლევა ტექნიკისა და მხატვრული შემოქმედების შეერთების ახალ შესაძლებლობებსა და გზებს.

ვამბობთ, რომ ფორმა არის ფუნქციის ელემენტთა ორგანიზაცია, სტრუქტურა. მაგრამ ფორმა თვით უნდა იყოს ფუნქციონალური. რას ნიშნავს ფორმის ფუნქციონალიზმი? ფორმის ფუნქციონალიზმი ნიშნავს, ერთი იმას, რომ მას ვვალდება გარკვეული მოთხოვნის გამოხატვა, გარკვეული ფუნქციის შესრულება; და მეორედ, ფორმა ფუნქციონალურია იმითაც, რომ იგი მნიშვნელობას, გარკვეულ დანიშნულებას ასრულებს ადამიანისათვის, მომხმარებლისათვის. ასე რომ, ფორმას, თუ შეიძლება ითქვას, ორმაგი დატვირთვა აქვს, იმ აზრით, რომ იგი, ერთი მხრივ, არის ფუნქციის ელემენტთა სინთეზი და ორგანიზაცია, და მეორე მხრივ, იგი გარკვეული სახით ამცნობს მომხმარებელს ნაკეთობის შესახებ.

ვამბობთ, რომ ფუნქცია, საბოლოო ჯამში, უნდა განსაზღვრავდეს ფორმას; მაგრამ შეიძლება თუ არა ვიმსჯელოთ ნაკეთობის ერთი განსაზღვრელი ფორმის შესახებ? რასაკვირველია, არა! არსებობს ერთი და იგივე ფუნქციის გამოხატვის უამრავი ვარიანტი, რომლებიც შეიძლება იყოს სასაგებოთი ოპტიმალური თავისი ფორმით. ასე მაგალითად, ექვთიათ, მოცემული გვაქვს გარკვეული ფუნქცია, რომელსაც აღვნიშნავთ A — ნიშნით, ხოლო III, II, K, I, ნიშნებით აღვნიშნოთ ფუნქციის შემადგენელი ელემენტები. არსებობს ამ მოცემული ფუნქციის გამოხატვის II ვარიანტიც, რომელიცა პირობითად აღვნიშნავთ B, C, D ნიშნებით, მივიღებთ ასეთ



ისმის კითხვა, რით უნდა იყოს გაპირობებული ესოდენ დიდი რიცხვი ვარიანტებისა, ანუ ფორმათა სიმრავლე? ვფიქრობთ, რომ, პირველ რიგში, ამოცანის სირთულეთ — თვით ფუნქციის, ნაკეთობის დანიშნულების სპეციფიკურ-

ობით; ამის აღნიშვნა აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი იმისათვის, რათა ბოლომდე აესხნათ ფორმათა სიმრავლე. იგი განისაზღვრება როგორც ფუნქციის თავისებურებით, ასევე მოცემული საზოგადოების მოთხოვნებით, მეცნიერების, ტექნიკის დონით, მათი განვითარების კანონზომიერებით.

როგორც ვხედავთ, მხატვრული კონსტრუქციების პროცესი მეტად რთული და მრავალმხრივია. მხატვარი-კონსტრუქტორი მუშაობაში უნდა ითვალისწინებდეს შეზღობილ ნულ მოვლ რიგ მოთხოვნებს, საფუძვლიანად სწავლობდეს აიკვლავდეს ცალკეულ ელემენტებს, აკეთებდეს სწორ ანალიზს და ყველა ამ კომპონენტის ერთგვარ სინთეზს. ყოველი ახალი ნაკეთობის შექმნა მხატვარ-კონსტრუქტორისათვის მოითხოვს მეტად დიდ და რთულ მუშაობას. დიზაინერი უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ ვარაუდებს, შესაძლებელი ვარიანტების გარკვეული რიცხვის შერჩევას, ნაკეთობის ისტორიის, მისი განვითარების კანონზომიერების ცოდნას, განსაკუთრებულ პირობათა დრმა ახალს, რის საფუძველზეც მიიღება სათანადო გადაწყვეტილება. სასურველი შედეგი მიღწეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი ვარიანტებიდან დიზაინერი სწორად მიაგნებს და არჩევს ყველაზე ოპტიმალურ, საუკეთესო ვარიანტს. აქვე უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ ე. წ. „იდეალურ“ ვარიანტში გარკვევით უნდა გამოჩნდეს დიზაინერის ნოვატორული იდეა. მის მიერ შექმნილი ახალი კონსტრუქცია ძირითადად უნდა ეყრდნობოდეს ძველი კონსტრუქციების დადებით ელემენტებს, უნდა ახდენდეს ამ დადებით ელემენტების თავისებურ დახვეწას, სრულიყოფას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ტელეფონიც მანქანების, თვითმფრინავების, ლანდურების, დღეგრძელების, დაზღვა-დანადგარების, საოჯახო ავეჯისა და სხვათა მოდელები. ეს ახალი მოდელები შექმნილია მთელ რიგ საწინააღმდეგე ელემენტთა დაძლევისა და უკუგდების საფუძველზე, განვითარებადი ელემენტის შენარჩუნებისა და სრულიყოფის გზით.

ასე მაგალითად, დიზაინერის მიერ შექმნილი ნაკეთობა იბადება და იქმნება ძველი კონსტრუქციების თავისებური, შეიძლება ითქვას, დიალექტიკური უარყოფის საფუძველზე, განსაკუთრებულ მოთხოვნათა ანალიზისა და სინთეზის გზით.

ამა თუ იმ საგნის პროექტირებას წინ უნდა უსწრებდეს მისი გამოშვების აუცილებლობის განსაზღვრა, ე. ი. თუ რამდენად არის საჭირო ამა თუ იმ საგნის წარმოება. ფაქტიურად, აქ მსჯელობა ეხება საგნის სოციალურ დანიშნულებას. ასევე აუცილებელია განისაზღვროს რაოდენობა და ასორტიმენტობა, რომ ადგილი არ ექნეს შეუსაბამობას გამოშვებულ ნაკეთობებსა და საზოგადოების მოთხოვნილებებს შორის.

ახალ ნაკეთობათა შექმნა გაპირობებულია, ერთი მხრივ, თვით ტექნიკის განვითარებით, ტექნიკის პროგრესით. და მეორე მხრივ, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებებით. არ არსებობს მუდმივი, აუცილებელი კონსტრუქციები; წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი და აუხსნელი იქნებოდა როგორც ტექნიკის განვითარების, ასევე ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების განვითარების ფაქტს.

რაც შეეხება ნაკეთობათა პერიოდული ცვლის საკითხს, უნდა აღვნიშნოს, რომ დიზაინი, თუ შეიძლება ითქვას, აღიქვამს ცხოვრების ცვალებადობას, როგორც საგანთა ცვალებადობას, როგორც საგანთა ცვლას, მათ მრავალგვარობას, ამ ცვალებადობის კანონზომიერებას.



საბჭოთა მეკლავარი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. კანტორი ამის შესახებ წერს: „დიხანი აღძრავს სურვილს აღიქვას მოძრაობა, ცხოვრების ცვლადობა, როგორც საგნათა მოძრაობა. სოციალური ურთიერთობა — როგორც ურთიერთობა საგნების გამო, მათი დიხანიურული თვისებების, მათი შექმნის, სარგებლობის, ცვლის გამო“.⁹

ყოველი ეპოქა მასათვისაა გარკვეული წარმოებისა და ტექნიკური შესაძლებლობებით, გარკვეული მანერებით მოწველობის დარგში, მეცნიერული ცოდნის განსაზღვრული კომპლექსით საამშენებლო მასალების სფეროში, გარკვეული სასოგადოებრივი მოთხოვნილებებით გამოშვებული პროდუქციის ხარისხით და ასობრტეხტუტე განსაზღვრული ესთეტიკური შეხედულებებით. სასოგადოების განვითარებასათვის ერთად იცვლება ადამიანთა მოთხოვნილებანი, მათი ესთეტიკური შეხედულებანი, თვით მშენიერების გაგებით დაკავშირებულია ამა თუ იმ ეპოქაში ესთეტიკურის სხვადასხვა გაგებასთან.

დიხანი გველენება როგორც საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს მოხმარებასა და წარმოებას შორის. ასე რომ, საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, წარმოებასთან, და მეორე მხრივ, წარმოებული საგნების მოხმარებასთან. ადამიანი აწარმოებს კიდევ და მოიხმარს კიდევ.

ყოველი ნაკეთობა გაივლის ორ სტადიას: პირველი — ეს არის ნაკეთობის წარმოების სტადია, და მეორე — მოხმარების სტადია. პროდუქტი, რომელიც არ არის მოხმარებული, არ წარმოადგენს პროდუქტს საკუთარი აზრით. როგორც მარქსი აღნიშნავდა, მხოლოდ მოხმარებაში იქცევა იგი ნამდვილ პროდუქტად. მხოლოდ მოხმარებაში გამოვლინდება ნაკეთობის ნამდვილი დანიშნულება, მისი ფუნქცია; მხოლოდ მოხმარებისათვის იწარმოება პროდუქტი, ადამიანთა გარკვეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასე რომ, დიხანიისათვის ამისავალს წარმოადგენს ადამიანი მთელი თავისი რაიული ბუნებით. ამდენად, დიხანის სფეროში შემიძლია საკითხები სრულიად განსხვავებული სფეროებიდან, იქნება ეს ეკონომიური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური, პიკიურული, ესთეტიკური თუ სხვა სფეროთა საკითხები, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ადამიანთან. მაგრამ, გარდა ამ საკითხებისა, დიხანი გულისხმობს თვით ტექნიკის შინაგანი კანონზომიერების, ახალი საამშენებლო მასალების, პროგრესული ტექნოლოგიის, განათების ტექნიკის, აუკუსტიკის, ფერთამოვლენობის, ვენტილაციის, უშიშროების ტექნიკის, პროდუქციის ხარისხის და სხვა საკითხების საფუძვლიან ცოდნას.

სწორედ ამ გასასვლელ საკითხთა ურთიერთდაკავშირება, ურთიერთმიმართება, ერთ მთლიანობაში განხილვა და გაანალიზება აუცილებელია დიხანიისათვის.

ეს მთლიანობა — როგორც აღნიშნავს მარტინ კელმი, — უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც პროდუქციის მალალი ხარისხის თვალსაჩინო გამოხატულება. მხატვრული კონსტრუქციები უნდა შეადგენდეს პროექტირების ერთიან პროცესს.¹⁰

როგორც ვხედავთ, დიხანი გველენება როგორც მეტად რთული პროცესი, შემოქმედება, რომელიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია ტექნიკურ მოთხოვნებთან, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანურ ფაქტორთან. დიხანიერმა თავის მუშაობაში უნდა გაითვალისწინოს და გაიხაროს ყველა ზემოთ ჩამო-

თვლილი საკითხი ერთ მთლიანობაში, ადამიანთან უშუალოდ კავშირში, მასთან მიმართების ასპექტში.

დიხანიერული ნაკეთობის ფუნქციონალი და ფორმის ურთიერთმიმართების საკითხის მართებითაა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანური ფაქტორის გათვალისწინების საფუძველზე. მთავარი აქ ის არის, რომ ნაკეთობის ფუნქციონალური დანიშნულება ორგანულად უნდა შეესაბამებოდეს მის ფორმას. ესთეტიკური უშუალოდ უნდა მიმდინარეობდეს ფუნქციონალურიდან. რაც უფრო მარტივი, მიქნული და ლაკონიური ამ ფუნქციონალითის გამოხატვის საშუალება, რაც უფრო თვალსაჩინოდ და გრნებამახვილურადაა გამოხატული და გადაწყვეტილი კონსტრუქციული იდეა, მით უფრო მშვენიერია, ესთეტიკურია საგანი.

ფუნქციის სისწორე, თავის მხრივ, განსაზღვრავს ფორმის სრულყოფილობას, ხოლო ეს უკანასკელი ამ ფუნქციის სისწორის მანერებელი და დამატატურებელია. ამასთან სწორედ გარკვეული დიადექტივა, ფორმა ყოველთვის ნაკანსხვი უნდა იყოს მიზანშეწონილიებით. ფორმა არ არის მარტოოდენ მანტივის კონტურები, ამა თუ იმ ინტერიერის ფერით თუ რემელიმე დაზგა-დანადგარის მოპირკეთება. ფორმა, უპირველეს ყოვლისა, არის ფუნქციის ელემენტთა ორგანიზაცია, სტრუქტურა, მაგრამ იგი თვით უნდა იყოს ფუნქციონალური. ფორმის ფუნქციონალიზა ნიშნავს ჯერ ერთი იმას, რომ მას ევალება გარკვეული მოთხოვნის გამოსატყა, გარკვეული ფუნქციის შესრულება და მეორეც, — ფორმა ფუნქციონალურია იმითაც, რომ იგი მნიშვნელობს, ფუნქციონალიზს პირველ რიგში ადამიანისათვის.

დიხანიერულ პროექტირებაში ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს ფერის სწორი გამოყენება, სულ ერთია იქნება ეს ინტერიერის, დაზგა-დანადგარების, მზა პრაოდუქციისა თუ უმცირეს დეტალ-დილაკთა ფერთა შერჩევის საკითხი; გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც დეტალის ფერი, ასევე დაზგის ფერთან მისა სათანადო კონტრასტის აყულებლობაც. უნდა გამოიყოს დაზგის მოძრაი ნაწილები. ყურადღება დაეთმოს მართვის მოწყობილობას, შეფერვლობას — ჩართვისა და გადაცემის სახელურების, დილაკების ფერს.

ამა თუ იმ ფერის გამოყენებისათვის უნდა გაითვალისწინოთ აგრეთვე შინაშის დაზგა-დანადგარების ზომები და ფორმები, სინათლის წყაროს ადგილმდებარეობა და მისი ინტენსიურობა, ტემპერატურა, წარმოების პროცესის სპეციფიკა, მუშების რიცხვი, მათი სქესი და ფსიქოლოგია.

ექსპერიმენტები გვიჩვენებს, რომ ფერის სწორი გამოყენება მნიშვნელოვანდ ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამაღლებს შემოქმედებით ძალებს. დამტკიცებულია, რომ შრომის ნაყოფიერებაზე კარგად მოქმედებს სპექტრის ისეთი ფერები, როგორცაა მწვანე და ყვითელი, რაც შეეხება წითელ ფერს, მისი ხშირი გამოყენება იწვევს „ფერით დაღლილობას“. ასევე, ხანგრძლივი მუშაობა მუქი ფერების ატმოსფეროში, იწვევს ე. წ. „ფერით შიმშილს“ და საგრძნობლად ამცირებს შრომის ნაყოფიერებას.

ფერი უნდა ქნიდეს სასიამოვნო ატმოსფეროს, უნდა იწვევდეს მხიარულ შეგრძნებებს. შემოქმედებით აღმავლობას, ზრდიდეს შრომის ტემპს.

ფერით წარად, რომ ფერი ყველაფერის შემძლეა, მას შეუძლია შექმნას სინათლე, ძარბონია, მისგან შეიძლება ველოდეთ სასაუკუნებს და კატასტროფასაც.



ფერთა შერჩევის საკითხში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მხატვრული კონსტრუირების დროს.

მხატვრულ კონსტრუირებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს შრომის იარაღთა სრულყოფასა და კონსტრუირებას. შრომის იარაღი უნდა იყოს მოქნილი, მიხერხებული, სასაბოძო. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩხვი მეცნიერის პეტრე ტუჩინის მოღვაწეობა შრომის იარაღების კონსტრუირების სფეროში. პეტრე ტუჩინისა და ზდენეკ კოვარის მიერ შექმნილი სამუშაო იარაღების სახელები ითვალისწინებენ ადამიანის ხელის ანატომიურ აღნაგობას, ხელის სხვადასხვა წერტილების შეებებას სახელების ზედაპირთან და სხვ. ახალი სახელებები მიხერხებულია, არ იწვევს ხელის დამახინჯებას და სხვ.

მხატვრულ კონსტრუირებაში გარკვეული ადგილი უჭირავს სამუშაო ადგილის სწორ მოშადადებას. დღევანდელ პირობებში მუშას იმდენად არ ესაჭიროება ძალის დახარჯვა, რამდენადაც სწრაფი რეაქტია, ყურადღება, გარკვეული ორიენტირება. თავისთავად ხართლია, რომ ასეთ პირობებში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო ადგილის კომფორტს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკის სწორ გამოყენებას წარმოებაში. მუსიკა უნდა ქმნიდეს ერთგვარ ფონს წარმოების პროცესში, უნდა იყოს შრომის ნაყოფიერება გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, შობილიზების, სტიმულის საშუალება. შრომის ნაყოფიერების ცვალებადობა სამუშაო კვირისა და სამუშაო დღის განმავლობაში, თვით სამუშაოს სპეციფიკა უნდა განასაზღვრავდეს ამა თუ იმ მუსიკის შერჩევას და მის გამოყენებას შრომის პროცესში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვენი საზოგადოების უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს და რომელიც აუცილებლობით შემოდის დიზაინის სფეროში, არის პროდუქციის ხარისხის პრობლემა.

საზოგადოებრივი პროგრესის თანამედროვე ეტაპზე ისახება ამოცანა — დიზაინერული მეთოდების გამოყენების გზით მკვეთრად ამაღლდეს პროდუქციის ხარისხი. ე. ი. ხარისხის პრობლემა წარმატებით შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ და მხოლოდ დიზაინერის დახმარებით, მისი უშუალო მონაწილეობით. დიზაინერები განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა მოეციდონ საწარმოთა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო ნავეთობათა სამომხმარებლო ხარისხის ამაღლებას.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებსა და სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ საჭიროა გაავსებოძოს საოჯახო ხარისხისა და გარეგანი სახე. სისტემატურად განვახსენოთ ამ საჭიროებას ასორტიმენტით. ამისათვის უნდა შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ მომხმარებელთა მოთხოვნები.

XXV ყრილობის მიერ შემუშავებულ პარტის ეკონომიურ პოლიტიკაში მთავარი ყურადღება ეთმობა სწორედ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას. ამ მიზნის მიღწევის ძირითადი საშუალება კი არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მეცნიერებათა და ტექნიკის მიღწევათა მაქსიმალური გამოყენება სახალხო მეურნეობაში.

დიზაინი ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების განუზრდელ ზრდას, ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, შრომისა და ყიდის ორგანიზაციის სრულყოფას. მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, პროდუქციის ხარისხის მკვეთრ ამაღლებას, მსოფლიო ეკონომიური ურთიერთობების გაფართოებასა და განვი-

თარებას, სხვადასხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განუზრდელ ზრდასა და განმტკიცებას.

ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი სოციალური ხასიათისა და მათი გადაჭრა, თავის მხრივ, ემსახურება პირველ რიგში სოციალურ პროგრესს.

ზემოთქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1) დიზაინი საზოგადოებით, ადამიანთა პრაქტიკული და სულიერი მოთხოვნილებებით არის განსაზღვრული და ამიტომ მისი არსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების მხარედ მოთხოვნილებების ასპექტიდან.

2) დიზაინის მიზანს შეადგენს საგნობრივი სინამდვილის ჰუმანიზაცია, მაქსიმალური პარმონიის მიღწევა ადამიანსა და საგნობრივ სინამდვილეს შორის, შრომის, ყოფისა და დასვენების ობიექტური პირობების შექმნა, შრომის ნაყოფიერების გაზრდა, ესთეტიკური გემოვნების ამაღლება, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, მსოფლიო ეკონომიურ ურთიერთობების გაფართოება და სხვ.

3) დიზაინის ამ მთავარი ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება საზოგადოების მოთხოვნილებანი საგნათმომხმარებლის სფეროში, სწორად იქნება განსაზღვრული მოთხოვნილებათა ადგილი და როლი საზოგადოებრივ წყობაში, მოთხოვნილებათა განვითარების კანონზომიერებანი და ტენდენციები, ნაკეთობათა მოქმედება მომავალში, მომხმარებელთა სოციალური ჯგუფების ცოდნა, ნაკეთობათა ასორტიმენტის განსაზღვრა და სხვა.

4) დიზაინი მეტად რთული შემოქმედებით პროცესია, რომელიც ერთი მხრივ, დაკავშირებულია ტექნიკურ მოთხოვნებთან და მეორე მხრივ, ადამიანურ ფაქტორთან. ამ განსხვავებულ მხარეთა ურთიერთდაკავშირება, ერთ მთლიანობაში განხილვა აუცილებელია და ამოსავალია დიზაინისათვის.

შინაშეხება:

¹ პირველად ტერმინი „ინდასტრიალ დიზაინ“ იხმარა ინგლისელმა მხატვარმა ეოზეფ სინელმა 1919 წელს მის მიერ შესრულებულ ნავეთობათა აღსანიშნავად. ეს ტერმინი ინგლისურ ენაზე ნიშნავს როგორც წინადა ტექნიკურ პროექტირებას, ასევე სამრეწველო ხელეწივნებას, კულისხობას როგორც მხატვარ-ინსტრუქტორის შემოქმედებას და შედეგს, ასევე მუშაობის მეთოდს და თეორიულ შეხვედრებას სისტემატა. ასე რომ, ეს ტერმინი ინგლისური ენის კანონთა სპეციფიკურობის და სიტუაქარმოების გამო მეტად ზოგადმნიშვნელოვანია. ტერმინი „ინდასტრიალ დიზაინ“ პირველად დამკვიდრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო შემდგომ ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში და ხშირობდა შესაბამისი თარგმანის გარეშე, მარტო დიზაინს.

² *Техническая эстетика*, 1966, № 4, стр. 2.

³ წარმოების პრინციპების სრულად ახალი გაგებისა და თვით დიზაინის თეორიის შექმნის საქმეში დიდი როლი შეასრულეს რუსენმა, მორისმა, ზემპერმა, მუტეხუსმა, გროპიუსმა, შაიერმა და სხვ.

⁴ ეტიოპური მხარია არკინის წიგნიდან «Искусство бытвой вещи». 1932 გ. стр. 13.

⁵ *Техническая эстетика* 1973, № 5, стр. 1.

⁶ *Декоративное искусство СССР*, 1966 г., стр. 8.

⁷ *Декоративное искусство СССР*, 1964 г., № 9, стр. 9.


⁸ «*Техническая эстетика*», 1965, г., № 11.

⁹ *Декоративное искусство СССР* 1966 № 10, стр. 4.

¹⁰ *Техническая эстетика*, 1966, № 7, стр. 3.

1925 წლიდან დავით კლდიაშვილი რამდენიმე საფეხულს ბორჯომში მკურნალობდა. მადლიანმა პაემამ და მზრუნველმა ადამიანებმა გაახალისეს საერთოდ ჯანგატიხილი მწერალი. იმ სანატორიუმის უფროსი ექიმი, სადაც დავითი მკურნალობდა, ყოფილა ცნობილი სასოფადო მოღვაწის. დიდებული მანდილოსნის მარიამ დემურაის ვაჟი; მწერალი აქვე შეხვედრია კიტა აბაშიძის ვაჟს და კოტე მაცაშვილის ძრას. „მიეცათ ყველას სიკეთე — ყველა ჩემი გულითადი მომგვლი

დაგვარწმუნა, რომ დიდი მწერლის პირადი წერილები მრავალ საინტერესო ფაქტს შეიცავს. ამჟერად მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე მათგანს, კერძოდ, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ბორჯომიდან გამოგზავნილ წერილებს. როგორც დავითის მეუღლის იქვე დაცული წერილებიდან ირკვევა, მწერალს ბოლო ხანებში ავადმყოფობამ ძალზე დარია ხელი. დავითმა დააქარგა მუშაობის ხალისი, ჭირვეული და იმედ-დაკარგული შეიქნა. ავადმყოფის მოვლის მთე-



დავით კლდიაშვილის უკანასკნელი პორტრეტი

ბეჟან ბარდაველიძე

შეიქმნენ, — სწერს დავითი თავის მეუღლეს, — ჩვენებმა რუსებს ალბათ გააგებინეს, ვინ იყო პატარა მოზუცი და განსხვავებული პატივისცემით მექცევიან. ერთმა უკრაინელმა ვარდი მომაწოდა და თან დაატანა, უკრაინისაგანო¹. დავითს დამლაგებელი გოგონაც „განსხვავებული სიყვარულით“ ემსახურებოდა თურმე. მოსულან მოსწავლე ბავშვები და მწერალთან მის მოთხრობებზე უსაუბრიათ...¹

დავით კლდიაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა გამოქვეყნებული არ არის. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულმა რამდენიმე წერილმა მეუღლისა და შვილებისადმი

ლი სიმძიმე დააწვა დავითის მეუღლეს, მარიამს (მამიკო), პავლე მაჭავარიანის ასულს. ისიც ურიველად იტანდა ყველაფერს და, როგორც ყოველთვის, გასათვარი მოთმინებით უწყობდა ხელს ავადმყოფს.

და, აი, ბორჯომმა კვლავ დაუბრუნა დავითს სიცოცხლის ხალისი. საყოველთაო სიყვარულთა და მზრუნველობით გარემოცულ მწერალს, ბუნებრივია, ერთი წუთითაც არ ავიწყდება თავის ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, რომელიც ამ დროს „იმერეთის სატახტო სოფელში“, მშობლიურ სიმონეთში, მრავალრიცხოვან ოჯახს უვლის. არ შეიძლება აულეღვებლად წაიკითხოთ სიმონეთში შვილებისადმი მიწერილი დავითის წერილი, რომელშიც იგრძნობა მწერლის მგრძობიარე გული და თბილი იუმორი. წერილს წითე-

¹ ლიტერატ. მუზეუმის დ. კლდიაშვილის ფონდი, № 14704.

ლი შეგონით აწერია: „გვალება სუყველა მის შვილებს და გაზრდილებს! ეს დღე იღვრასწაულონ. შედგეს კომისია“. შემდეგ დავითი განაგრძობს: „ბავშვებო, რომლებიც ხართ მანდი მარიობის მეორე დღეს შესრულდება 35 წელიწადი, რაც დღედათვენა ჩვენს ოჯახში შემოადა ფეხი და გვემსახურება; ვაპატიოთ მისი სისულელე, რომ თავისი თავი დავიწყებულე ყავდა ყოველთვის და მთელი ეს დრო იმაში გაატარა, რომ ჩვენ გვაკავდებოდა და დღესაც გვაკავდება. გავალუბთ, ან დღეს, ე. ი. მარიობას (ძველი სტილით) გაუმართოთ შინაური იუბილე, რომელს მე ვერ დავესწრები... იმ დღეს ჩემი სული, გული და გონება თქვენთან იქნება!“ შემდეგ დავითი ავალუბებს შვილებს, რომ იუბილარს სიმღერით მიულოცონ და ა. შ.

1927 წლის 20 აპრილს ბორჯომიდან გაგზავნილ წერილში დავითი მეუღლეს სწერს: „მზატვარია, მაშეო, კოტე ქავთარაძე, საზოგადო მოღვაწეების სურათებს ხატავს გამოსაცემათ. დამხატა. მაგრამ რა მშვენიერათ, ვერ წარმოიდგენ, საუცხოვოა. ბარნოვმა მითხრა, სისხარულით კილამ გადაკვოცნეო ქავთარაძე, როცა მანახაო“.

ამ სურათმა ძალზე დამაინტერესა, მაგრამ იგი დაბეჭდილი არსად აღმოჩნდა. არ აღმოჩნდა იგი ხელოვნების მუზეუმშიც, სადაც მზატვარ კოტე ქავთარაძის ფონდი იყო საკულეველი. სურათის არსებობის შესახებ არ იცოდა არც მწერლის შვილმა, ბატონმა სერგო კლდიაშვილმა. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და სიხარული, როდესაც დავითის უკანასკნელი, მისგან მოწონებული პორტრეტი მშვიდად მომაწოდა ლიტერატურული მუზეუმის იკონოგრაფიის განყოფილების მამინდელმა გამგემ დ. შულღიაშვილმა. ამ პორტრეტის მოსაძებნად ჩემთან ერთად ზრუნავდა ჩემი მეგობარი, მწერალი რევაზ ინანიშვილი. რევაზმა თქვა: ამ სურათიდან „პატარა მოხუცი“ ახოვანდ გამოიკურებოთ, ალბათ, ამიტომაც მოსწონდაო.

პორტრეტი შესრულებულია საშუალო ზომის (დაახლ. 50X40 სმ) ღია მოყავისფრო ფერის ქაღალდზე, თეთრი და შავი სანგინით.

კოტე ქავთარაძე თავის დროზე საკმაოდ ცნობილი მზატვარი იყო. იგი აკაკი წერეთელს ახლდა საიუბილეო მოგზაურობაში რაჭა-ლეჩხუმში და საინტერესო ჩანახატებიც გაუკეთებია. ახლო მეგობრობა ჭქონია ბერ ჩვენს მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან.

დიდი მწერლისადმი პატივისცემა გვავალუბებს, ამ პორტრეტს სათანადო ადგილი მიეჩინოს დავით კლდიაშვილის მემორიალში.



ისევ ფიროსმანის შემოქმედების გამო

ლეილა თაბუკაშვილი

წერილში — „მარტივის სიდიადე და ფიროსმანია“, რომელიც ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ამა წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა, * თ. ფირალიშვილი აღნიშნავს: „ფიროსმანის „უეიკობაში“ ტალანტის გამოვლენის საიდუმლო, როგორც თეორიული პრობლემა, ხელმეუბნებული დარჩა და კვლევადობა უფრო იოლი გზით — ბიოგრაფიისაკენ წარმართა, სადაც ნაწარმოებებს, არსებითად, მზატვრის ცხოვრებისადმი დამატების ან გარემოს ილუსტრირების მნიშვნელობა ენიჭება. გულსატკეპნია, რომ თვით ბიოგრაფიის კვლევასაც კი ზოგჯერ უმართებულო ტენდენციის კვალი ეჩვენება... „ეს თემა, საერთოდ, ესთეტიკური ზრუნების სადღესო დონეზე არ არის შესწავლილი“.

რამი მდგომარეობს ესთეტიკური ზრუნების ამ სადღესო დონის ის ასპექტები თუ სიღრმეები, საიდანაც მკვლევარს სურს მკითხველს ნათლად დანახოს ფიროსმანის ხელოვნების, მისი შემოქმედების არსი და სიდიადე?

* იგივე წერილი დაიბეჭდა ქურნალ „მნათობის“ ამა წლის მეორე ნომერშიც (?).

ძირითადი დედააზრი დებულებებისა, რომელია მემკვიდრეობითი. თ. ფირალიშვილს სურს ნათელყოფს, წარმოაჩინოს ფიროსმანის ტილოების განსაკუთრებული გამოხატავლობითი ღირსებები და სილამდე, ძალიან მოკლე ფორმულირებით შემდეგში მდგომარეობს:

აკადემიზმის, აკადემისტურობის საწინააღმდეგოდ, რომელიც საგნებისა და მოვლენების გარეგან ასახვაზე შორს არ მიდის და მხოლოდ მიბაძვით, ზედაპირის გამოხატვით იფარგლება, „ნიკო ფიროსმანაშვილის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო ნიშნად, რომლითაც მისი მემკვიდრეობა მსოფლიო ხელოვნების ორბიტაზე გადის, გრძობის არა მარტო უშუალობაა, არამედ მისი საოცრად ლაკონიურ ფორმებში განსახიერებაა“.

ამგვარი მოკლე ჩამოყალიბებით ეს ზოგადი შეფასება, რა თქმა უნდა, დავას არ იწვევს, თუმცა მოულოდნელი და ახალი სრულიადაც არ არის. მაგრამ თვით პირიციპი ფიროსმანის დაპირისპირებისა აკადემიზმთან და აკადემისტურობასთან, რაც მთელ წერილს გასდევს, გაუმართლებლად გვეჩვენება.

უკვე წერილის დასაწყისი მეთხველს დადგირებს: „ნიკო ფიროსმანაშვილის დროს (1862—1918) ქართულ პროფესიულ მხატვრობას XVIII-XIX საუკუნეების ეროვნულ-რეალისტური (და არა სასწავლო-აკადემისტური) პორტრეტის განუმეორებელი და თავისებური ტრადიციები თითქმის მივიწყებულ კჷნდა და რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სამხატვრო სასწავლებლების აკადემიურ ხელოვნებას ეფუძნებოდა“. შემდეგ მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ტრადიციულად სამთვო კარის გამაგებლობაში მოქცეულია“, სახატვრო აკადემიები პროგრესულსა და ეროვნულს გამოვლინებს აბრკოლებდნენ და „ამის გამო ქართული მხატვრული კულტურის გარდაქმნის ამ ისტორიულ პროცესს, სიყვითლთან ერთად, ნიკოც ჰქონდა“.

ამდენად, თ. ფირალიშვილი მთლიანად როდი უარყოფს სამხატვრო აკადემიების, როგორც პროფესიული განათლების დამწერებელ დაწესებულებების მნიშვნელობას, იმასაც აღნიშნავს, რომ „მოწინავე ახალგაზრდობა თავს არიდებდა რადიკალიზმის ტყვეობას, შეძინულ ცოდნას ეპოქის მაღალეული იდეალების გამოხატვას ახმარდა“, „ქართული სახვითი ხელოვნება გამრავალფეროვნდა ახალი განხრებითა და განხრებით, იგი მოწინავე იდეების სინამდლეზე ავიდა, მხარში ახოვდგა ქართულ პუბლიცისტკას, მხატვრულ ლიტერატურას, თეატრს, მაგრამ აკადემიური მუსულულობისაგან სრული განთავისუფლების დრო ჯერ კიდევ წინ იყო“.

ინის გამო, რომ მკვლევარის კონცეპციები ამ მხრივ პროყუვია, იგი, ჩვენნი აზრით, წინააღმდეგობებში უარდება. როგორც იმის წინამდებარე ამ წერილიდან და სხვა გამოქვეყნებული წერილებიდან ირკვევა (ამას ქვემოთ დაიენახავთ), იგი თვლის, რომ აკადემისტური მუსულულობისაგან განთავისუფლების დრო არა თუ იმ დროისთვის, „ჯერ კიდევ წინ იყო“, დღესაც მისგან ვერ განთავისუფლებულა ქართული და საერთოდ მთელი საბჭოთა სახვითი ხელოვნება. მითუმეტეს

მამინ, თუ აკადემისტური დოგმატიკა მხატვრებს ბორკავდა, როგორდა ახერხებდა მოწინავე ახალგაზრდობა შეძენილი ცოდნა „ეპოქის მაღალეული იდეალების გამოხატავისთვის მოუხმებინა“, ქართული მხატვრობა კი მხარში ამოღებოდა ქართულ პუბლიცისტკას, მხატვრულ ლიტერატურას, თეატრს? როგორ ხდებოდა ეს, თუ აკადემიზმში მიბაძვის თვლისმომჭრელ ტექნიკას მიადლეა და საქმეში ნახუნდავი საზოგადოება ავიღოდა დაარწმუნა, ვითომც ხელოვნების ფუნქცია და მისი უმთავრესი ღირსება ცხოვრების ზედაპირის ვირტოუსული გადმოხატვა ყოფილიყოს“.

